საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№027 (12 097)

3 თებერვალი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

იტალიის ჩემპიონატი შეწყდა!

იტალია-რუმინეთის ამხანაგური მატჩი გაუქმდა! დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა იტალიის ნაკრების მონაწილეობა შესარჩევ მატჩებში!

დიახ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომამ. ბოლოხანს, აპენინებზე გახშირებულ ძალადობას, რასაც ერთი კვირის წინ 40 წლის ერმანო ლიკურსის დალუპვა მოჰყვა, გაგრძელება გუშინ, "კატანია"-"პალერმოს" მატჩის დროს ჰქონდა. არბიტრის გადაწყვეტილებით უმაყოფილო ადგილობრივმა ფანებმა მოედანი ბრძოლის ველს დაამსგავსეს. მატჩი ნახევარი საათით შეწყდა და მხოლოდ პოლიციის დიდი ძალისხმევის შედეგად დასრულდა ("პალერმომ" 2:1 მოიგო). მაგრამ არ დასრულებულა ძალადობა, რომელმაც ქალაქის ქუჩებში გადაინაცვლა. სამართალდამცავებთან ხელჩართულ ბრძოლაში 100-ზე მეტმა ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო. საუბედუროდ, მოხდა ტრაგედიაც: დაიღუპა პოლიციის ოფიცერი, 38 წლის ფილიპო რაჩიტი, რომელსაც სახეში თვითნაკეთი ბომბი მოხვდა. კიდევ ერთი პოლიციელი უმძიმეს მდგომარეობაშია და ჰოსპიტალში სიკვდილს ებრძვის...

ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური სხდომის შემდეგ, უწყების საგენგებო კომისარმა ლუკა პანკალიმ ასეთი განცხადება გააკეთა: "საკმარისია! ჩვენი მივიღეთ გადაწყვეტილება, შევწყვიტოთ იტალიის ჩემპიონატის სერია A-სა და B-ს გათამაშება. თუ რა დრომდე, ამას ორშაბათის აღმასკომზე გავარკვევთ. ჩვენ შეძრულები ვართ. არ ვიცი, რა სიტყვები უნდა ვუთხრათ დაღუპული პოლიციელის ოჯახს. იტალიური ფეხბურთი გადაგვარდა! უკვე ვესაუბრეთ და რჩევა ვკითხეთ იმ ხალხს, ვისაც წონიანი სიტყვა ეთქმის. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას ყველა ემხობა, მათ შორის, იტალიის პრემიერ-მინისტრიცა და პრეზიდენტიც. ასე გაგრძელება წარმოუდგენელია. ეტყობა, ამ ქვეყანას ფეხბურთი აღარ სჭირდება. მე სხვა დასკვნას ვერ ვაკეთებ".

შემდეგ, პანკალიმ დაამატა, რომ გაუქმებულია იტალია-რუმინეთის ამხანაგური მატჩი, რომელიც 7 თებერვალს უნდა გამართულიყო. ამას გარდა, ორშაბათს განიხილავენ, მიიღებს თუ არა მონაწილეობას "სკუადრა აძურა" ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

დღეს, 15:30. რუმინეთი-საქართველო. ანთიმოზ ივერიელის თასისთვის

ღალი, ღია და ღამაზი თამაში უნდა იყოს!

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გუშინ, გენჩას ტყე პარკის სარაგბო მოედანზე მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართა. ბორჯღალოსნები ორშაბათიდან ბუქარესტში იმყოფებიან და მასპინძლებთან საპაექროდ ინტენსიურად ემზადებიან. ნაკრების მთავარ მწვრთნელს მალხაზ ჭეიშვილს ვარჯიშის დამთავრებისთანავე დავუკავშირდით.

- ჩვეულებრივი, მატჩისწინა სამზადისი გვაქვს. განსაკუთრებული არაფერი ხდება. როგორც ყოველთვის, საბრძოლველად მზად ვართ. ამ თამაშს, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა არ ექნება. ამიტომ სავსებით მოსალოდნელია, რომ შეხვედრა გახსნილი, სანახაობრივად ლამაზი გამოდგეს.

- ჩვენს გუნდს საკმაოდ ბევრი წამყვანი მოთამაშე დააკლდა. ამან ხომ არ არია თქვენი გეგმები?

- არა. დანაკლისი დიდია, მაგრამ ისეთი არა, რომ ვერ ავანაზღაუროთ. ერთი ეგაა, დერეფანში მხოლოდ სამი მხტომელი გვეყოლება. შეიძლება, მეოთხეც დავყენოთ. ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშისას რვა ნომერი ბესო უდესიანი ხტებოდა და მშვენივრადაც გამოსდიოდა.

- ამჟამინდელ შემადგენლობაში ორი ისეთი მორაგბეა, რომლებსაც ნაკრებში დიდი ხანია არ უთამაშიათ - გიორგი ჩხაიძე და მერაბ კვირიკაშვილი. როგორ ფორმაში არიან ისინი?

- ჩხაიძეს სანაკრებო თამაშები ტრავმების გამო უცდებოდა. ახლა საბედნიეროდ ჯანმრთელადაა და კარგ ფორმაშიც იმყოფება.

რაც შეეხება მერაბ კვირიკაშვილს, მან ამპლუა შეიცვალა. ადრე 9 ნომერი იყო, ახლა ათია. ვარჯიშებზე ძალიან კარგად გამოიყურება. ვნახოთ, თამაშში რას იზამს. აშკარაა, რომ მეკოს მომატებული აქვს.

- ტაქტიკაში რაიმე ცვლილებები ხომ არ გაქვთ?

- რადიკალურად არაფერი შეგვიცვლია, თუმცა პატარ-პატარა ნიუანსები დავხვეწეთ. რაც ამ სამ-ოთხ დღეში შეიძლებოდა მოგვესწრო, ყველაფერი გავაკეთეთ. რუმინელებთან აგრესიულ დაცვას ვითამაშებთ...

13

7 თებერვალი. 21:00. საქართველო-თურქეთი. ამხანაგური მატჩი

კოზიაშვილი საოპერაციოა...

ეროვნულ ნაკრებს ახალგაზრდულიდან კანკავა დაემატა, ღვინიანიძე მიუნხენს გამოგლიჯეს



ტოპმოლერი ხიზანეიშვილზე ნაწყენი ყოფილა

2

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველო-თურქეთი. კლაუს ტოპმიოლერის პრესკონფერენცია

მინუს კობიაშვილი, პლუს კანკავა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში თურქეთთან მატჩისწინა პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე ნოდარ ახალკაცი, რევაზ არველაძე, კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე წარდგნენ. თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ საქმეზე გადავალთ...

ნუგზარ სუარიძის ფოტო

- თურქეთთან მატჩამდე კვირაზე ნაკლები დარჩა. რა მდგომარეობაა ნაკრებში?

კლაუს ტოპმიოლერი: - 2007 წელს პირველად ვხვდებით ერთმანეთს და პირველ რიგში, ვისურვებდი, რომ ეს წელი უფრო წარმატებული ყოფილიყოს, როგორც ყველა ასაკის ნაკრებებისთვის, ასევე, მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის. ეს წუთია, თურქეთიდან მივიღეთ ფაქსი, რომელშიც ჩვენი მეტოქის 25-კაციანი შემადგენლობაა. თურქები უძლიერესი შემადგენლობით მოდიან. ფათიჰ თერიმს თითქმის ყველა ის ფეხბურთელი მოჰყავს, რომლებმაც 15 ნოემბერს იტალიასთან ითამაშეს. იმედია, გავიმარჯვებთ. ურუგვაისთან 10 წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ... რაც შეეხება გუნდში არსებულ მდგომარეობას. სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილი ვერ დაგვეხმარება. ის "აინტრახტთან" მატჩში დაშავდა და ბოლო ინფორმაციით, სასწრაფო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. იმედია, მეტი არავინ დაგვაკლდება. ბუნებრივია, ფიფას რეიტინგში წინსვლა სასიამოვნოა, მაგრამ, ამავე დროს, უნდა გაგრძელდეს პროგრესი თამაშის ხარისხშიც. თურქეთთან მატჩი გენერალური რეპეტიციაა შესარჩევი ციკლის განახლების წინ. 24 მარტს შოტლანდიაში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის. ოთხ დღეში კი ფარერებს ვუმასპინძლებთ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. ვისარგებლებ შემთხვევით და ქომაგებს მოვუწოდებ, მოვიდნენ სტადიონზე და მხარი დაგვიჭირონ. ფიფას რეიტინგში თურქეთი ჩვენზე 70 საფეხურით მაღლაა, ასე რომ, თავად განსაჯეთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრას.

- იტალია-თურქეთის თამაში თუ ნახეთ და საერთოდ, რა იცით მეტოქეზე?

კ. ტ. - დიახ, თამაში ვნახე. მატჩის დასაწყისში თურქთა მეკარემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და იტალიელებმა, ფაქტობრივად, ცარიელ კარში შეაგორეს ბურთი. პირველ ტაიმი თანაბარი და დაძაბული იყო. შესვენებაზე მწვრთნელებმა არა ერთი მოთამაშე შეცვალეს. თერიმმა გაცილებით მეტი ფეხბურთელი გამოცადა. თურქებმა თავისი წილი შანსი გამოიყენეს და მატჩი 1:1 დასრულდა. ვიმეორებ, მათ ძლიერი ნაკრები ჰყავთ, თითქმის ყველა პოზიციაზე ორ-ორი გამორჩეული ფეხბურთელი თამაშობს.

- ახლახან, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელად ალექს მაკლიში დაინიშნა. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლება ამით მეტოქე გუნდში?

კ. ტ. - ჯერ იმას ვიტყვი, რომ უოლტერ სმიტის გადადგომამ ძალიან გამაკვირვა, მით უმეტეს, ასეთი შედეგების შემდეგ. რაც შეეხება მაკლიშს, ის ცნობილი მწვრთნელია და კარიერაშიც ბევრისთვის მიუღწევია. ახალ მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს გუნდის ტაქტიკა-სტრატეგიასა თუ სხვა კომპონენტებზე. ასე რომ, აქამდე რა შოტლანდიაც ვნახეთ, უნდა ჩავთვალოთ, რომ ამიერიდან ეს გუნდი განსხვავებული იქნება. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, 24 მარტის დაპირისპირებისთვის სრული მობილიზება და კონცენტრაცია გვმართებს.

- ბოლო ტურში ზურაბ ხიზანიშვილს არ უთამაშია. რაშია საქმე?

კ. ტ. - საზარდულმა შეაწუხა და მწვრთნელებმა აღარ დატვირთეს. ზურა უკვე მწყობრშია და ნაკრებშიც ითამაშებს.

- ლევან კობიაშვილის გარდა, ნაკრებს ოთარ მარცვალაძეც გამოაკლდა. ვინმე ხომ არ დაემატება გუნდს?

კ.ტ. - ვნახოთ... მოდით, ამ უქმეებს დაველოდოთ. იმედია, მეტი დანაკლისი არ იქნება. კობიაშვილის ნაცვლად, 21-წლამდელებიდან ჯაბა კანკავა დავიმატეთ.

- ქრონიკული ტრავმებისა და გადატვირთული საკლუბო კალენდრის გამო, შოთა არველაძემ ამხანაგური მატჩებისგან გათავისუფლება გთხოვათ. ამაზე რას იტყვით?

კ. ტ. - ეს ისტორია ახალი არ არის. შოთას მუხლზე ორი ურთულესი ტრავმა აქვს გადატანილი. ჩემპიონატი, თასი, ევროტურნირები... არველაძეს კლუბში მართლაც ბევრი თამაში უწევს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია მისი ასაკიც. კმაყოფილი ვიქნები, თუ შესარჩევ მატჩებში დაგვეხმარება. ასე რომ, მას შოტლანდიაში ველით.

- ალექსანდრე იაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი რატომ არ არიან ნაკრებში?

კ. ტ. - ურუგვაისთან მატჩის წინაც ვთქვი: იაშვილს, როგორც ფეხბურთელსა და პიროვნებას, კარგად ვიცნობ. არ მინდოდა, გამომეძახებინა და სკამზე დამესვა. მსურს, კიდევ ერთხელ ვნახო საქმეში შემტევი სტილის სხვა მოთამაშეები: აშვეთია, სირაძე, ბურდული... ეს ტესტმატჩები ფეხბურთელთა გამოსაცდელადაა და სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ. რაც შეეხება ხიზანეიშვილს, ის "ფრაიბურგის" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ჯერ კიდევ ვერ ხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩში გოლიც გაიტანა. ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოც დავრჩი, როცა ურუგვაისთან მატჩამდე მხოლოდ ორი დღით ადრე გავიგე, რომ ოთარი დაგვაკლდებოდა. საერთოდ კი, "ფრაიბურგის" ფეხბურთელების ნაკრებში გამოშვება ყოველთვის პრობლემური იყო. ჩემთვის ისიც გასაგებია, რომ კლუბი გარკვეულ ზეწოლას ახდენს ფეხბურთელებზე... გუშინ შტეფან როიტერს ვესაუბრე. მან "მიუნხენის" სახელით გვთხოვა - ორშაბათს მატჩი გვაქვს და თუ შეიძლება, მათე ღვინიანიძეს ამ თამაშის შემდეგ გამოვუშვებთო. ეს იმას ნიშნავს, რომ ორშაბათის ნაცვლად, მათე ოთხშაბათს, გამთენიისას შეუერთდებოდა გუნდს. რა თქმა უნდა, დათმობაზე არ წავედით. თავად მათესაც სურდა ნაკრებში დროულად ჩამოსვლა. ხიზანეიშვილმა კი გვთხოვა, იქნებ არ გამომიძახოთო. ალბათ დამეთანხმებით, რომ ნაკრების ფეხბურთელები საქმეს მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ.

- სამწუხაროდ, გოგიტა გოგუას ტრანსფერი ჩაიშალა. მაინც რა მოხდა?

ნოდარ ახალკაცი: - ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური განცხადება გააკეთა და ის ჩვენს საიტზეც იყო განთავსებული. ამ საქმეში ლიტვური მხარეც იყო ჩარეული. "ჰართსმა" გოგუასთან ჯერ კონტრაქტი გააფორმა და მერე შეიტანა განაცხადი სამუშაო ვიზაზე. სამწუხაროდ, უარი მიიღო და გააპროტესტა. ჩვენც მოგვმართეს ამ ფეხბურთელის დახასიათებისთვის. ცხადია, ვუთხარით, რომ გოგიტა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. თუკი ადრე ბრიტანეთში სამუშაო ვიზის მისაღებად ნაკრებში თამაშების 75 პროცენტი იყო საკმარისი, 1 იანვრიდან მოქმედი კანონის თანახმად, აუცილებელია მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნის ნაკრების წევრი იყო. თუმცა ამასაც უნდა ჩავეძიოთ, რადგან "ჰართსში" შვიდი ლიტველი ფეხბურთელი თამაშობს, ლიტვა კი ფიფას რეიტინგში ჩვენზე ბევრით წინ ნამდვილად არ არის. მაგრამ სატრანსფერო პერიოდი 31 იანვარს დასრულდა და ახლა რაც არ უნდა ვაპროტესტოთ, მომდევნო სატრანსფერო კამპანიამდე არაფერი გამოვა. როგორც ჩანს, "ჰითროუს" აეროპორტში განხორციელებული ტერაქტების, ლიტვინენკოს გახმაურებული მკვლელობისა და სხვა ამგვარ მოვლენათა გამო, წესები გაამკაცრეს. 24 მარტს შოტლანდიაში გვიწევს თამაში და ბრიტანეთის საელჩოში ვიზისთვის სათითაოდ მოგვიწევს ფეხბურთელების შეყვანა.

- უეფას კოგრესსა და მიშელ პლატინის თბილისურ ვიზიტზე რას იტყოდით?

ნ. ა. - სხვათა შორის, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მიშელ პლატინი მე და რევაზ არველაძეს მოგვიახლოვდა და გვითხრა: კარგად მახსოვს, რასაც დაგპირდით და სიტყვას არ გადავალო. ასე რომ, პირველი სამუშაო ვიზიტი ახალ პრეზიდენტს თბილისში ექნება. რაც შეეხება უეფას კონგრესსა და არჩევნებს, სასიხარულოა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. ჩვენი მხრიდან ეს სწორი გათვლა იყო და უეფას გარდა, ამას ფიფაშიც აფასებენ. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ფედერაციათა კოალიციას სწორედ საქართველო უწევს კოორდინაციას. ამ კოალიციის მორიგი წამუშაო შეხვედრა მალე თბილისში შედგება. ჩერნოგორიის დამატებით, უეფას 53 წევრიდან 28 ჩვენს გაერთიანებაშია, ეს კი ნახევარზე მეტია. ამაზე "კიკერიც" წერდა და ხასგასმით აღნიშნავდა ჩვენი ფედერაციის როლს: სწორედ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ფედერაციებისგან მიიღო პლატინიმ ხმები, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც არჩევნების ბედი... დაბოლოს, ერთსაც დავამატებდი: ჩვენი და თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის შეთანხმების საფუძველზე, 5-6 თებერვალს თბილისში სპორტული მედიცინის სემინარი გაიმართება. თურქეთის მხრიდან მასში მონაწილეობას მიიღებს მეჰმეთ ბინეთი, რომელიც უეფას სამედიცინო კომიტეტის წევრია. ჩვენი მხრიდან კი ამ სემინარში ვალერი ახალკაცი იქნება წარმოდგენილი. მხარში ამოგვიდგა და დიდად მადლიერნი ვართ ფარმაცევტული კომპანია GPC-ის და ეს სემინარი სწორედ მის ოფისში გაიმართება. იქ იქნებიან სხვადასხვა საფეხბურთო გუნდების, ასევე კალათბურთში, რაგბიში, ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობებში დასაქმებულები ადამიანები. აქვე გეტყვით, რომ მსგავსი სემინარი მომავალშიც ჩატარდება.

დავით ცაბაძე

მეტოქე

ეროვნულიც დასახელდა და ახალგაზრდულიც

გუშინ თურქეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ის შემადგენლობები გამოქვეყნდა, რომლებიც 7 თებერვალს ქართველებს დაუპირისპირდებიან.

ეროვნული ნაკრები: **ვოლქან დემირელი** ("ფენერბახჩე"), **ფაბიო აურელიო** ("ფენერბაჰჩე"), **თუნჩაი სანლი** ("ფენერბაჰჩე"), **თუმერ მეთინი** ("ფენერბაჰჩე"), **საბრი სარიოღლუ** ("გალათასარაი"), **არდა თურანი** ("გალათასარაი"), **გიოქან ზანი** ("ბეშიქთაში"), **იბრაჰიმ თორამანი** ("ბეშიქთაში"), **იბრაჰიმ უზულმესი** ("ბეშიქთაში"), **ჰუსეინ ჩიშმირი** ("ტრაბზონსფორი"), **გიოქდენიზ კარადენიზი** ("ტრაბზონსფორი"), **მეჰმეთ თოფუზი** ("ქაისერისფორი"), **აიდინ თოსქალი** ("ქაისერისფორი"), **გიოქან უნალი** ("ქაისერისფორი"), **სერვეთ ჩეთინი** ("სივასფორი"), **ჰაქან არიქანი** ("ანქარასფორი"), **სერქან ქირთინთილი** ("ანკარაგიუჯუ"), **სელჩუკ ინანი** ("მანისასფორი"), **ჰამით ალთინთოპი** ("შალკე"), **ჰალილ ალთინთოპი** (შალკე), **სერჰათ აქინი** ("კიოლნი"), **თუგაი ქერიმოღლუ** ("ბლექბერნი"), **ფათიჰ თექე** ("ზენიტი"), **ემრე ბელოზოღლუ** ("ნიუკასლი").

ახალგაზრდული ნაკრები: **ფერჰათ ოზთორუნი** ("გალათასარაი"), **სერდარ ქურთულუსი** ("ბეშიქთაში"), **იბრაჰიმ ქაში** ("ბეშიქთაში"), **უფუკ ჩეილანი** ("მანისასფორი"), **ოგუზ საბანქაი** ("მანისასფორი"), **უგურ უჩარი** ("ქაისერისფორი"), **ილჰან პარლაკი** ("ქაისერისფორი"), **ედიზ ბაჰტიაროღლუ** ("ანქარასფორი"), **ოზერ ჰურმაჩი** ("ანქარასფორი"), **უგურ იანიქდემირი** ("ქონიასფორი"), **ალი გიუზელდალი** ("ბელედიეისფორი"), **ორჰან სამი** ("გენჩლერბირლიგი"), **ვოლქან ბაბაქანი** ("ისთანბულსფორი"), **ბარის ათასი** ("დიარბაქირსფორი"), **ალფ ერგინი** ("ალთაისფორი"), **მეჰმეთ ბათდალი** ("ბუქასფორი"), **ეიფ ქადრი ათაოღლუ** ("სარიერი"), **ჩეიჰუნ გულსელამი** ("უნტერჰახინგი"), **მევლუთ ერდინქი** ("სოშო"), **ზაფერ იელენი** ("ჰანზა").

ლევან ჭანეზაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

გოგიტა გოგუას და „ჰართსის" ურთიერთობა იმდენი ხანია გრძელდება, სერიალის გადაღებაც კია შესაძლებელი. შოტლანდიური კლუბი ქართველს ჯერ კიდე 2005 წელს ინვევდა, მაგრამ მან ზაფხულამდე ლოდინს რუსეთის პირველი ლიგის "ხიმკიში" თამაში ამჯობინა.

მას შემდეგ გრძელდება ეს ისტორია და როგორც ჩანს, "ჰართსის" ლიტველი პრეზიდენტი ვლადიმირ რომანოვი და მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი მანამ არ მოისვენებენ, სანამ სასურველ მოთამაშეს არ დაიმატებენ.

ეს გუშინ გახდა ცნობილი. "ედინბურგნიუსმა" გაავრცელა ივანაუსკასის კომენტარი, სადაც ის ზაფხულში მოლაპარაკების განახლების აუცილებლობაზე საუბრობს.


გოგიტა გოგუა

ჰართსი გოგუასთვის კიდევ იბრძოლებს

"მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა ვიზაზე უჭრი უთხრა, ვალდას ივანაუსკასი იმედს არ კარგავს, რომ ზაფხულში მაინც მოახერხებს გოგიტა გოგუასთან კონტრაქტის გაფორმებას.

ივანაუსკასი ფიქრობს, რომ ამ უარით საქმე არ დამთავრდება.

"ჰართსის" თხოვნაზე უარი იმიტომ უთხრეს, რომ ფიფას მონაცემებში საქართველოს ნაკრების რეიტინგი ვერ აკმაყოფილებს ვიზის მისაღებად საჭირო კრიტერიუმს. შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონის მწვრთნელის თქმით, გუნდი სეზონის დასასრულს დეპარტამენტის ახალი თხოვნით მიმართავს.

როგორც ვარაუდობენ, მანამდე გოგუა საქართველოს ნაკრებში კიდევ ოთხ მატჩს გამართავს შოტლანდიის, ფარერების, ლიტვისა და საფრანგეთის ნაკრებების წინააღმდეგ (ბოლო მატჩი ფრანგებთან 5 ივნისს გაიმართება - რედ.). ივანაუსკასი ფიქრობს, რომ თვით საქართველოს ნაკრების რეიტინგის მცირედით გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, დაარწმუნებენ მთავრობის ჩინოვნიკებს და პოზიციას შეაცვლევინებენ."

ბოლო ინფორმაციის თანახმად, გოგიტა გოგუას ამჟამად "ტომი" და "სატურნი" იწვევენ. ამ ეტაპზე იგი თურქეთთან თამაშისთვის მოემზადება და მერე ახალი გუნდის საკითხსაც გადაწყვეტს.

მერაბ მამულაშვილი

რეპლიკის მაგიერ

ახია ჩვენზე!

ამას წინათ, შევიტყვეთ შემდეგი: ქართველ ფეხბურთელ გოგიტა გოგუას დიდ ბრიტანეთში მუშაობის უფლება არ მისცეს და ვერ ჩაირიცხა შოტლანდიურ "ჰართსში", კლუბის მესვეურთა სურვილის საწინააღმდეგოდ. მარტივად რომ ვთქვათ, საბაბი ასეთი იყო: საქართველო განუვითარებული საფეხბურთო ქვეყანააო...

სიმართლე გითხრათ, თანამედროვე ფეხბურთის მშობელ ქვეყანაში, ამ თამაშის სფეროში გაკეთებული ნებისმიერი შენიშვნა ყურადსაღებია, ოღონდ, გააჩნია კრიტერიუმს. ძნელად გასაგებია, რით განისაზღვრება ფეხბურთის დონე - საფეხბურთო ნიჭიერების დონით თუ ფიფას სანაკრებო რეიტინგით? მაშინ, რა დააშავეს ცალკეულმა გამოჩენილმა ფეხბურთელებმა? სპორტში ბევრია გამონაკლისი. მაგალითად, სატრეკო ველოსპორტში ფრიად განუვითარებელ საქართველოში, მოულოდნელად გამოჩნდა ომარ ფხაკაძე, რომელმაც "გადაუარა" პლანეტის ველოგრანდებს და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ასუჯრედიან შაშში სენეგალელმა დიდოსტატმა ბაბასიმ სრული პანიკა გამოიწვია სპორტის ამ ინტელექტუალურ სახეობაში. სანმარინოელი ბონინი "იუვენტუსის" ერთერთი დიდი ვარსკვლავი გახდა...

ინგლისური განვითარებული კანონმდებლობის ნიუანსებში გარკვევას არ ვაპირებ, ზოგიერთ რამეს კი მოგახსენებთ. დიდი ბრიტანეთი ჩვენს მდგომარეობაში რომ იყოს, ფეხბურთის თამაშისთვის კი არა, ბევრი რამისთვის არ ეცლებოდა. სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომის გაჭირვების დროს, კუნძულებზე საფეხბურთო ჩემპიონატი არ ტარდებოდა, თუმცა ტერიტორიული მთლიანობა დაცული იყო და მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომთა შემოსავალი, დღევანდელი საქართველოს ამ მაჩვენებელზე განუზომლად დიდი იყო.

ჩვენში კი, არსებული სიდუხჭირის მიუხედავად, საფეხბურთო ნიჭიერების ცალკეული გამოვლენა მაინც არსებობს და, სხვათა შორის, უმაღლესი დონისაც. კალაძე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია, არველაძე შოტლანდიის ჩემპიონი (შოტლანდია ხომ გაერთიანებული სამეფოს წევრია), იმავე შოტლანდიის "დანდის" გუნდის კაპიტანი ნემსაძე გახლდათ, ქინქლაძის სახელი კი საკმაოდ დროის განმავლობაში ინგლისელ გულშემატკივრებს პირზე ეკერათ. რუსეთის ბატონობის დროსაც, ქართველებს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს, ოლიმპიური და ევროპული ოქროს მედლები ჰქონდათ მოპოვებული.

როგორც ჩანს, ორმაგი სტანდარტები საფეხბურთო პოლიტიკაშიც არსებობს. იმავე დიდ ბრიტანეთში კლუბები გატენილია სხვადასხვა "არაგანვითარებული" საფეხბურთო (და არამარტო საფეხბურთო) ქვეყნის წარმომადგენლებით. რაღა კავკასიური რასის ქართველი წარმომადგენელი არ აღმოჩნდა ღირსი ექსიმპერიის საფეხბურთო მინდვრებზე თამაშისა?! ბევრი "განვითარებული" ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს იმით, რომ XX საუკუნის ყველაზე პრესტიჟულ საფეხბურთო მატჩში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი. ქართველებს კი შეგვიძლია ამით ვიამაყოთ. ინგლისური ფეხბურთის 100 წლის აღსანიშნავ საიუბილეო მატჩში მონაწილეობისთვის, მსოფლიოს ნაკრებში მიწვეული იყო ქართველი მიხეილ მესხი. თუ რატომ არ გავიდა ჩვენი ვირტუოზი მინდორზე, ინგლისის საფეხბურთო ფუნქციონერებმა თავიანთ რუს ექსიმპერიელ კოლეგებს ჰკითხონ. მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებ გუნდებში თამაშობდნენ სლავა მეტრეველი და დავით ყიფიანი.

მართალია, სანაკრებო დონეზე საქართველო სადღეისოდ დიდ წარმატებებს ვერ აღწევს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ნაკრებებთან ოფიციალურ პაექრობებში, ჩრდილოელები ჯერჯერობით მაინც ვერ გვჯაბნიან: ქულები 6-6, ბურთები 6-4 ჩვენს სასარგებლოდ (საქართველო-ინგლისი 0:2, 0:2; საქართველო-უელსი 5:0, 1:0). ახლა შოტლანდიას ვეთამაშებით და იქნებ, დავწინაურდეთ კიდეც...

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც გავიხსენოთ. 70-ანი წლების "ლივერპული", რომელიც მარტო ინგლისელებით არ იყო დაკომპლექტებული, თავად ბრიტანელმა ფეხბურთის სპეციალისტებმა ყველა დროის საუკეთესო ინგლისურ კლუბად აღიარეს. ჰოდა, ეს საუკეთესო, გნებავთ, განვითარებული კლუბი, ქართველებმა, რომელთა გუნდში არც ერთი უცხოელი არ იყო, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გაანადგურეს. სწორედ ამან გამოიწვია ამაყ ალბიონელთა უარი, ორი წლის შემდეგ თბილისელებთან ევროპის სუპერთასზე ეთამაშათ -შეეშინდათ!

წერილს კი ერთი ისტორიული ცნობით დავამთავრებ: 1981 წლის ინგლისური გაზეთები წერდნენ: "ქართველებმა ინგლისელებს გვასწავლეს, თუ როგორ უნდა შექსპირის დადგმა და ფეხბურთის თამაში!"

ასეა ეს! გუდ ბაი!

ალექსანდრე ჯინორია

კობიაშვილი ტრამვაიზე

გელზენკირხენის "შალკეს" ვარსკვლავებმა გუნდის ახალი სპონსორის, რუსული სახელმწიფო კორპორაცია "გაზპრომის" რეკლამაში მიიღეს მონაწილეობა.

საამისოდ ოთხი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი შეარჩიეს - **ლევან კობიაშვილი, ჯერარდ ასამოა, კევინ კურანი, რაფინია** და მათი სურათები გელზენკირხენის ქუჩებში მოძრავი 421 ნომერ ტრამვაიზე გამოსახეს. ახალი ვაგონი "გაზპრომის" სარეკლამო პროექტის ნაწილია.

"შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიოლერი** სარეკლამო აღმოჩენით კმაყოფილია: *"ტრამვაის თვალს ვერ მოაცილებ, მოტივი ემოციურია და დარწმუნებული ვარ, ის ჩვენს გულშემატკივრებს მოეწონებათ".*

იმავეს ამბობენ გუნდის მმართველობის წევრები **ბურკხარდ რიუბერგი** და "გაზპრომ-გერმანიის" დირექტორმა **კლაუს ბერგშნაიდერი.**

სარეკლამო ვაგონის პრეზენტაციას მხოლოდ ლევან კობიაშვილი და ბრაზილიელი მცველი რაფინია დაესწრნენ. ბრაზილიელმა ვატმანის ადგილი დაიკავა. სარეკლამო კომპანიაში მონაწილეობამ ქართველი ფეხბურთელიც გაამხიარულა და ახლადგამომცხვარ ვატმანს გაეხუმრა – "ოღონდ, ტრამვაი არ დაძრა".

"ვაგონი შესანიშნავად გამოიყურება. ჩვენს გულშემატკივრებისთვის ეს სწორედ ის მუხტი იქნება, რაც "შალკეს" მატჩებზე მოსვლამდე გზაში განწყობის ასამაღლებლად სჭირდებათ" – ეს კობიაშვილის სიტყვებია.

მერაბ მამულაშვილი

19-წლამდელთა ნაკრები

მზადება ბლექბერნში

იანვარში ხომ ტრაბზონში გაიარა შეკრება საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, ანალოგიური რამ ქართველ ჭაბუკებს მარტშიც ელით, აპრილშიც და მაისშიც. მარტის ამბავი გეცოდინებათ - ქართველები გერმანიაში მოემზადებიან, აპრილში გასამართი შეკრების ადგილი ჯერ კიდევ არაა დაზუსტებული. აი მაისის ამბავი კი გუშინ გაირკვა - ფეხბურთის ფედერაციასა და ინგლისური პრემიერლიგის "ბლექბერნს" შორის მიმდინარე მოლაპარაკებებმა შედეგიანად ჩაიარა. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვენი 19-წლამდელები 17-22 მაისს "ბლექბერნის" საწვრთნელ ბაზაზე მოემზადებიან.

შეგახსენებთ, რომ ელიტრაუნდში ჩვენი ჯგუფის მატჩებს შოტლანდია უმასპინძლებს, სადაც **ჰაინც ტოპმიოლერის** ნაკრები ბლექბერნიდან გაეგზავრება. 19-წლამდელებს პირველი მატჩი 23 მაისს უწევთ.

დავით ცაბაძე

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

ფანკლუბის ტურნირი მინი-ფეხბურთში - გამარჯვებული გუნდი ლიტვაში!

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფანკლუბი ატარებს ფან-კლუბის წევრების ტურნირს მინი ფეხბურთში, რომელიც 1 მარტს დაიწყება და თბილისსა და ბათუმში ჩატარდება.

ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფანკლუბის საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელებს, ანუ გუნდის ყველა მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს ფანკლუბის წევრი. გუნდის შეკრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, როგორც თბილისელს, ასევე რაიონში მცხოვრებ გულშემატკივარს.

გუნდს აქვს უფლება, ფანკლუბთან შეთანხმებით, ჰყავდეს სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს მის პირად ხარჯებს (მოთამაშეების გაწვერიანებას, გადაადგილებას და ა.შ).

თბილისა და ბათუმში გამარჯვებული გუნდები ერომანეთს შეხვდებიან სუპერფინალში. ტურნირის მთავარი პრიზი ლიტვა-საქართველოს ნაკრებთა შორის ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრაზე დასწრებაა! მატჩი 2 ივნისს ლიტვაში შედგება.

განცხადებები მიიღება 20 თებერვლამდე.

დაგვიკავშირდით და ვოგვნერეთ
ტელეფონი: 542-542; e-mail: geo_fan-club@yahoo.com



www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

დუშან უგრინი

დინამო

კონტრაქტი კრშკოსაც?

გარკუშა გაუშვეს

დინამო-ქარპატი 0:1

0:1 კობინი (42)

დინამო: გრიშიკაშვილი, ლ. ნოზაძე, ზელიჩი, კრშკო, თომაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი, ხუციშვილი, სპასოევიჩი, სირბილაძე.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ლორია, შ. კაშია, ოდიკაძე, ჯანაშია, დოს სანტოსი, იაშვილი, წირიკაშვილი, აკობია.

თბილისის "დინამო" გუშინ ანთალიაში ლვოვის „კარპატის" გაეჯიბრა ამხანაგურად. ბევრი იმედოვნებდა, რომ ჩვენი გუნდი ანთალიაში აქამდე დაუმარცხებელი "კარპატის" მოგებას შეძლებდა, მაგრამ "დინამომ" ლვოველთა მიერ დამარცხებულ გუნდთა სია ერთით გაზარდა.

თბილისური კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** თქმით, თამაში რთულ კლიმატურ პირობებში მიმდინარეობდა - წვიმდა და ძლიერი ქარი ქროდა. მიუხედავად იმისა, რომ "დინამომ" ლვოველები დაჯაბნა, ერთი მიუტევებელი შეცდომა ძვირად დაუჯდა. ეს ერთადერთი გოლი **კობინმა** 42-ე წუთზე გაიტანა. ლვოველთა კლუბის ვებგვერდის ცნობით, კობინმა მეკარე **გრიშიკაშვილის** შეცდომით ისარგებლა, როცა ჩვენს გოლკიპერს ბურთი ხელიდან გაუვარდა. საერთოდ კი პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ხიფათი თბილისელთა კართანაც იქმნებოდა და გოლს "კარპატიც" გადაურჩა. ჯერ იყო და 19 წლის ჩერნოგორიელ ფორვარდ **ილია სპასოევიჩის** საშუალო დისტანციიდან ძლიერად დარტყმული მოიგერია უკრაინელთა მეკარემ, მერე მანვე **ფეიქრიშვილის** დარტყმულიც მოიგერია, ბოლოს კი **ხმალაძის** თავური ლვოველთა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. ამის საპასუხოდ უკრაინელებს გატანილ ბურთამდე ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა – პირველ შემთხვევაში გრიშიკაშვილმა გადაარჩინა გუნდი, მეორედ კი ლვოველთა ლეგიონერმა **ბატისტამ** ცარიელ კარში ვერ მოახერხა გატანა.

გვენცაძის თქმით, მეორე ტაიმი მთლიანად "დინამოს" კარნახით წარიმართა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ მოხერხდა. არადა საამისო შანსი კიდევ რამდენიმე გვქონდა. **ჯანაშიამ** მცირე მანძილით ააცილა კარს, **დოს სანტოსის** დარტყმასაც არ მოჰყოლია შედეგი. მატჩის მიწურულს კი "კარპატი" აშკარა გოლს გადაურჩა. **იაშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ლვოველთა მეკარემ მოიგერია. ბურთი ძელს მოხვდა და ისევ მოედანს დაუბრუნდა. დასწრებაზე **ოდიკაძემ** იმარჯვა, მაგრამ მხოლოდ, ხარიხა შეაზანზარა. "კარპატის" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით ლვოველებს მეორე ტაიმშიც ჰქონიათ კარის აღების შესაძლებლობა. განსაკუთრებით გოლის ავტორი კობინი აქტიურობდა, რომლის წაქცევისთვის ორ დინამოელს ყვითელი ბარათიც მიუღია.

როგორც ირკვევა "კარპატისთან" სლოვაკ მცველ **მიროსლავ კრშკოს** ძალიან კარგად უთამაშია და მასთან, სავარაუდოდ, კონტრაქტიც გაფორმდება. გუნდი უკვე გამოეთხოვა ბელარუს მარცხენა მცველ **რომან გარკუშას.** ალბათ მალე იგივე მოუწევს 26 წლის ბრაზილიელ ფორვარდ **ფაბიო მარკუშ დოს სანტოსს**. სადებიუტო მატჩში კარგად გამოიყურებოდა ჩერნოგორიელი სპასოევიჩი, რომელმაც მხოლოდ 45 წუთი დაყო მოედანზე.

მორიგ მატჩში თბილისის „დინამო" ხვალ, 4 თებერვალს უზბეკეთის მეოთხეადგილოსან "მაშალის" დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

ამერი

მარცხი და ფრე

თბილისელები სერბს სინჯავენ

თბილისის "ამერის" ვებ-გვერდზე სიახლეები გავრცელდა. ანთალიაში შეკრებაზე გუნდმა ორი საკონტროლო მატჩი გამართა. თბილისელები 30 იანვარს კუნდუს საფეხბურთო ცენტრში ხორვატიის უმაღლესლიგელი "სლავენ-ბელუპოსთან" 0:2 დამარცხდნენ.

ამერი: **ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, ჩიკვილაძე, დიდავა, (68. კაკაშვილი), მესხი (დობროვოლსკი 62), ჯელაძე, ბოლქვაძე (62.დეკანოსიძე), დოლიძე (76. მჭედლიშვილი), დავითაშვილი (80. ჩიმაკაძე), წინამძღვრიშვილი (80. გრბოვიჩი).**

პირველ ტაიმში რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ "ამერს" ჰქონდა - **რატი წინამძღვრიშვილმა** მეკარის საჯარიმოში **გიზო ჯელაძე** მოძებნა, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ვერც წინამძღვრიშვილმა და ვერც **სულიკო დავითაშვილმა** ვერ იხეირეს, **დავით ბოლქვაძისა** და ჯელაძისა შორეული დარტყმებიც არაზუსტი აღმოჩნდა.

ვლადიმერ ხაჩიძე

ხორვატების პირველი გოლი კურიოზული აღმოჩნდა: მე-60 წუთზე მცველების ამოტანილ ბურთს ფეხი ჰაერშივე შეაგება **მილენკო მუმლეკმა** და **ზურაბ ქვაჩახიას** კარის ცხრიანში ჩასვა.

"სლავენ-ბელუპომ" მეორე გოლი ისევ "ამერის" შეცდომით გაიტანა. 76-ე წუთზე თბილისელებმა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ და მეკარესთან პირისპირ ორი ხორვატი დარჩა - **დარიო ზაჰორმა** შესაძლებლობით ისარგებლა - 0:2.

2 თებერვალს კი "ამერმა" მეორე მატჩი რუმინეთის ბისტრიცას "გლორიასთან" ისევ კადრიეში, ადორას საფეხბურთო ცენტრში ჩაატარა. მეტოქეები ანთალიაში შარშანაც გაეჯიბრნენ და რუმინელებმა 1:0 იმარჯვეს.

ამჯერად მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ბელექში დილიდან წვიმდა და უამინდობამ შეხვედრაზეც იმოქმედა.

პირველი ტაიმში **გივი დიდავამ** რუმინელთა მეკარის შეცდომით ვერ ისარგებლა და ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. რუმინელები 55-ე წუთზე **ზაჰარიას** გოლით დაწინაურნენ. ამის შემდეგ "ამერი" გააქტიურდა და ანგარიში 82-ე წუთზე გაათანაბრა. **რატი წინამძღვრიშვილმა ირაკლი დოლიძის** პასით ისარგებლა.

თბილისელები შემდეგაც უტევდნენ, მაგრამ მეტი ვეღარ გაიტანეს. რუმინელები ბოლოსკენ უხეშობით გამოირჩნენ, როს გამოც წინამძღვრიშვილმა მოედანი დატოვა, 90-ე წუთზე კი რუმინელებს ფეხბურთელიც გაუძევეს.

ამერი: **ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, დიდავა (75. მჭედლიშვილი), ჯელაძე, ბოლქვაძე (65. დეკანოსიძე), დოლიძე, ჩიკვილაძე (75. კაკაშვილი), მესხი (65. დობროვოლსკი), წინამძღვრიშვილი (85. გრბოვიჩი), დავითაშვილი (65. ჩიმაკაძე)**

დაბოლოს, ამერულ სიახლეც შევიტყვეთ: ანთალიაში გასინჯვაზე სერბი **ალტინ გრბოვიჩი** ჩავიდა. 20 წლის თავდამსხმელმა კარიერა სერბეთის მეორე ლიგაში, ნოკი ბაზარის გუნდში დაიწყო, შემდეგ კი ბელგრადის "ცრვენა ზვეზდამ" მიიწვია.

თბილისელთა ვებ-გვერდის ცნობით, არაა გამორიცხული, გრბოვიჩი "ამერთან" ერთად საქართველოში დაბრუნდეს.

გუნდს ამჯერადაც ვერ დაეხმარა **დიმიტრი ტატანაშვილი,** რომელიც ტრავმას მკურნალობს.

მერაბ მამულაშვილი

გორჯომი

ბორჯომი ძლიერდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სეზონის მეორე ნახევარში ბორჯომს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი ეყოლება. გეხსომებათ, პირველ წრეში **ვლადიმერ ხაჩიძემ,** ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო და სეზონის მსვლელობისას ჩამოყალიბებული გუნდით ნორმალური შედეგი აჩვენა, დღესდღეობით კი "ბორჯომს" გაცილებით უკეთესი მოსამზადებელი პირობები აქვს და კონტინგენტიც ერთობ ძლიერი შეკრიბა.

მზადების ძირითად ნაწილს ხაჩიძის შეგირდები ბორჯომში გადიან, სადაც ბურთთან ვარჯიშთან ერთად, სატრენაჟორო დარბაზსაც სტუმრობენ. დღეს გუნდი თბილისში გადმოინაცვლებს, სადაც ბოლნისის "სიონთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრა "ნორჩი დინამოელის" მოედანზე ჩატარდება და 14 საათზე დაიწყება.

"ბორჯომი" კიდევ ორი ახალწვეულით გაძლიერდა. ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** და მცველი **ლევან მერებაშვილი** საკმაოდ დიდი ძალაა. შეგახსენებთ, პირველმა მათგანმა პირველი წრე "ბათუმის" შემადგენლობაში ჩაატარა, მეორემ კი – საჩხერის "ჩიხურაში".

ცოტა ადრე კი "ბორჯომი" გამოცდილი **ალექსანდრე კაიდარაშვილით** გაძლიერდა, რომელსაც ნახევარი წელიწადი გაუცდა.

მომდევნო საკონტროლო მატჩის ჩატარებას ხაჩიძე ახალციხის "მესხეთთან" გეგმავს. ეს თამაში ბორჯომში უნდა შედგეს. 2007 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას კი ბორჯომელები 18 თებერვალს, საქართველოს თასის მეოთხედფინალში, სტუმრად "ზესტაფონთან" გამართავენ.

ლევან ჯანეზაშვილი

სიონი

ბოლნისი პასუხს ბაქოდან ელის

საქართველოს ჩემპიონებს ყირიმული ვოიაჟი რომ ჩაეშალათ, გეცოდინებათ. ამის შემდეგ "სიონის" ხელმძღვანელობამ გუნდის აზერბაიჯანში წაყვანა და იქაურ კლუბებთან ამხანაგური მატჩების ჩატარება გადაწყვიტა. კერძოდ, ბოლნისელებს ბაქოური "ოლიმპთან" და "ბაქისთან" აქვთ წინასწარი შეთანხმება, მაგრამ გამორიცხული არაა, "სიონი" ვერც სამეზობლოში გაემგზავროს.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღეში აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეორე წრე იწყება და შესაძლოა, ზედმეტი დატვირთვების თავიდან არიდების მიზნით, ბაქოელებმა ქართველებთან სპარინგებზე უარი თქვან. "სიონი" მათ საბოლოო პასუხს დღეს ელის. უარის შემთხვევაში, "სიონი" სეზონის მეორე ნახევრისათვის მოსამზადებელი პერიოდის დარჩენილ ნაწილს საქართველოში გაატარებს და სპარინგპარტნიორებს აქ მოიძიებს. დღეს თბილისში მისი მეტოქე "ბორჯომი" იქნება.

კახა ცხადაძე და სიონი ბაქოელთა პასუხს ელიან

"ლელოსთან" საუბარში კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** ისიც თქვა, რომ თითქმის გადაწყვეტილია "სიონში" **ზურაბ ექონიას** ჩარიცხვის საკითხი. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბოლნისელთა ღირსებას **ლევან სილაგაძეც** დაიცავს, **ვიტალი დარასელიასა** და **შოთა ბაბუნაშვილს** რაც შეეხება, ისინი "სიონის" მაისურას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოირგებენ, თუ უცხოური ვარიანტები ჩაეშლებათ.

ლევან ჯანეზაშვილი

თბილი



3 თებერვალი, 1915 - დაიბადა ბორის პაიჭაძე, ფეხბურთი. თავდამსხმელი. თამაშობდა ფოთის გემთმშენებელი ქარხნის გუნდში (1933-1934), თბილისის ზიი-სა (1934-1935) და თბილისის "დინამოში" (1936-1951). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 180 მატჩი (99 გოლი). სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1939, 1940) და ოთხგზის მესამე (1936 შემოდგომა, 1946, 1947, 1950) პრიზიორი, სსრკ თასის გათამაშების სამგზის ფინალისტი (1936, 1937, 1946). გრიგორი ფედოტოვის სახელობის 100-ანთა კლუბის წევრი (135 გოლი). იყო თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი (1953-1954), სპორტსაზოგადოება "ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1955-1962), სპორტკომბინატ "დინამოს" დირექტორი (1963-1985). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის საპატიო მოქალაქე, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი (გარდაცვალების შემდეგ). 1990 წლიდან მის სახელს ატარებს თბილისის ეროვნული სტადიონი. გარდაიცვალა 1990 9 ოქტომბერს.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

მეორე წრის წინ

ჩიხურა

განგაში საჩხერეში

ხვიჩა ქასრაშვილი

ქართული სეზონის განახლებამდე ორიოდე კვირაა დარჩენილი, "ჩიხურას" კი, პირველი წრის შემდეგ, ერთი ვარჯიშიც არ ჩაუტარებია. როგორც იცით, საჩხერულ კლუბს დაფინანსება შეუწყდა, რის გამოც მისი მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია.

"ჩიხურა" უკვე დატოვა ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კი **ხვიჩა ქასრაშვილი** ფორმალურადღა რჩება. "მდგომარეობა საგანგაშოა, გუნდში მხოლოდ დუბლშემადგენლობის წევრები დარჩნენ. თუ უახლოეს დღეებში დაფინანსება აღგვიდგა, ახალ მოთამაშეებს შეძლებისდაგვარად დავიმატებთ და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძოლებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარც ჩემს დარჩენას ექნება აზრი და აღარც ჩემპიონატში მონაწილეობას", - ამბობს ქასრაშვილი.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა 13-მა გუნდმა გააგრძელოს. შესაძლებელია, "ჩიხურამ" საკუთარი ადგილი სხვა კლუბს მიჰყიდოს.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

სკონტო ქართველები დაიტოვა

რიგის "სკონტოში" **დავით გამეზარდაშვილის** დარჩენა გადაწყდა. ეს თავად გვითხრა გუშინ ლატვიაში დაკავშირებისას.

"როდესაც ლატვიელები დარწმუნდნენ, რომ "სკონტოს" ძირითად შემადგენლობაში მოვხვდებოდი, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. მეც არ მინდოდა ტყუილად გაჩერება, მაგრამ საკონტროლო მატჩებში მწვრთნელი ძირითადში მაყენებდა და მივხვდი, სანერვიულო არაფერი მაქვს".

უკვე საბოლოოდ მომჯობინდა **ზაალ ელიავა**, ძირითადში ადგილი დაიბრუნა და თბილისში ეროვნულ ნაკრებს 5 თებერვალს შეუერთდება.

რაც შეეხება **რეზო გეწაძეს**, შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის "ოლიმპს" მეორე წრეში ერთ-ერთ ლიდერის გარეშე მოუწევს თამაში - ნახევარმცველი კარიერას ლატვიის 13-გზის ჩემპიონში გააგრძელებს. იგი გუშინ, გვიან ღამით "სკონტოს" პრეზიდენტ **გუნტის ინდრიქსონს** სამწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა.

"ინდრიქსონს ვესაუბრე და 3-წლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ. შეხვედრის მთავარი მიზანი, ჩემი პირობების გარკვევა იყო და ესეც მოგვარდა", - გვითხრა რეზო გეწაძემ.

მერაბ მამულაშვილი

დავით გამეზარდაშვილი

ალადაშვილს არსენალში იწვევენ

კიევის "დინამომ" ისრაელში მეორე შეკრება დაასრულა. უკრაინული გუნდის ქართველი ფეხბურთელები ხელმძღვანელების დაბრუნებასა და საკუთარი მომავლის გარკვევას ცდილობენ.

როგორც შევიტყვეთ, **კახა ალადაშვილს** არჩევანის საშუალება მიეცა. მას გუშინ დავუკავშირდით და საინტერესო სიახლე გაგვანდო:

"არაა დასამალი, რომ არენდით კიევის "არსენალში" თამაშის საშუალება გამიჩნდა. ეს ჩემთვის საკმაოდ საინტერესო ვარიანტია. ამასთანავე, "დინამოს" მწვრთნელმა გუნდთან ერთად მესამე შეკრებაზე გამგზავრება შემომთავაზა. რა თქმა უნდა, "დინამოზე" ასე ხელაღებით უარს არ ვიტყვი, მაგრამ ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა. ამის მეტ პერსპექტივას კი "არსენალში" ვხედავ. ალბათ, ამ გუნდში გადავალ კიდეც, მაგრამ ჯერ საკითხი "დინამოს" მეპატრონესთან უნდა შევათანხმო". "არსენალში" გამოჩნდა **ლაშა ჯკაობია**, რომელიც კლუბს შეკრებაზე მიჰყვება.

გაურკვევლობაშია კიეველთა ქართველი მცველი **დავით იმედაშვილი**. დარჩება გუნდში თუ სხვაგან გააგრძელებს კარიერას, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ოთარ მარცვალაძე კი გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს თურქეთთან მატჩში ვერ დაეხმარება.

"სამწუხაროდ, კიევის "დინამოსთან" ერთად ვარჯიშს მხოლოდ 20 დღის შემდეგ თუ შევძლებ. ასე რომ, თურქებთან ჩემი თამაში გამორიცხულია. საერთოდ, მკურნალობის პროცესი კარგად მიმდინარეობს და იმედი მაქვს, რომ სეზონის დაწყებას გამოჯანმრთელებული შევხვდები".

მერაბ მამულაშვილი

კახეთი

კახელებს იმედი გაუჩნდათ

"ჩიხურას" კრიზისი უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლთათვის შესანიშნავი შანსია. მართალია, თელაველები საჩხერელებს საგრძნობლად ჩამორჩებიან, მაგრამ ამ სხვაობის გაქვითვა შეუძლებელი ნამდვილად არაა.

ვასილ არუდაშვილი და მისი შეგირდები შეკრებას ადგილზე გადიან. თელავში "კახეთი" ორჯერადად ვარჯიშობს – ფეხბურთელები დილას სატრენაჟორო დარბაზში იკრიბებიან, საღამოს კი უკვე ბურთს აგორებენ.

"კახეთს" **კვირკველია** დაუბრუნდა, რომელიც "ოლიმპში" ისინჯებოდა. ახალციხის "მესხეთიდან" კახელებმა **ჩოთლაშვილი** დაიმატეს, მეკარე **იაშვილი** კი ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

როგორც გახსოვთ, "ვიტ ჯორჯიაში" ისინჯებოდნენ **ბიძინაშვილი** და **იმერლიშვილი**. ვეტერინართა მთავარმა მწვრთნელმა **ნესტორ მუმლაძემ** ორივეს დატოვებაზე თანხმობა გაანაცხადა და დუეტმა კლუბთან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. თუმცა მეორე წრეში ამ კლუბში მხოლოდ ბიძინაშვილი იასპარეზებს, იმერლიშვილი კი "კახეთშივე" გაანათხოვრეს. არუდაშვილმა გასასინჯი ფეხბურთელებიდან ვერავინ აარჩია და ფონს ისევ ნაცადი კადრებით გავა.

ბოლო საკონტროლო მატჩი "კახეთმა" "ლაგოდეხთან" გამართა და 4:2 გაიმარჯვა. გოლები **ამირანიძემ, ტეტიაშვილმა, დავითაშვილმა** და **ბექა ბურნაძემ** გაიტანეს. თელაველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს.

ჩახუტაშვილი, კობაიძე, მურველაშვილი, გერგიშვილი, ჩოთლაშვილი, კუპრაშვილი, დავითაშვილი, ბ. ბურნაძე, მედოევი, ამირანიძე, გ. ხიდაშელი.

შეცვლაზე შევიდნენ: **ტეტიაშვილი, ახალბედაშვილი, ა. ბურნაძე, მ. ხიდაშელი.**

მომდევნო ამხანაგურ შეხვედრებს არუდაშვილის გუნდი "სპარტაკთან" (თბილისში) და "მერანთან" (გურჯაანში) ჩაატარებს.

ლევან ჯანეზაშვილი



გიორგი დემეტრაძე

დემეტრაძის 90 წუთი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა დინეცკის "მეტალურგმა" 1 თებერვალს ერთბაშად ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. **კო ადრიაანსეს** გუნდი ჯერ ლარაში რუმინულ "პანდურის" დაუპირისპირდა და ფრედ, 2:2 ეთამაშა, შემდეგ კი ახლოს მდებარე ბელექში სერბულ ოფკ-ს 3:1 მოუგო.

ბუნებრივია, გამოცდილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ფეხბურთელები ზედმეტ დატვირთვას მოარიდა და ამ მატჩებში სხვადასხვა შემადგენლობა დააყენა. **გიორგი დემეტრაძემ** ბელგრადელთა წინააღმდეგ ითამაშა და მოედანზე 90 წუთი გაატარა. მართალია, მას მეტოქის კარი არ დაულაშქრავს, მაგრამ როგორც უკრაინული პრესა იტყობინება, ქართველი ფორვარდი საკმაოდ აქტიური იყო და ბევრს მოძრაობდა.

ლევან ჯანეზაშვილი

უკრაინაში მოსამზადებლად

ჯემალ ჩიმაკაძეს მოთამაშის შერჩევა არ ეშლებოდა. ტყუპ **არველაძეებს, გოგიტა გოგუას, გიორგი კახელიშვილს** თვალი დაადგა და არც ერთში შემცდარა,

ჩიმაკაძე ორი წლის წინ გარდაიცვალა. მაშინ თბილისის "ლოკომოტივის" მწვრთნელად თენახევრის დანიშნული იყო. გარდაცვალებამდე კიდევ ერთი ნიჭიერი ბიჭზე - **ირაკლი ჟღენტზე** თქვა, კარგი ფეხბურთელი დადგებაო.

იგი უმაღლეს ლიგაში, 16 წლისა ქუთაისის "ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე შტელინმა** მიიწვია, მერე **რეზო არველაძეს** "ლოკომოტივში" ჰყავდა, **გიორგი დევდარიანს** - "თბილისში", ერთი ხანობა თურქეთის უმაღლესი დივიზიონის "დიარბაქირშიც" ვარჯიშობდა და ამის მერე მისი ასავალ-დასავალიც დაიკარგა.

დავადგინეთ, რომ ირაკლი ამჟამად უკრაინაშია. ამ 20 წლის ბიჭის მიზანსწრაფულობა დაუჯერებლად მოგეჩვენებათ. მას ძალიან კარგი ტექნიკა ჰქონდა, მაგრამ ფიზიკური სიძლიერით ვერ დაიკვეხნიდა და ნაკლის გამოსასწორებლად, შვიდი თვის წინ კიევში წასულა.

ირაკლიმ ზაფხულში "თბილისთან" კონტრაქტი გაწყვიტა და კიევის "დინამოს" ფიზმომზადების ყოფილ მწვრთნელთან ნახევარი წელი ივარჯიშა.

ჟღენტი კიევიდან მალე დაბრუნდება და როგორც გვითხრა, ფიზიკურად საკმაოდ მოლონიერდა. სად გააგრძელებს თამაშს, ჯერაც არ იცის. რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ის საუკეთესოს არჩევს.

მერაბ მამულაშვილი

ქართველები ბელარუსში

ბელარუსში საფეხბურთო ჩემპიონატი 15 აპრილის იწყება, ასე რომ, ამ ქვეყანაში სატრანსფერო ციებ-ცხელება ევროპისგან განსხვავებით გრძელდება და მასში ქართველი ფეხბურთელებიც მონაწილეობენ. ვერცხლის მედალოსანი მინსკის "დინამო" თავის რიგებში ქართველ ნახევარმცველ **ნოდარ მგალობლიშვილს** სინჯავს, რომელიც პირველი ლიგის "გაგრის" წევრია. ამის შესახებ „ლელო" უკვე წერდა რამდენიმე დღის წინათ. ახლახან მინსკის "დინამო" საკონტროლო მატჩში ჟოდინოს "ტორპედოს" შეხვდა, შეხვედრა 0:0 დასრულდა. მგალობლიშვილი **ვერეტილოს** ნაცვლად შესვენებაზე გამოჩნდა. ეს მისი პირველი მატჩი იყო "დინამოს" მაისურით.

ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე დასრულა ასპარეზობა "ნაფტანმა", რომლის შემადგენლობაში აღარ ითამაშებს ფორვარდი **სულიკო კაკაბაძე**. კაკაბაძე ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერთაგანი იყო, თუმცა ბოლო წელს მან ტრავმის გამო მხოლოდ 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლი გაიტანა. ზამთრის პაუზისას 28 წლის კაკაბაძემ ახალი კლუბი მოძებნა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი "სმორგონი". "ნაფტანში" იყო **მურთაზ ბურნაძეც** (6 მატჩი), რომელიც რუსთავის "ოლიმპში" ცდილობდა დამკვიდრებას.

"ნემანმა" უკვე დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის, მის რიგებში რჩება **ნიკოლოზ ზედელაშვილი**. "ნემანმა" უმაღლესიდან გავარდნილი "ბელშინა" 3:0 გაანადგურა. ზედელაშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა. 23 წლის ქართველმა ნახევარმცველმა შარშან 22 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ბრესტის "დინამოში" რჩება ნახევარმცველი **რომან გოგინაშვილი**, რომელმაც შარშან 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა. გოგინაშვილმა თურქულ შეკრებაზე წასვლის წინ ახალი კონტრაქტი გააფორმა თავის კლუბთან. შეკრებაზე პირველ მატჩში "დინამო" რუმინულ "ოცელულს" დაუზავდა, ქართველს არ უთამაშია.

შარშან უმაღლესი ლიგიდან გავარდა მინსკის "ლოკომოტივი", რომლის ღირსებასაც ქართველი გოლკიპერი **დავით ხმელიძე** იცავდა. დავითმა სეზონის მეორე ნახევარში შვიდ მატჩში რვა გოლი გაუშვა, თუმცა კლუბი დაქვეითებისგან ვეღარ იხსნა. ჩემპიონატის ბოლო ნაწილი ითამაშა **თამაზ პერტიამაც** (7 მატჩი, 3 გოლი), რომელიც ჯერ ლიტვაში, იქიდან კი ლატვიაში დაბრუნდა. ბოლო ადგილზე გავიდა "ბელშინა", რომლის კაპიტანი **ალექსანდრე შუბლაძე** იყო (25 მატჩი).

სხვათა შორის, ბელარუსშიც ლეგიონერთათვის შეზღუდვები დაწესდა, ამიტომ ამ ქვეყანაში სხვა ქართველთა გადინება ნაკლებად მოსალოდნელია. საქმე ისაა, რომ ახალ სეზონში მოედანზე ერთდორულად მხოლოდ 4 ლეგიონერის გამოყვანაა ნებადართული, თითოეული ახალი ლეგიონერის გატარება კი ათასი ევრო ჯდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სირაძემაც ვერ უშველათ

წუხელ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა **დავით სირაძის** "აუემ", რომელიც შინ 0:1 დამარცხდა "დუისბურგთან". გამარჯვების გოლი 56-ე წუთზე სტუმართა ნახევარმცველმა **კურცმა** გაიტანა. ქართველი ფეხბურთელი კვლავ არ ყოფილა სასტარტო შემადგენლობაში, ის მოედანზე 64-ე წუთზე გამოჩნდა **ჰელერის** ნაცვლად. მართალია, "აუე" 33 ქულით კვლავ მეოთხე ადგილზე დარჩა, თუმცა ნინ მდგომ "პანზას" ოთხი ქულით ჩამორჩება და მატჩით მეტი აქვს გამართული. შეგახსენებთ, რომ კლუბში ერთი კვირის განმავლობაში ისინჯებოდნენ დინამოელი **შოთა გრიგალაშვილი** და ზესტაფონელი **ბექა გოცირიძე**, რომლებიც საბოლოოდ სამშობლოში გამოემგზავრნენ.

კვარტეტი · 350 რჩეულში

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) გამოაქვეყნა საფეხბურთო კლუბების წლის საბოლოო რეიტინგ-ლისტი. 350 რჩეულ კლუბს შორის კვლავ ოთხი ქართული გუნდია. 227-ე პოზიცია უჭირავს საქართველოს თასის მფლობელ "ამერს", 283-ეა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ბოლნისის "სიონი", 290-ე ადგილზეა "ზესტაფონი", ხოლო 314-ზე - "ვიტ ჯორჯია" განთავსდა. როგორც ხედავთ, რჩეულთა შორის არ არიან ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის "დინამო" და სამგზის ჩემპიონი ქუთაისის "ტორპედო".

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური წინ

მანჩესტერის რთული გასვლა

ტერი ისევ მწყობრშია, ჩელსი დაცვას იბრუნებს

დღეს

ლივერპული-ევერტონი
ასტონ ვილა-ვესტ ჰემი
ბლექბერნი-შეფილდ იუნაიტედი
ჩარლტონი-ჩელსი
ფულჰემი-ნიუკასლი
მანჩესტერ სითი-რედინგი
უოტფორდი-ბოლტონი
ვიგანი-პორტსმუთი
მიდლსბრო-არსენალი

ხვალ

ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი

შუა კვირაში გამართულ ტურს პრემიერლიგის ცხრილში არაფერი შეუცვლია - "მანჩესტერ იუნაიტედმაც" მოიგო ("უოტფორდთან" 4:0) და "ჩელსმაც" ("ბლექბერნთან" 3:0). მაგრამ "ჩელსის" კიდევ ერთი მცველი დაუშავდა. **ეშლი კოულმა** მუხლის მყესები დაიზიანა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. *"ის არ არის კარგად, სიარული უჭირს. მგონი, რაღაც სერიოზული ტრავმაა,"* - თქვა **ჟოზე მოურინიომ**, როცა შეგირდის ამბავი გამოჰკითხეს. "ჩელსის" მწვრთნელს ხასიათი გამოუკეთა იმან, რომ ორთვიანი პაუზის შემდეგ მწყობრში ჩადგა კაპიტანი **ჯონ ტერი**, **ხალიდ ბულარუზმა** კი ვარჯიში განაახლა. კოულის ადგილს მარცხენა ფლანგზე **უეინ ბრიჯი** დაიჭერს. მოგეხსენებათ, იანვრის ტრანსფერებისას "არისტოკრატებს" არავინ უყიდიათ.

შემადგენლობა არც "მანჩესტერ იუნაიტედს" გაუძლიერებია - **ჰენრიკ ლარსონის** ორთვენახევრიან იჯარას თუ არ ჩავთვლით. შვედმა ვეტერანმა "უოტფორდთან" პრემიერლიგის პირველი გოლი შეაგდო (იქამდე ლიგის თასზე ჰქონდა გატანილი). გამოჯანმრთელდა **ლუის საა**, მაგრამ უცნობია, დააყენებენ თუ არა ძირითადში. ფრანგის ადგილს ისევ **ოლე გუნარ სოლსკიაერი** უმიზნებს. ლარსონი სკამზე ჯდომას შეგუებულია.

ოთხშაბათს "არსენალი" ლიგის თასის ფინალში გავიდა ("ტოტენჰემს" დამატებულ დროში მოუგო). დღეს ის "მიდლსბროს" ესტუმრება. საექჭოა **ემანუელ ადებაიორის** თამაში. ტოგოელ თავდამსხმელს მუხლის ტრავმა აქვს. შვებულებაშია მეორე ემანუელი - **ებუე**, რომელსაც კოჭი ანუხებს. "ტოტენჰემთან" მატჩში ფეხი გადაუბრუნდა **აბუდიაბის** და ისიც დაისვენებს.

გადავინაცვლოთ "ლივერპულში". **რაფა ბენიტესის** გუნდი საუცხოოდ ათამაშდა. მან ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო, "ენფილდზე" კი 28-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. მერსისაიდელებს შინ 28 ოქტომბრის (მატჩი "ასტონ ვილასთან") შემდეგ არ გაუშვიათ გოლი. მათი საშინაო მშრალი სერია 664 წუთს (11 საათი და ოთხი წუთი) მოიცავს.

176-ე ლივერპულურ დერბიში მასპინძლებს **ფაბიო აურელიო** ვერ დაეხმარება. მხარის ტრავმისგან განიკურნა **მომო სისოკო**, მაგრამ მწვრთნელები მის დაყენებას ჯერ არ რისკავენ. მწყობრშია **ბუდეინი ზენდენიც**. ესპანელი ახალწვეული **ალვარო არბელოა** კი პირდაპირ სადღეისო განაცხადში მოხვდა.

ევერტონელებს ორი წამყვანი ფეხბურთელი - **ტონი ჰიბერტი** და **ენდრიუ ჯონსონი** ჰყავთ დაშავებული. ტრავმა აქვს **მანუელ ფერნანდესსაც**, რომელსაც დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია.

სხვა მატჩებში "ბლექბერნი" იმ "შეფილდ იუნაიტედს" უმასპინძლებს, რომელსაც შვიდი თამაშია, არ წაუგია. "ვესტ ჰემი" კრიზისში მყოფ "ასტონ ვილას" ესტუმრება, "ვიგანი", რომელმაც ზედიზედ რვა თამაში წააგო (საკლუბო ანტირეკორდი), "პორტსმუთს" მიიღებს, ხოლო წყალწაღებული "უოტფორდი" - "ბოლტონს".

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერ იუნ	25	19	3	3	57-18	60
2. ჩელსი	25	16	6	3	44-19	54
3. ლივერპული	25	15	4	6	39-17	49
4. არსენალი	24	13	6	5	45-20	45
5. ბოლტონი	25	12	5	8	29-27	41
6. პორტსმუთი	25	10	8	7	34-24	38
7. რედინგი	25	11	4	10	37-34	37
8. ევერტონი	24	9	8	7	31-23	35
9. ნიუკასლი	25	9	6	10	31-33	33
10. ტოტენჰემი	24	9	6	9	29-32	33
11. მიდლსბრო	25	8	7	10	29-29	31
12. ბლექბერნი	25	9	4	12	28-36	31
13. მანჩესტერ ს	24	8	6	10	19-28	30
14. ასტონ ვილა	25	6	11	8	27-31	29
15. ფულჰემი	25	6	11	8	26-38	29
16. შეფილდი	25	7	6	12	21-33	27
17. ვიგანი	24	6	4	14	25-41	22
18. ვესტ ჰემი	25	5	5	15	18-40	20
19. ჩარლტონი	25	5	5	15	20-44	20
20. უოტფორდი	24	2	9	13	14-36	15



არისტოკრატები კაპიტნის დაბრუნებას ელირსნენ

მანჩესტერ იუნაიტედის ბედს ლივერპულიც გაიზიარებს

გარიგების მოლოდინში

მესამე ამერიკელი პრემიერლიგაში

ლივერპულის მომავალი ბოსები ფეხბურთს ჰოკეის შეუთავსებენ...

"ლივერპულს" ამერიკელები ყიდულობენ. ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში პოტენციურ ინვესტორად "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" (DIC) მიიჩნეოდა. ოთხშაბათს არაბულმა მხარემ საკუთარი შეთავაზება (882 მილიონი დოლარის ოდენობით) უკან წაიღო. მიზეზი მეორე დღეს გახმაურდა. "ლივერპულის" ხელმძღვანელობამ დუბაელებს აუწყა, რომ პასუხს ამერიკელთა წინადადების განხილვის შემდეგ მიიღებდნენ. DIC მოლაპარაკებებიდან გავიდა. "გარდიანის" ცნობით, მან "ნიუკასლის" შეძენაზე დაიწყო ფიქრი.

"ლივერპულს" დრო უქმად არ დაუკარგავს და **ჯორჯ ჯილეტ-უმცროსთან** გარიგება პრაქტიკულად სრულყო. შეგახსენებთ, ეს ადამიანი ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "მონრეალ კანადიერსის" მეპატრონეა. მიუხედავად იმისა, რომ ჯილეტი სოლიდურ ფინანსურ რესურსებს ფლობს, მერსისაიდელებთან მიმართებაში მარტო არ არის. მას პარტნიორი გამოუჩნდა NHL-ის კიდევ ერთი კლუბის ბოსის სახით. საუბარია "დალას სტარსის" მეპატრონე **ტომ ჰიკსზე**, რომელმაც ინგლისურ გრანდში საკუთარი კაპიტალის დაბანდება გადაწყვიტა. ცნობისთვის, ჰიკსი ბეისბოლის ეროვნული ლიგის კლუბ "ტექსას რეინჯერსსაც" ფლობს.

ამერიკელთა თავდაპირველი შეთავაზება ახალი სტადიონის პროექტს არ მოიცავდა, მაგრამ მოლაპარაკებების შედეგად, გადაწყდა, რომ ისინი ახალ არენასაც ააშენებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ლივერპულსა" და "ევერტონს" საერთო სახლი არ ექნებათ. კლუბებს განზრახული ჰქონდათ, თუ ინვესტორს ვერ მოიძიებდნენ, საერთო ძალისხმევით დიდი თანამედროვე სტადიონი აღემართათ. "ლივერპულმა" ფული, როგორც ჩანს, იშოვა, "ევერტონს" კი ისევ "გუდისონ პარკის" იმედად მოუწევს ყოფნა. გარიგება ჯილეტს, ჰიკსსა და "ლივერპულს" შორის მომავალი კვირის დასაწყისში უნდა გაფორმდეს.

აღსანიშნავია, რომ ჯილეტმა მსხვილი ინვესტიციების თანამდევი ფორმალობები სარეკორდოდ მცირე დროში მოაგვარა. მისმა იურისტებმა "ლივერპულის" ფინანსური დოკუმენტები სამ დღეში შეისწავლეს. არაბები კი "ლივერპულის" სამზარეულოში თითქმის ორი თვე იქექებოდნენ.

გუშინდელმა "ინდეპენდენტმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელმაც მერსისაიდელი ფანები, შეიძლება, შეაშფოთოს. საქმე ისაა, რომ 1992 წელს ჯორჯ ჯილეტი-უმცროსის ბიზნესმა (ბრიტანული გამოცემა ბიზნესის სფეროს არ ასახელებს) კრახი იწვნია და გაკოტრდა, თუმცა, როგორც ჩანს, მას მერე 68 წლის საქმოსანმა მდგომარეობის გამოსწორება შეძლო.

"ლივერპულთან" გარიგების დეტალებზე თითქმის არაფერია ცნობილი. მხარეები ოფიციალურ კომენტარებს მოგვიანებით გაავრცელებენ. თუ ჯილეტისა და ჰიკსის შეთავაზება გავა, ენფილდური გრანდი პრემიერლიგის მესამე კლუბი გახდება, რომელსაც ამერიკელები დაეპატრონებიან. აქამდე მსგავსი ინვესტიცია "მანჩესტერ იუნაიტედის" ბოსმა **მალკოლმ გლეიზერმა** და "ასტონ ვილის" მეპატრონემ, **რენდი ლერნერმა** განახორციელეს.

ჰამბურგი

დოლი სტევენსმა შეცვალა

მაგათმა ჰამბურგს ვაშკაცური უარი უთხრა...

"ბაიერნიდან" გაგდებულმა **ფელიქს მაგათმა** უმძიმეს გასაჭირში მყოფი "ჰამბურგის" გაწვრთნა იუარა. არადა, ჯერ კიდევ ხუთშაბათს გარიგება თითქმის გაჩარხული იყო - "დესპოტი ფელიქსი" ჰამბურგში ჩავიდა და HSV-ს ხელმძღვანელებს შეხვდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მხარეები იოლად შეთანხმდებოდნენ, მაგრამ მაგათმა საბოლოოდ უარი თქვა, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლუბის ბოსების ბრალია.

"პრეზიდენტმა ბერნდ ჰოფმანმა და სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაიერსდორფერმა ძალიან კარგი პირობები, სარფიანი კონტრაქტი და მაღალი ხელფასი შემომთავაზეს. ერთი სიტყვით, ისეა დამრჩენოდა, რომ თანხმობა მეთქვა. თანაც ყველამ იცის, რომ "ჰამბურგი" ძალიან მიყვარს. აქტიური სპორტული კარიერის საუკეთესო წლები ამ გუნდში გავატარე და ერთხელ უკვე ვწვთნიდი კიდეც. მაგრამ ბოსებმა მითხრეს, რომ ჩემამდე ისინი უკვე მოურიგდნენ ჰუუბ სტევენსს და ჩემზე მხოლოდ იმიტომ გადმოერთვნენ, რომ მოულოდნელად უმუშევარი დავრჩი. როგორც კი ეს გავიგე, მაშინვე ვუთხარი, რომ ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი. არ მინდა, რომ სტევენსს სამსახური ასე უტიფრად წავართვა. მოკლედ, როცა ეს გავიგე, "ჰამბურგში" მუშაობის დაწყება მაშინვე გამოვრიცხე," - ასე განუმარტა მაგათმა "ბილდს" უარის მიზეზი.

არადა, მაგათის დანიშვნას ყველაზე მეტად გუნდის ფანები ითხოვდნენ. ჯერ კიდევ სამშაბათს, "კოტბუსთან" მატჩის დროს, როცა გუნდის მწვრთნელი **თომას დოლი** იყო, გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე არაერთი ტრანსფარანტი გადაფინეს წარწერებით: *"გაუშვით დოლი, დააბრუნეთ მაგათი! ჩვენ მხოლოდ ფელიქსი თუ გადაგვარჩენს!"* რა გასაკვირია, რომ კლუბის შეფები მაგათის მიუხედავად გაგდების შემდეგ მაშინვე დაფაცურდნენ, ფელიქსთან მოლაპარაკებები წამოიწყეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ. ამრიგად, **ჰოფმანი** და **ბაიერსდორფერი** იძულებულები გახდნენ, ისევ **სტევენსზე** გადართულიყვნენ. ის, რომ "ჰამბურგს" 53 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი გაწვრთნის, გუშინვე დადასტურდა. გარკვევა გახლდათ მხოლოდ რამდენიმე დეტალი, მათ შორის ისიც, თუ როდის დაიწყებდა ჰუუბი მუშაობას.

გუშინ დილით სტევენსმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ასეთი რამ უთხრა: *"დღესვე ბერლინში გავფრინდები (ჰამბურგი ბერლინშია და დღეს "ჰერტასა" სტუმრობს) და ფეხბურთელებს გავიცნობ. ეს უკვე გადაწყვეტილია. მაგრამ გამორიცხულია ის, რომ შაბათს გუნდი მოედანზე მე გავიყვანო. მივიჩნევ, რომ ეს დიდი სისულელე იქნებოდა. უპრიანი იქნება, რომ მუშაობას კვირას ან ორშაბათს შევუდგე."* გამორიცხული არ არის, რომ დღეს "ჰამბურგი" ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" მაინც სტევენსმა გაიყვანოს (თუ ბოსებმა დაითანხმეს), მაგრამ უფრო დიდი შანსია, რომ ეს ასე არ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში, "ჰერტასთან" HSV-ს მწვრთნელი მოყვარულების დამრიგებელი **კარსტენ ბერონი** იქნება.

ბაერსდორფერის თქმით, სტევენსი "ჰამბურგთან" კონტრაქტს 2008 წლამდე გააფორმებს. *"ჰუუბის სახით ძალიან გამოცდილი და კარგი სპეციალისტი გადმოვიბირეთ. ბედნიერი ვარ, რომ გარიგება შედგა. მჯერა, სტევენსი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან გვიხსნის,"* - განაცხადა ბაიერსდორფერმა. *"ჰამბურგი" უდიდესი ტრადიციების გუნდია, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში არ უნდა გავარდეს! ეს წარმოუდგენელი და დაუშვებელია. ჩემი აზრით, HSV-ს შესწევს იმის უნარი, რომ ელიტაში ადგილი შეინარჩუნოს,"* - ეს კი სტევენსის სიტყვები გახლავთ.

ჰუუბ სტევენსისთვის ბუნდესლიგა უცხო ნამდვილად არ არის. ჰოლანდიელი სხვადასხვა დროს "შალკეს" (1996-2002), "ჰერტას" (2002-2003) და "კიოლნს" წვრთნიდა. ყველაზე წარმატებული აქედან გელზენკირხენული ხანა გამოდგა, სადაც მან უეფას თასი მოიგო და 2001 წელს გუნდი კინაღამ გერმანიის ჩემპიონი გახადა. "ჰერტაში" მცირე ხნით იყო, "კიოლნი" კი მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღაზევა. მოკლედ, დღეს, ხვალ ან ზეგ: სტევენსი გერმანიაში ბრუნდება!


ჰუუბ სტევენსი ბუნდესლიგაში დაბრუნდა

გოტფრიდ ლენცი

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის წინ

ხვალ ბრემენში: შალკეს კობიაშვილი არ ეყოლება!

ვეზერშტადიონზე გერმანიის ჩემპიონის ბედი წყდება?

ლევან კობიაშვილი ტორსტენ ფრინგსის წინააღმდეგ. ხვალ ეს ბრძოლა არ შედგება

ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-ბაიერნი *იხ. გე-15 გვერდზე*

დღეს

ჰერთა-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი
არმინია-ბორუსია (მ)
აინტრახტი-მაინცი
ალემანია-ჰანოვერი
კოტბუსი-ბოზუმი

ხვალ

ვერდერი-შალკე
ბორუსია (დ)-შტუტგარტი

წუხელ **ოტმარ ჰიტცფელდს** "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში მეორე დებიუტი ჰქონდა. რეკორდმაისტერი, რომელმაც უდავოდ მძიმე კვირა გადაიტანა, "ნიურნბერგს" სტუმრობდა. ამ შეხვედრის დეტალურ მიმოხილვას "ლელოს" ორშაბათის ნომერში წაიკითხავთ. რაკი წინა ტურმა ერთბაშად სამი მწვრთნელი შეიწირა (თუმცა **ჰაინესზე** მთლად ასე ვერ ვიტყვით, რადგან "დონ იუანი" საკუთარი ნება-სურვილით გადადგა), მიმდინარე ტური გამორჩეულად დამაინტრიგებელი და საინტერესო უნდა გამოვიდეს. თავად განსაჯეთ, "ბაიერნის" გარდა, მწვრთნელი გაუშვეს ადგილამდე დაქვეითებულ "ჰამბურგშიც". და რაც ყველაზე მთავარია, ხვალ ბრემენში მიმდინარე სეზონის გიგანტების ჯახია: "ვერდერი" "შალკეს" მასპინძლობს. თუ რომელიმე მათგანი მოიგებს, ერთპიროვნული ლიდერი გახდება.

ამ შეხვედრაში რამდენიმე მეტად საინტერესო დუელი გაიმართება: **მიროსლავ კლოზე** (11 გოლი) **კევინ კურანის** (8 გოლი) წინააღმდეგ; ბუნდესლიგის საუკეთესო ფლეიმეიქერი **დიეგო** თავისი თანამემამულისა და ასევე ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის, **ლინკოლნის** წინააღმდეგ; ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი **მარსელო ბორდონი**, ასევე ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელის, **ნალდოს** წინააღმდეგ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ "ვერდერსაცა" და "შალკესაც" მნიშვნელოვანი ფეხბურთელები აკლიათ. "მუსიკოსები" დისკვალიფიკაციის გამო **ტორსტენ ფრინგსს** ვერ გამოიყენებენ, ვერ ითამაშებს კაპიტანი **ფრანკ ბაუმანიც**. გარდა ამისა, საეჭვოა "ვერდერის" ძირითადი გოლკიპერის, **ტიმ ვიზეს** ასპარეზობაც, რომელსაც კუნთი დაეჭიმა და ვერც "ლევერკუზენთან" იასპარეზა. მიუხედავად იმისა, რომ "ვეზერშტადიონზე" გასამართ ამ მატჩს ყველა მიმდინარე სეზონის ფინალს უწოდებს, ბრემენული კლუბის მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ასე არ ფიქრობს: *"თუ მოვიგებთ, სამქულიანი უპირატესობა გვექნება და მეტი არაფერი. ხოლო თუ წავაგებთ, "შალკეს" სამი ქულით ჩამოვრჩებით და ვერც ამ შემთხვევაში იტყვის ვინმე, რომ ბუნდესლიგის ჩემპიონი გარკვეულია. ეს არ არის საუკუნის მატჩი, ეს ერთი ჩვეულებრივი შეხვედრაა,"* - მიაჩნია "ვერდერის" ბოსს.

სამაგიეროდ, გელზენკირხენელები გაცილებით მონდომებულები და მოტივირებულები არიან. კურანი აცხადებს, რომ ეს ფინალია და გამარჯვებული გერმანიის ჩემპიონი გახდება. თავდამსხმელი, რომელიც ხუთშაბათს გერმანიის ნაკრებშიც დააბრუნეს, პირდაპირ ამბობს, რომ "შალკე" ბრემენში მოსაგებად, ანუ სამი ქულისთვის ჩადის. გელზენკირხენელები მარჯვენა მცველ **რაფინიას** მოისაკლისებენ - ბრაზილიელი დისკვალიფიცირებულია. მას ალბათ, **ჰამით ალთინთოფი** შეცვლის. გამორიცხული არაა, რომ **მირკო სლომკამ** ტაქტიკა შეცვალოს და სულაც სამი მცველით იასპარეზოს, მით უმეტეს, რომ მას მარცხენა მცველი **პანდერი** დამტვრეული ჰყავს. გარკვეულია, რომ სლომკას ვერც **ლევან კობიაშვილი** დაეხმარება. ქართველ ნახევარმცველს ტრავმამ ისევ შეახსენა თავი და ამრიგად, კობის თამაში გუშინვე გამოირიცხა. აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში "შალკემ" "ვერდერს" "ფელტინს არენაზე" 2:0 მოუგო. ბარემ, ხვალინდელ დღეზე აქვე მოვრჩეთ: სუპერ-ჯახის პარალელურად, დორტმუნდის "ბორუსიაი" "შტუტგარტს" უმასპინძლებს და რომ არა "ვერდერი"-"შალკე", ტურის ცენტრალურ შეხვედრად უდავოდ ეს მატჩი მოინათლებოდა.

დღევანდელი თამაშებიდან ყველაზე საინტერესო "ჰერტასა" და "ჰამბურგის" დაპირისპირებაა. ბერლინელებმა ოთხშაბათს ჰანოვერში 0:5 (!) წააგეს და განადგურებულები არიან. აქ ორი ვარიანტია: "ჰერტა" აუტსაიდერთან ან ძალიან კარგად ითამაშებს, ანაც პირიქით. თუ დედაქალაქელები HSV-ს ვერ მოუგებენ, დიდი შანსია, რომ ერთ კვირაში მეოთხე ბუნდესლიგელი მწვრთნელი დარჩეს უმუშევრად - საუბარი, რა თქმა უნდა, "ჰერტას" თავკაც **ფალკო გიოტცჰეა**, თორემ "ჰამბურგმა" თავისი მწვრთნელი უკვე გააგდო. არის იმის შანსი, რომ დღეს ბერლინში HSV **ჰუუბ სტეევენსმა** დამოძღვროს, სპეციალისტმა, რომელსაც ბუნდესლიგაში მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. ჰო, რაც არ უნდა "დაუჯერებელი" იყოს, "ჰამბურგის" მწვრთნელი **თომას დოლი** აღარ არის. დღეს თუ არა, უახლოეს მომავალში მაინც გაირკვევა, იყო თუ არა HSV-ს არანორმალური წარუმატებლობა თომასის ბრალი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ჰამბურგს" **რაფაელ ვან დერ ვაარტი** უბრუნდება - ჩრდილოგერმანული კლუბის ჰოლანდიელ ლიდერს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა.

სხვა მატჩებში ინტრიგა ნაკლებია. ვოლფსბურგში **მარსელინიო** და კომპანია "ვერდერისგან" გამწარებულ "ლევერკუზენს" უმასპინძლებს. მიონხენგლადბახის "ბორუსიას" ბილეფელდში გადამდგარი **იუპ ჰაინკესის** ასისტენტი, **იოს ლუჰუკეი** დამოძღვრავს. "ჰერტას" გამანადგურებელი "ჰანოვერი" "ალემანიას" ესტუმრება და საინტერესოა, რომ წითლების მწვრთნელი დიტერ ჰეკინკი აახენური კლუბის ყოფილი დამრიგებელია. მიმდინარე სეზონი "ალემანიამ" სწორედ ჰეკინგთან ერთად დაიწყო და მერე "ჰანოვერში" გადავიდა, რის გამოც დღეს "ტივოლიზე" აახენელი ფანები სტვენით შეხვდებიან. "მაინცი" კი, რომელმაც მეორე წრის ორივე თამაში მოიგო, ფრანკფურტში ჩადის.

	თ	ა	ფ	წ	ბ	ქ
1. ვერდერი	19	13	3	3	52-22	42
2. შალკე	19	13	3	3	34-19	42
3. შტუტგარტი	19	10	5	4	32-25	35
4. ბაიერნი	19	10	4	5	32-22	34
5. ჰერტა	19	8	6	5	30-30	30
6. ლევერკუზენი	19	8	4	7	31-28	28
7. ნიურნბერგი	19	5	12	2	25-17	27
8. ბორუსია (დ)	19	6	7	6	24-24	25
9. არმინია	19	5	8	6	26-23	23
10. ჰანოვერი	19	6	5	8	21-29	23
11. კოტბუსი	19	5	6	8	22-26	21
12. აინტრახტი	19	4	9	6	25-33	21
13. ვოლფსბურგი	19	4	8	7	15-20	20
14. ალემანია	19	5	4	10	31-38	19
15. ბოზუმი	19	5	4	10	22-31	19
16. მაინცი	19	3	8	8	13-30	17
17. ბორუსია (მ)	19	4	4	11	14-26	16
18. ჰამბურგი	19	1	12	6	18-24	15



ფრანც ბეკენბაუერი, კარლ ჰაინც რუმენიგე და ოტმარ ჰიტცფელდი

ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

ჰიტცფელდის დაბრუნება იდეალური ვარიანტია

კაიზერი: ფელიქსს სადავეები გაექცა, ოტმარმა კი დაისვენა და ძველებურად გულანთებულია!

კი ამბობენ, ფრანც ბეკენბაუერი "ბაიერნის" ფორმალური პრეზიდენტია, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კი ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე და მენეჯერი ული ჰიონესი იღებენო, მაგრამ ფაქტია, რომ რეკორდმაისტერში კაიზერ-ფრანცის გარეშე არაფერი ხდება. ბეკენბაუერი "ბაიერნის" პრეზიდენტი 1994 წლიდანაა. გასული წლის ნოემბერში ის კიდევ ერთხელ აირჩიეს - 2009 წლამდე. "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში კაიზერი "ბაიერნში" შექმნილ მდგომარეობას მიმოიხილავს, საუბრობს ფელიქს მაგათის გათავისუფლებისა და ოტმარ ჰიტცფელდის დაბრუნების მიზეზებსა და პერსპექტივებზე. მიუნხენურ გიგანტში ბეკენბაუერის სიტყვა კანონია, ასე რომ, გაეცანით "ბაიერნის" "კანონებს"...

- ჰერ ბეკენბაუერ, გვეჩვენება, რომ ფელიქს მაგათის გათავისუფლება პანიკის შედეგად მიღებული, ძალიან ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო და არა კარგად დაგეგმილი და მოფიქრებული ცვლილება...

- პანიკაო? არავითარ შემთხვევაში! ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ ეს სეზონი გადავარჩინოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაში "რეალის" დამარცხება და მეოთხედფინალში გასვლა გვსურს, ბუნდესლიგაში კი მინიმუმ საუკეთესო სამეულში მოხვედრა და საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება. როგორც კი დავინახეთ, რომ სეზონის ჩაგდების სერიოზული საფრთხის წინაშე დავდექით, მაშინვე ვიმოქმედეთ. ხომ ხვდებით, ჩვენ ისიც კი უნდა ავიტანოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრა გვემუქრება. სამაგიეროდ, "ზალცბურგის" შეფებს უკვე უხარიათ, რომ დიდი შანსია, ზაფხულში ამ გუნდს "ბაიერნი" ესტუმროს...

- და თქვენ ფიქრობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა ფელიქს მაგათთან ერთად შეუძლებელი იყო?

- ფელიქსმა წინა ორ სეზონში დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი მწვრთნელია. მაგრამ თვალშისაცემი იყო ის, რომ მიმდინარე სეზონში მას სადავეები ხელიდან გაექცა. არ დაგავიწყდეთ, რომ მაგათს ძალიან კარგად და ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, როცა ის ფეხბურთს თამაშობდა. ფელიქსი ნამდვილი ხარია, ხარი, რომელიც ძალიან ცოტას ლაპარაკობს. არადა, ფეხბურთელებს ზოგჯერ ხმამაღალი შეძახილები სჭირდებათ.

- ბევრი ფიქრობს, რომ "ბაიერნის" მთავარი პრობლემა არა მწვრთნელი, არამედ გუნდი და ხელმძღვანელებია...

- ყველას თავისი აზრი აქვს. ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ მიხაელ ბალაკის წასვლამ გუნდის იერარქიაში გაცილებით დიდი და სერიოზული ვაკუუმი წარმოქმნა, ვიდრე წარმოგვედგინა. ჰო, ახლა თქვენ მეტყვით, როცა მიხაელი "ბაიერნში" თამაშობდა, მის გარეშე გუნდმა 22-იდან 21 შეხვედრა მოიგოო, მაგრამ ეს მხოლოდ მშრალი სტატისტიკაა. ფაქტი კი ის არის, რომ ნახევარდაცვაში გვაკლია კაცი, რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს. ლიდერი გვაკლია.

- მიმომხილველთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი ვეღარ გახდება...

- ყველას, ვინც ასე ფიქრობს, აბსოლუტურად ვეთანხმები. შეხედეთ, უკვე რამდენი ქულით ჩამოვრჩებით ლიდერებს. იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ, ძალიან გრძელი მოგებათა სერია, ასევე "ვერდერისა" და "შალკეს" კრიზისია საჭირო. იოლი მისახვედრია, რომ ეს ერთობ არარეალურია.

- 24 საათის განმავლობაში ბუნდესლიგის სამი მწვრთნელი დარჩა უმუშევარი. ამაზე რას იტყოდით?

- (იცინის) ჰო, ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს გუნდები ერთმანეთში შეთანხმდნენ და მერე პრესასაც მოურიგდნენ. ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ლიგას ინტრიგა მოემატა. ერთი სიტყვით, ბუნდესლიგა ამ კვირაში გამოცოცხლდა. როცა ბევრი რამ ხდება, ყოველთვის საინტერესოა. ხუმრობა იქით იყოს და როცა ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს, რაღაც უნდა მოიმოქმედო.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდო და გალიანი გუშინდელი პრეზენტაციის დროს

გუშინ

კაგლიარი-პალერმო *იხ. მე-15 გვერდი*

დღეს

რეჯინა-მესინა
ლივორნო-კალიარი

ხვალ

ასკოლი-მილანი
ემპოლი-პადალნა
ლაციო-კიევო
პარმა-ფიორენტინა
სიენა-ბორინო
უდინეზე-სამპდორია
ინტერი-რომა

სერია A-ს 22-ე ტურში შაბათი დღე გადარჩენისთვის მებრძოლ გუნდებს დაეთმობათ, მთავარი მოვლენები კი საკვირაო შეხვედრებში განვითარდება. წინა ტურში „მილანმა“ შინ „პარმას“ გაჭირვებით მოუგო (1:0), ახლა კი აუტსაიდერ „ასკოლის“ სტუმრობს. ყველა მოუთმენლად ელის **რონალდოს** დებიუტს „შავ-წითელი“ მაისურით. ცნობილია, რომ ბრაზილიელი ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არაა (თუმცა ბევრიც არ უკლია, ისეთი მონდომებით ვარჯიშობს, რომ მალე აღიდგენსო), მაგრამ იტალიური პრესის თანახმად, ასკოლიში სათადარიგოთა სკამზე აუცილებლად იქნება და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ბოლო 15-20 წუთში მოედანზეც უნდა გამოჩნდეს. ოთხშაბათს „მილანმა“ იტალიის თასის განმეორებით ნახევარფინალში „რომას“ მოედანზე 1:3 წააგო (პირველი შეხვედრა 2:2) და ტურნირს გამოეთიშა. ამ თამაშში ტრავმები მიიღეს **დიდამ** და **ინძაგიმ**. ბრაზილიელმა მეკარემ ზურგის კუნთი იტკინა და ერთი თვე ვერ ითამაშებს. რაკი **კალაჩიც** დაშავებულია, ხვალ მილანელთა კარს იანვარში „მესინიდან“ ნაყიდი **სტორარი** დაიცავს. ამასობაში გამოჯანმრთელდა **კახა კალაძე** და სავარაუდოდ, ძირითადში ითამაშებს. „მილანმა“ „ასკოლის“ პირველ წრეში 1:0 მოუგო.

იტალია. სერია A. XXII ტურის წინ

სუპერმატჩი სან სიროზე და რონალდოს მოსალოდნელი დებიუტი ასკოლიში

ტურს ღამით „ინტერი“-„რომას“ სუპერდაპირისპირება დაასრულებს. ამ შეხვედრის შედეგზე, პრაქტიკულად, ჩემპიონის ბედია დამოკიდებული. ბოლო ათი თვის განმავლობაში ეს გუნდები იმდენჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, რომ ალბათ სათვალავიც კი აერიათ და ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, გამარჯვებული „ინტერი“ რჩებოდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ „რომასთვის“ „ინტერი“ ტრადიციულად რთული მეტოქეა. პირველი იყო 5 მარტის დაპირისპირება გასულ ჩემპიონატში, როცა **მატერაცის** „ოლიმპიკოზე“ ბოლო წუთზე გაათანაბრა (1:1) და ნერტილი დაუსვა „ჯალოროსის“ გამარჯვებათა იმ დროისთვის სარეკორდო სერიას (ზედიზედ 11 მოგება). ამის შემდეგ იყო მაისის იტალიის თასის ფინალი, რომელიც ორი მატჩის ჯამში მილანელებმა მოიგეს (1:1, 3:1). 28 აგვისტოს „ინტერმა“ და „რომამ“ უკვე იტალიის სუპერთასის ფინალში ითამაშეს. ეს იყო ფანტასტიკური შეხვედრა, სადაც „ნერაძური“ 0:3-ს აგებდა და სასწაულად ჩატარებული მეორე ტაიმის ხარჯზე 4:3 მოიგო. ბოლო დაპირისპირება კი მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში, 20 სექტემბერს შედგა და ისიც „ინტერის“ გამარჯვებით 1:0 დასრულდა. ერთსა და იმავე მეტოქესთან ერთბაშად ამდენი წარუმატებლობა „რომას“ ფეხბურთელებისთვის მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთია. თუ რომაელებს უნდათ, რომ კვირას „სან სიროზე“ დათრგუნულები არ გავიდნენ, ეს ბოლო ათი თვე მეხსიერებიდან უნდა ამოშალონო, წერდა „გაძეტა დელო სპორტი“. მაგრამ დედაქალაქელები არ ნებდებიან და დასაკარგიც არაფერი აქვთ: თუ მოიგებენ, სხვაობა 8 ქულამდე შემცირდება და საჩემპიონო შანსები გაეზრდებათ, თუ წააგებენ და, სკუდეტოზე ოცნებასაც აღარ ექნება აზრი. „მილანთან“ თასზე გამარჯვების შემდეგ **დანიელე დე როსიმ** თქვა: *„თუ ისე ვითამაშეთ, როგორც დღეს, მაშინ „სან სიროზე“ მოგებაც შეგვიძლია“*. სხვათა შორის, გასულ ჩემპიონატში „რომამ“ „ინტერს“ „სან სიროზე“ 3:2 მოუგო. მაგრამ ის სხვა „ინტერი“ იყო, წელს „ნერაძური“ ბრწყინვალე და შეუჩერებელია, ხუთშაბათს იტალიის თასის ნახევარფინალიდან „სამპდორიაც“ დაიქნია და ნიშანდობლივია, რომ ზედიზედ მესამე სეზონზე ფინალში „რომას“ შეხვდება. რაკი პირველი ნახევარფინალი „ნერაძურის“ გენუაში 3:0-ზე ჰქონდა მოგებული, საპასუხო შეხვედრა მეორე შემადგენლობით ითამაშა და 0:0 დაასრულა. ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელ „ინტერს“ ზედიზედ 14 შეხვედრა აქვს მოგებული და თუ ხვალ მე-15 მოიგო, ევრორეკორდს გაიმეორებს. წამყვან ევროპულ ჩემპიონატებში რეკორდი ზედიზედ მოგებული 15 მატჩია. ამის გაკეთება ორმა გუნდმა შეძლო: **დი სტეფანოს** „რეალმა“ 60-იანი წლების დასაწყისში და „ბაიერნმა“ ამ ოთხი წლის უკან. კვირას „ინტერი“ ოპტიმალური და დასვენებული შემადგენლობით ითამაშებს, „რომას“ კი დაშავებული **მექსე** დააკლდება. ფრანგის ადგილს დაცვაში **ფერარი** დაიკავებს. ბოლო ორი გასვლითი შეხვედრიდან რომაელებმა ორივე ფრედ 1:1 დაასრულეს, წინა ტურში კი დისკვალიფიცირებული **ტოტის** გარეშე შინ „სიენას“ 1:0 მოუგეს.

	თ	ა	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	21	18	3	0	46-17	57
2. რომა	21	14	4	3	43-17	46
3. პალერმო	21	12	3	6	37-26	39
4. ლაციო	21	9	6	6	33-18	30
5. კატანია	21	8	6	7	29-36	30
6. ემპოლი	21	7	8	6	19-19	29
7. უდინეზე	21	8	5	8	23-25	29
8. ატალანტა	21	7	7	7	36-32	28
9. მილანი	21	9	8	4	26-17	27
10. სამპდორია	21	6	6	9	28-30	24
11. სიენა	21	5	10	6	18-22	24
12. ლივორნო	21	5	8	8	21-32	23
13. ფიორენტინა	21	11	4	6	33-21	22
14. კალიარი	21	4	10	7	16-23	22
15. ტორინო	21	5	7	9	17-27	22
16. კიევო	21	4	6	11	21-30	18
17. რეჯინა	21	7	6	8	26-28	16
18. მესინა	21	3	7	11	21-36	16
19. პარმა	21	3	6	12	17-36	15
20. ასკოლი	21	2	6	13	16-33	12

ინტერვიუ პაოლო მალდინისთან

მარადიული კაპიტანი გაგრძელებას აპირებს

მალდინი მილანში არსებულ სიტუაციაზე, რონალდოსა და საკუთარ მომავალზე...

პაოლო მალდინი

დეკემბერში, როცა „მილანი“ თამაშს ვეღარ იგებდა და კრიზისში იყო, კარლო ანჩელოტი გამუდმებით იმეორებდა - ერთი სული მაქვს, როდის დადგება საშობაო პაუზა, სულს მოვითქვამთ, დაშავებულებს დავიბრუნებთ, თებერვალში კი დიდი „მილანით“ დაგიბრუნდებითო. მოვიდა თებერვალი, მოვიდა ოდო და რაც მთავარია, მოვიდა რონალდო. ამბობენ, რომ ამ ორი ფეხბურთელის მოსვლამ „როსონერი“ ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით აავსო. თუ რამდენად დიდია ოპტიმიზმი, ყველაზე კარგად „გაძეტა დელო სპორტისა“ და „მილანის“ მარადიული კაპიტნის პაოლო მალდინის ინტერვიუდან გავიგებთ.

- მალდინი, რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ რონალდოს ისევ შეუძლია „მილანისთვის“ დიდი საქმის გაკეთება?

- სამი მიზეზის გამო. პირველი: ტექნიკურად იშვიათი ტალანტის ფეხბურთელია. მეორე: არცთუ ასაკოვანია და მჯერა, რომ ისევ შეუძლია თავის საუკეთესო კუთხით წარმოჩენა. მესამე: უზომოდ მოტივირებულია. „მილანში“ გადასვლა მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე და გაბედული ნაბიჯი იყო: ძნელია, როცა ფეხბურთელი ხელახლა ექცევი დისკუსიის ცენტრში, როცა ათასი თვალი გაკვირდება - აბა, ვნახოთ, რას იზამს. მით უფრო ძნელია ეს რონალდოს შემთხვევაში, რადგან იმ ქალაქში დაბრუნდა, სადაც ერთხელ უკვე თამაშობდა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან მონდომებულია.

- რონალდოს შეძენასთან დაკავშირებით გალიანიმ ჯერ თქვენი და კოსტაკურტას აზრი მოისმინა. რატომ?

- შიში ჰქონდა, რომ გუნდის კულისებში ამას რაიმე გართულება არ მოჰყოლოდა ან, რომ რონალდოს ჩამოსვლა ვინმეს ცუდად არ მიეღო. მაგრამ დიდ ფეხბურთელებს ჩვენთან ყოველთვის სიხარულით ხვდებიან.

- კასანოს თაობაზე თუ გთხოვათ გალიანიმ აზრის გამოთქმა?

- არა.

- შევჩენკოს დაბრუნებასთან დაკავშირებით?

- არა, არა. საერთოდ, ფუნქციები ჩვენში მკაფიოდ არის განსაზღვრული: განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ფეხბურთელებს სატრანსფერო გარიგებებში დიდად არ გვრევენ და სწორადაც იქცევიან.

- როგორია პირველი შთაბეჭდილება რონალდოზე?

- გასახდელში მისი და ჩემი კარადები ერთმანეთის გვერდი-გვერდაა. თუმცა სინამდვილეში, როგორც კაპიტანს, ორი კარადა მქონდა, მაგრამ ერთი მას დავუთმე... ცოტა გავისაუბრეთ, დრო საკმარისად გვაქვს, ერთმანეთი უკეთესად რომ გავიცნოთ.

- თქვენთვის მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ რონალდოს კაპელოსთან პრობლემები ჰქონდა?

- იგრძნო, რომ კაპელო სერიოზულად არ განიხილავდა. თავის მხრივ მწვრთნელმაც საკუთარი არჩევანი გააკეთა. ვარსკვლავი იმითაც არის ვარსკვლავი, რომ სიამაყის გრძნობა გამძაფრებული აქვს.

- „რომასთან“ წაგებით იტალიის თასს ნახევარფინალიდან გამოეთიშეთ. ხომ არ არის საფრთხე, რომ ამან ნაწილობრივ ჩააქროს ის ენთუზიაზმი, რომელიც გუნდში რონალდოსა და ოდოს მოსვლამ შემოიტანა?

- „რომასთან“ მარცხი ნამდვილად ცუდ მომენტს დაემთხვა: ვგეგმავდით და იმედი გვქონდა, რომ ფინალში გავიდოდით. შანსიც დიდი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პირველ შეხვედრაში თავიდან 2:0-ს ვიგებდით.

- უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ წლევანდელი სეზონი „მილანისთვის“ უიღბლოა?

- დანებებას არ ვაპირებ, უიღბლოდ დაიწყო, მაგრამ შეიძლება, რომ კარგად დასრულდეს.

- რომელ ვარიანტზე დადებდით უფრო მეტ თანხას – მეოთხე ადგილზე თუ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე?

- აქ ერთი რამ უნდა განვასხვავოთ: ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩვენი უპირველესი მიზანია, მეოთხე ადგილზე გასვლა კი ისეთი რაღაცაა, რისი მიღწევაც ჩვენი დონის გუნდისთვის, უბრალოდ, სავალდებულოა. ჩემპიონატის მეოთხე ადგილზე დასრულება უფრო იოლი ამოცანაა, მაგრამ ევროპაშიც გამარჯვების შანსიც საკმაოდ გვაქვს.

- იმ შემთხვევაში, თუ „მილანი“ ამ ორიდან ვერცერთ მიზანს ვერ მიაღწევს, სწორი იქნება, თუ ხელმძღვანელობა შემადგენობას ძირეულად გადაახალისებს?

- ასე არ უნდა მოხდეს, მაგრამ კლუბში კარგად იციან, რომ 2007-ის ივნისიდან 2008 წლის ივნისამდე რამდენიმე წამყვანი მოთამაშე კარიერას დაასრულებს. ასე რომ, ცვლილებები ბუნებრივად მოხდება.

- ყოფილა ჩემპიონატები, როცა პირველი ტურიდანვე დომინირებდით და ისე მოიგეთ, მაგრამ იყო ისეთი ჩემპიონატებიც, როცა ლიდერს ბოლოში გადაუსწარით. რომელ შემთხვევაში აქვს გამარჯვებას უფრო მეტი ხიბლი?

- პირადად ის უფრო მომწონს, როცა უპირატესობას თავიდანვე მოიპოვებ და სეზონის ბოლომდე აღარ უშვებ ხელიდან. მეორე ტიპის წარმატება შეიძლება, უფრო ამაღელვებელი და ლამაზი იყოს, მაგრამ ამას მეტი სტრესიც ახლავს თან და ხშირად კურიოზულ სიტუაციებში მიიღწევა ხოლმე.

- რატომ იკლო სტადიონებზე მაყურებლების რიცხვმა?

- ტელევიზიები მაყურებელს დიდ არჩევანს სთავაზობენ, ამასთან არაკომფორტული სტადიონები გვაქვს. იმედია, რომ ევრო 2012-ის მასპინძლობაზე კანდიდატურის წამოყენება სიტუაციას კარგისკენ შეცვლის. გარდა ამისა, ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ „იუვენტუსი“ არ არის და „ინტერი“ დომინირებს. ამ ყველაფრის გამო, ინტერესმაც იკლო.

- ზაფხულში დელ პიერომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უარით გაისტუმრა. თქვენ რომელი კლუბებისთვის გითქვამთ წარსულში უარი?

- „არსენალისა“ და „ჩელსისთვის“. ვიალის ძალიან უნდოდა, რომ მის გუნდში მეთამაშა. ამ წინადადებებით პირადად მე მომმართეს, არ ვიცი, „მილანსაც“ სთავაზობდნენ თუ არა სხვა კლუბები ჩემს გაყიდვას.

- ისევ დადიხართ თქვენი შვილის, კრისტიანის ვარჯიშების საყურებლად?

- რა თქმა უნდა. მშვენიერი სანახავია, როცა ბავშვები მთელი ჟინით თამაშობენ. ვარჯიში უფრო სასიამოვნო საყურებელია, ვიდრე შეხვედრა – უფრო მეტხანს გრძელდება, ბავშვები თავს არ ზოგავენ.

- პოლიტიკურ და ოჯახურ ცხოვრებაში ბერლუსკონის არცთუ სასიამოვნო დროება უდგას...

- „მილანი“ მისი გატაცებაა, სანახაობის გარეშე მისთვის წარმატებას ფასი არა აქვს და ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ის ყოველთვის კმაყოფილი იყოს.

- კოსტაკურტამ გამოაცხადა, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან მიდის.

- ამ საკითხებზე გუნდში ხშირად ვლაპარაკობთ, ასე რომ, ეს ჩვენთვის სიახლე არ არის. მაგრამ 40 წლამდე თამაშით ბილიმ მართლაც დიდი საქმე გააკეთა.

- იმდენად დიდი, რომ თქვენც გინდათ, მიბაძოთ, არა?

- ჩემი დღევანდელი ყოფით ძალიან კმაყოფილი ვარ: მუხლის ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესი ბრწყინვალედ გავიარე, უკვე ერთ ვარჯიშსაც აღარ ვაცდენ, თითქმის ყველა შეხვედრისთვის მწვრთნელის განკარგულებაში ვარ. სწორედ ეს იყო ის, რაც მე მინდოდა.

- ანუ...

- ანუ ის, რომ გადაწყვეტილება დარჩენა-არდარჩენაზე ახლა უფრო იოლი მისაღებია. მთავარი ჩემი ფიზიკური კონდიციები იყო. სინამდვილეში ამ საკითხზე საერთოდ არ ვფიქრობ, შარშან საკმაოდ ვღელავდი, ახლა კი მშვიდად ვარ და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. უკვე აღარ არის გარდაუვალი, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან წავალ, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის ვადა ივნისში მეწურება. ხელშეკრულების გაგრძელება ჩემსა და „მილანს“ შორის პრობლემა არასდროს ყოფილა. დღეს სიტუაცია ასეთია: შინაგანად საკუთარ თავს ვქომაგობ, რომ კარიერა გავაგრძელო. შევამჩნიე, რომ დღემდე უზომოდ მსიამოვნებს თამაში, ვარჯიში, დაძაბულობა. ფიზიკური ტესტების პასუხები მშვენიერია, მუხლი ერთხელაც აღარ გამსიებია, ფეხბურთით ისევ სიამოვნებას ვღებულობ, ჩემი ცოლი გაგრძელებისკენ მომიწოდებს და მეც ნელ-ნელა სულ უფრო ვრწმუნდები.

გოგა ახალაძე

მწვრთნელი

პირსი მაინც დაინიშნა

სიტის თავკაცი ინგლისელ ჟმაწვილებსაც გაუძღვებაა...

სტიუარტ პირსი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი დებიუტი ესპანეთთან 7 თებერვლის ამხანაგურ მატჩში შედგება. თამაშს დერბის "პრაიდ პარკი" უმასპინძლებს. რა თქმა უნდა, პირსი ნაიყვანს გუნდს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც, რომელიც ივნისში ჰოლანდიაში უნდა გაიმართოს. საინტერესოა, რომ "მანჩესტერ სიტის" თავკაცს ასისტენტობას "ნიუკასლის" მეორე მწვრთნელი **ნაიჯელ პირსონი** გაუწევს.

"ჰოლანდიაში გამგზავრებას ისედაც ვაპირებდი. მინდოდა, ჩემი კლუბისთვის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელები შემერჩია. ბედნიერი ვარ, რომ ახლა ამ ახალგაზრდებთან ვიმუშავებ და ჩემს ცოდნას სხვადასხვა ეროვნების მწვრთნელებთან მატჩებში მოვსინჯავ," - თქვა პირსმა საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც მის დანიშვნას მიეძღვნა.

ინფორმაციას სტიუარტის დანიშვნის შესახებ წინ უსწრებდა რამდენიმედღიანი გაურკვევლობა, "მანჩესტერის სიტის" ხელმძღვანელთა წინააღმდეგობა და კლუბისა და საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელთა შეხვედრები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ახალგაზრდულის გაწვრთნის გარდა, სტიუარტი სხვა არცერთ თანამდებობას ან ფუნქციას არ შეითავსებს და ნაკრებისაგან თავისუფალ დროს მთლიანად "სიტის" კეთილდღეობას მოახმარს.

პირსს ინგლისის ნაკრებში 78 მატჩი აქვს ჩატარებული. ის ეროვნულ გუნდში 12 სეზონის განმავლობაში (1987-1999) ასპარეზობდა. მწვრთნელობას 2002 წელს მოჰკიდა ხელი. თავდაპირველად, მანჩესტერული კლუბის სამწვრთნელო შტაბის რიგითი წევრი იყო, 2005 წლის მაისიდან კი "სიტის" გაძღოლა დააკისრეს.

დელ ბოსკე რონალდოს გაყიდვა შეცდომაა

"რეალის" ყოფილმა თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ რონალდოს** "მილანში" გაყიდვას შეცდომა უწოდა: "დღეს კლუბს ყველაზე მეტად სჭირდებოდა ეს ფეხბურთელი. უკეთესი იქნებოდა, თუკი მწვრთნელები გუნდში მის ინტეგრაციაზე იზრუნებდნენ, რადგან მაღალი დონის თავდამსხმელთა ნაკლებობა შეიმჩნევა." დელ ბოსკე გაზეთ "მარკას" გაესაუბრა. აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი მისი ინტერვიუდან: "რონალდო შესანიშნავი პიროვნებაა. ის უფრო აერთიანებს, ვიდრე ანაწევრებს თანაგუნდელებს, თანაც ნამდვილი ფორვარდისათვის საჭირო ყველა ბუნებრივი ინსტინქტი აქვს." სენიორ ვისენტემ მადრიდულ გრანდს ორჯერ ჩემპიონთა თასი და ორჯერ ესპანეთის ჩემპიონობა მოუტანა. ის 2003 წელს, მორიგი საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შემდეგ გაუშვეს. მკითხველმა იცის, რომ იმ დღიდან მოყოლებული "რეალს" ერთი უმნიშვნელო ჯილდოც კი არ მოუგია. 2002 წელს, როცა რონალდო "რეალში" ჩაირიცხა, მადრიდელთა მწვრთნელი დელ ბოსკე იყო.



სამუელ ეტოო

დღეს

ესპანიოლი-სარაგოსა
დეპორტივო-მალიორკა
ვალენსია-ატლეტიკო

ხვალ

რეალ ვალიადოლიდი-ვილიარეალი
სევილია-სოსიედადი
რასინგი-ხეტაფე
სელტა-სანტანდერი
ბილბაო-ბეტისი
რეალი-ლევანტე
ოსასუნა-ბარსელონა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXI ტურის წინ

ეტოო ბრუნდება

ალბათ, რიიკაარდი მას რამდენიმე წუთს მაინც მისცემს

"რეალი" "ლევანტესთან" მატჩისთვის არნახული შემართებით ემზადება. **ფაბიო კაპელომ** უნდა დაამტკიცოს, რომ სიმკაცრესა და დიქტატორობას ტყუილად არ ამტყუებენ. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ იტალიელი სპეციალისტი გუნდს უფსკრულისკენ მიაქანებს, რომ მისი მეთოდები ფუჭი და მავნებელია. სხვათა შორის, **რონალდოს** პირენეებიდან გაგდების შემდეგ საფირმო მაღაზიებში ბრაზილიელის მაისურებით ვაჭრობა ერთი-ორად გაიზარდა. კაპელოს "ბერნაბეუს" ყოველი კუთხიდან ფენომენის 9-ნომრიან მაისურას უფრიალებენ. მოკლედ, იტალიელმა ცხოვრება გაირთულა და ახლა გამოსავალი თავადვე უნდა იპოვოს. საუკეთესო საშუალება, რა თქმა უნდა, გამარჯვებებია. ყველაფერი კი "ლევანტეთი" უნდა დაიწყოს.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამცნეთ, რომ აპენინელ სპეციალისტს **გუტისთან** სერიოზული უსიამოვნება შეემთხვა. მან შეგირდს პირობა მისცა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მაინც მაგრად განანებო. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამეფო კლუბის დამრიგებელი **ხოსე მარიას** ძირითად შემადგენლობას არ გააკარებს, თუმცა ესპანური საინფორმაციო საშუალებები ერთხმად გვარწმუნებენ, სენიორ ფაბიო კონფლიქტის გაღრმავებას თავს არიდებს და გუტის "ლევანტესთან" საბრძოლველად ამზადებსო. ისღა დაგვრჩენია, კვირამდე მოვითმინოთ.

ამასობაში, კაპელოს ტრავმირებული **ხოსე ანტონიო რეიესი** და **რაული** დაუბრუნდნენ. ჟურნალისტებს ოდნავადაც არ ეპარებათ ეჭვი, რომ **გონსალეს ბლანკო** პირველივე წუთიდან იასპარეზებს და ნახევარდაცვიდან თავდასხმაში გადაინაცვლებს. გამორიცხული არ არის, ბატონმა ფაბიომ აშკარად გადაღლილ **სერხიო რამოსს** ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. მის ნაცვლად კი **მიჩელ სალგადო** ათამაშოს.

პარასკევს დილის 11 საათზე, "ბარსელონის" სავარჯიშო მოედანზე მხურვალე აპლოდისმენტების ხმა ისმოდა. კატალონიელებმა **სამუელ ეტოოს** ტრავმის მოშუშება და ოთხთვიანი პაუზის შემდეგ გუნდთან ერთად პირველად ვარჯიში სწორედ ასე ემოციურად აღნიშნეს. **ფრანკ რიიკაარდმა** კამერუნელი ფორვარდი გულთან მიიკრა და შუბლზე აკოცა. შესაძლოა, სამუ "ოსასუნასთან" შეხვედრაში რამდენიმე წუთით მაინც ათამაშოს. აი, 11 თებერვალს კი ის აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში იქნება. როგორც გაირკვა, "რასინგთან" მატჩის ბილეთები ელვისებური სისწრაფით იყიდება. "კამპ ნოუს" ეტოო მოენატრა. **რონალდინიოს** არ უვარჯიშია. ბრაზილიელის გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, მას ტრავმა არ აწუხებს. უბრალოდ, ექიმებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ გაუწოს მძიმე სათასო შეხვედრის შემდეგ თავი არ დაეტვირთა. მიკრო ტრავმას უჩიოდა **რაფა მარკესი**, თუმცა ექიმებმა მისი განკურნება შეძლეს. თუ რიიკაარდი საჭიროდ ჩათვლის, მექსიკელი ძირითადში იასპარეზებს.

ეს საკვირაო შეხვედრები, შაბათის მატჩებიდან კი ყველაზე დიდ ინტერესს "ვალენსიისა" და "ატლეტიკოს" დაპირისპირება იწვევს. როგორც ამბობენ, **ხავიერ აგირე მისტას** ძირითადში დაყენებას უპირებს. მოვლენები თუ მართლაც ამგვარად განვითარდება, **მიგელ ანხელი** ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ყოფილ კლუბს გოლი გაუტანოს, თუმცა იმასაც ამბობს, სიხარულს არ გამოვხატავ, რადგან "მესტალიაზე" დაუვიწყარი წლები მაქვს გატარებულიო.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	20	12	6	2	43-18	42
2. სევილია	20	13	2	5	41-21	41
3. რეალი	20	12	2	6	28-17	38
4. ვალენსია	20	11	3	6	29-17	36
5. ატლეტიკო	20	10	6	4	26-14	36
6. სარაგოსა	20	9	5	6	31-21	32
7. ხეტაფე	20	9	5	6	18-13	32
8. რეალ ვალიადოლიდი	20	9	3	8	29-27	30
9. ვილიარეალი	20	8	5	7	19-24	29
10. ოსასუნა	20	8	2	10	27-26	26
11. ესპანიოლი	20	6	8	6	18-20	26
12. რასინგი	20	6	8	6	19-24	26
13. მალიორკა	20	6	5	9	18-28	23
14. დეპორტივო	20	5	8	7	15-25	23
15. ბილბაო	20	5	7	8	23-28	22
16. ბეტისი	20	5	6	9	21-27	21
17. სელტა	20	5	6	9	22-29	21
18. ლევანტე	20	4	7	9	18-30	19
19. სოსიედადი	20	2	7	11	12-27	13
20. ხიმნასტიკი	20	3	3	14	19-39	12

მარკო მატერაციზე ტიფოზების კითხვებს პასუხობს

ინტერისტებო, დავივიწყოთ რონალდო!

მატრიქსი ამბობს, რომ სკუდეტოს მოგება მისთვის მუნდიალზე გამარჯვების ტოლფასი იქნება



მარკო მატერაცი

ოთხშაბათს **მარკო მატერაცი** „გაძეტა დელო სპორტის“ რედაქციას ესტუმრა და ბოლო დროს გაზეთში ტრადიციად ქცეული ვიდეოჩეთის საშუალებით გულშემატკივრების კითხვებს უპასუხა. იტალიაში მატერაცი უზომოდ პოპულარული და საინტერესო ადამიანი რომ არის, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ორი საათის განმავლობაში რედაქციაში 7 ათასი კითხვა შევიდა. მატერაცის ან აღმერთებ ან გძულს, მესამე გზა არ არსებობსო, წერდა მასზე „გაძეტა“. უკვე დიდი ხანია, რაც „ინტერის“ 33 წლის მცველს ტიფოზებმა „ბოროტის“ იარლიყი მიაკერეს. საუბარიც სწორედ ამ თემით დაიწყო. „კარიერის განმავლობაში არაერთ სკანდალში გავხვეულვარ, მაგრამ ბოროტი განზრახვით არასდროს არაფერი გამიკეთებია. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ბოლოდროინდელი ცნობილი ეპიზოდების დროს, თავი შევიკავე და პასუხი არავისთვის გამიცია. დომენეკს, ფრანგების მწვრთნელს, უთქვამს, რომ სუსტი მკერდი მაქვს და ძალიან ადვილად ვეცემი. მე ჩემი გზით ამაყად მივდივარ, არა მგონია, რომ გარკვეულ ფრაზებზე კომენტარის გაკეთება ღირდეს. შურთ თუ არა ჩემი? იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც მეტოქე გუნდის ტიფოზები სტადიონებზე მიმღერიან, ვიტყოდი, რომ მართლა შურთ. თუმცა ეს ნაკლებად მაინტერესებს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ცხოვრებამ ბევრი წამართვა (დედა ბავშვობაში გარდაეცვალა), მაგრამ ბევრიც მომცა“. ერთ-ერთმა ტიფოზმა ის **გაეტანო შირეას** შეადარა. „მატრიქსი“ („ეს მეტსახელი ტიფოზებმა შემირჩიეს და ძალიან მომწონს, რადგან ფილმის გმირიც ჩემსავით შემართულია და უკან არასოდეს იხევს“) გულშემატკივარს რეალისტურად პასუხობს: „გაეტანოს იცნობდნენ, როგორც დიდ ფეხბურთელს და როგორც ჯენტლმენს. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, შეიძლება, მეც კარგ ფეხბურთელად მთვლიან, მაგრამ ჩემი ჯენტლმენობის რა მოგახსენოთ...“.

მატერაცი თავისი გზით მიდის, მოედანზეც და ცხოვრებაშიც, და თავში ერთი იდეა-ფიქსი აქვს: „საშინლად მინდა, რომ სკუდეტო მოვიგო. თუკი ამას ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასიც მოჰყვება, მით უკეთესი. იტალიის ჩემპიონობა ჩემთვის ისეთივე სიხარული იქნება, როგორსაც მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ განვიცდიდი, რაგან ამ მიზნისკენ უკვე მრავალი წელია მივდივართ“. რა მოხდა 2002 წლის 5 მაისს „ოლიმპიკოზე“ („ინტერმა“ „ლაციოსთან“ ბოლო ტურში ნაგებით სკუდეტო დაკარგა)? „ეს თვითონაც ძალიან მინდა, რომ ვიცოდე. უკან დაბრუნება შეუძლებელი რომ იყოს, იმ შეხვედრას, მთელი ცხოვრება რომ გვეთამაშა, აღარასდროს წავაგებდით. მაგრამ რას იზამ, ასეთია ფეხბურთი“. აქედან სკუდეტომდე გზა ორ ზეშეხვედრაზე გადის - კვირას „რომასთან“ და 11 მარტს „მილანთან“, სადაც ინტერისტების წინააღმდეგ მათი ძველი კერპი, **რონალდო** წარდგება. „არ ვიცი, ითამაშებს თუ არა რონი იმ შეხვედრაში - ამბობს მატერაცი - მე უფრო მომავალ კვირასა და „რომაზე“ ვფიქრობ. დერბიმდე კი ჯერ მთელი ერთი თვეა... რონალდოს „მილანში“ გადასვლით გაწბილებულ ინტერისტებს ვეტყვი, რომ იფიქრონ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ძლიერია დღეს „ინტერი“. ასეთ შემთხვევებში გულგრილობაა ის, რაც ყველაზე კარგად ხვდება მიზანში და მტერს გულს უხეთქავს. პირადად, ჩემი თავი სხვა იტალიურ გუნდში ვერ წარმომიდგენია. უცხოეთს რაც შეეხება, სასიამოვნო იქნებოდა ძალების „რეალში“ მოსინჯვა. „რომასთან“ შეხვედრა? გამარჯვების შემთხვევაში, სკუდეტო პრაქტიკულად დაბეჭდებული გვექნება. გატანას თუ ვაპირებ? გოლი ჩემი საქმე არ არის, ისიც მეყოფა, რომ არ გავუშვა“.

„ინტერის“ სარეკორდო სვლა ყველა ტიფოზში ერთ კითხვას ბადებს: არის თუ არა „ნერაძური“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი? „არ ვიცი, არის თუ არა მსოფლიოში საუკეთესო, მაგრამ იტალიაში რომ საუკეთესოა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ერერას დიდი „ინტერი“? პარალელები რომ გავავლოთ, ამისთვის საჭიროა, რომ ჯერ საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგოთ. გვინდა, რომ „ინტერმა“ ახალი ეპოქა შექმნას, ვისურვებდი, რომ ეს შემადგენლობა მანჩინისთან ერთად უცვლელი დარჩენილიყოს“. ტიფოზებმა მატერაცის თანაგუნდელების დახასიათებაც სთხოვეს. „იბრაჰიმოვიჩი „ოქროს ბურთს“ იმსახურებს და თუ ვერ მოიგო, მხოლოდ მისი ბრალი იქნება. „სამპდორიასთან“ შეხვედრის წინ ადრიანოს ვუთხარი: „ასე გააგრძელე, არავინ დაგხმარებია, მდგომარეობიდან შენივე ძალისხმევით უნდა გამოხვიდე“. ვინ იყო ყველაზე ძნელადასაყვანი ფორვარდი, ვის წინააღმდეგაც კარიერაში უთამაშია? „ბატისტუტა იყო, მაგრამ ახლა ჯილარდინოსა და ტონის დავასახელებ. შევჩენკო? ნამდვილად არ მენატრება, იმიტომ, რომ უძლიერესია და თან ჩვენ სულ გოლებს გვიტანდა. იყოს ლონდონში... საუკეთესო მეგობარი? გატუზო. თუმცა მეგობრები „იუვეშიც“ მყავს, იმედია, სერია A-ში დაბრუნდებიან და მომავალ სეზონში ვნახავთ, ვინ უფრო მაგარია. მოჯი? არ მაინტერესებს. ის კი მახსოვს, რომ სანამ სკანდალი ატყდებოდა, მსაჯების დანიშვნის საკითხი სერიოზულად მაღელვებდა. ახლა აღარც ეს მაღელვებს“.

მატერაცი მსოფლიო ჩემპიონი იტალიის სიმბოლოცაა. გარდაუვალი იყო, რომ გერმანულ გმირობასთან დაკავშირებით ტიფოზებს მისთვის შეკითხვები არ დაეყარათ. „გერმანიაში გამგზავრების წინა დღით ლიპიმ გვითხრა: „მსოფლიო ჩემპიონები გავხდებით“. გიჟად ჩავთვალეთ, თურმე მართალი ყოფილა. როცა ჩეხეთთან შეხვედრაში ნესტამ ტრავმა მიიღო, ცოტათი შემეშინდა, კიდევ იმიტომ, რომ მანამდე ჩემი სანაკრებო კარიერა დიდად აღმაფრთოვანებელი არ იყო. ძალიან დამეხმარა ის, რომ პირველივე თამაშში გავიტანე“. თუმცა მისი მთავარი გოლი მაინც ისაა, ფინალში რომ გაიტანა. „როცა ისეთი ლეგენდა, როგორიც ჯიჯი რივაა, გეუბნება, რომ თავის ას გოლს ჩემს იმ ერთ გოლში გაცვლიდა, ესე იგი, მართლა ასეა...“

გოგა **ახალაძე**

ინტერვიუ რამონ კალდერონთან

ეს საბოლოო გამარჯვებაა

სააპელაციო სასამართლომ სამეფო კლუბის პრეზიდენტი უმწიკვლო ადამიანად მიიჩნია და საუბრები მისი უსამართლო გაპრეზიდენტების შესახებ, კანონგარეშედ გამოაცხადა



რამონ კალდერონი და ფაბიო კაპელო

ვილიარ მირის სიხარული ნაადრევი და ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, რამონ კალდერონი მომრიგებელი მოსამართლის უარყოფით გადაწყვეტილებას წინასწარვე ელოდა და იურისტებს სააპელაციო სარჩელზე ამ პროცესამდე დიდი ხნით ადრე ამუშავებდა. "რეალის" პრეზიდენტის ადვოკატებმა მომრიგებელი მოსამართლის არგუმენტები ერთ ღამაში დაამუშავეს, ყველა საჭირო დოკუმენტი შეადგინეს და დილით მადრიდის სააპელაციო სასამართლოში მივიდნენ. მათ თითქმის ათმაგი ბაჟი გადაიხადეს იმისთვის, რომ პროცესი გუშინვე გამართულიყო. მოსამართლე მილაგროს აპარისიომ მოსარჩელე მხარის არგუმენტები მოისმინა და სამეფო კლუბის ამჟამინდელი უმაღლესი ხელისუფლის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. მან კალდერონი უპირობო გამარჯვებულად გამოაცხადა. ყბადაღებული ელექტრონული ხმების საქმეს წერტილი დაესვა. სენიორა მილაგროსმა ეს ხმები საერთოდ გააუქმა. მისი აზრით, კალდერონმა უშუალოდ უბანზე მიღებული ხმებით, იმდენი ბიულეტენი დააგროვა, რაც გაპრეზიდენტებისთვის სრულიად საკმარისი იყო. ბატონმა რამონმა გადაწყვეტილებით უზომოდ გაიხარა. მიუნხენში საქმიანი ვიზიტით მყოფ პრეზიდენტს "დიარიო ასის" კორესპონდენტი ტელეფონით შეეხმიანა.

- გამარჯობა, სენიორ კალდერონ. დარწმუნებული ვარ, მოსამართლის გადაწყვეტილების შესახებ უკვე შეგატყობინეს. რას გვეტყვით ამ საქმესთან დაკავშირებით?

- რა თქმა უნდა, დამირეკეს და მითხრეს, რომ პროცესი მოვიგეთ. კმაყოფილი ვარ. სულ რაღაც 24 საათში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ჯერ კიდევ გუშინ ოპონენტებს ეგონათ, რომ თანამდებობას ჩამომაშორებდნენ, თუმცა პირადად მე საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხელისუფლებაში სრულიად კანონიერად მოვედი. სასიხარულოა, რომ ამდენი სიბინძურის, ცილისწამებისა და ტყუილის შემდეგ სიმართლე გაირკვა. მადლობა ღმერთს, ამიერიდან მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვეცემა.

- როგორი რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ სასამართლომ გაგამართლათ?

- G-14-ის შეხვედრაზე მიუნხენში დამშვიდებული და თავდაჯერებული წამოვედი. იცით რატომ? იმიტომ, რომ 100 პროცენტით გახლდით დარწმუნებული, რომ სასამართლო ჩვენ გაგვამართლებდა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და შეუძლებელია, სასამართლოს რომელიმე ინსტანციამ სიმართლე ვერ დაადგინოს. ხმების გადათვლა აღარაა საჭირო. რეაქციაზე რა უნდა გითხრათ, ძალიან გამიხარდა. კოლეგების თანხმობით, G-14-ს ნაადრევად დავტოვებ და სასწრაფოდ მადრიდში დავბრუნდები.

- რატომ?

- მსურს, გამარჯვება თანაგუნდელებთან და ოჯახის წევრებთან ერთად აღვნიშნო. მათ ეს დაიმსახურეს.

- როგორ ფიქრობთ, სასამართლოს გადაწყვეტილება თქვენს ოპონენტებს საბოლოოდ გააჩუმებს? თუ ისინი ევროპის სასამართლოს მიმართავენ?

- იმედია, ყველაფერი ამით დასრულდება. ისინი ახლა უკვე ხვდებიან, რომ დემაგოგია აღარ გაუვათ. თუ ევროსასამართლოში წავლენ, ფულს ტყუილად დახარჯავენ. მათი საქმეა. ამ გაუთავებელი დავიდარაბის გამო, ბოლო თვეებში უსასტიკეს პირობებში მუშაობა გვიხდებოდა. ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილის თვალში ხელისუფლების უზურპატორებად გამოვჩენილიყავით. გულწრფელად ვიტყვი, ხალხის თვალებში ხშირად უნდობლობასა და ზიზღსაც კი ვხედავდი. სოსიოების ერთი ნაწილი, ჩვენს პატიოსნებაში მართლაც დაეჭვეს. უნდობლობა გულს გვტკენდა, მაგრამ ახლა მსურს, ყველას შევუნდო და თანამშრომლობის ხელი გავუწოდო.

- ხომ არ იცით, ვილიარ მირი ამ ამბავს როგორ შეხვდა?

- არა, წარმოდგენა არ მაქვს. მიუნხენამდე ხმებს არ ჩამოუღწევია. თქვენ ხომ არ გაგიგიათ რამე?

- არა, ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ის და მისი მომხრეები გვემალებიან...

- (იცინის) ალბათ, თავიანთ სოროში შეძვრნენ. თუ თავში ჭკუა აქვთ, გაჩერდებიან და ცოტა ხნით სახლიდან არ გამოვლენ. თუ უტვინოები არიან, მაშინ ბრძოლას გააგრძელებენ, კიდევ რომელიმე სასამართლოში იჩივლებენ და საბოლოოდ მოიჭრიან თავს. იმედია, ყველა ხედავს რა ადამიანებთან გვქონდა საქმე. პირადი ამბიციების გამო, სამეფო კლუბისთვის ჩირქის მოცხებასაც არ მოერიდნენ. ახლა მათ შესანიშნავი შანსი აქვთ იმისთვის, რომ ცოდვა გამოისყიდონ.

- ეს როგორ უნდა მოახერხონ?

- შეწყვიტონ ბრძოლა და საშუალება მოგვცენ, მშვიდად ვიმუშაოთ. მაგათგან არაფერია გამორიცხული, მაგრამ თუ მინიმალური ლოგიკა მაინც გააჩნიათ, აღარსად იჩივლებენ. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ამიტომ, დღევანდელ გამარჯვებას არა შუალედურად, არამედ საბოლოო წარმატებად მივიჩნევ.

- როგორ ფიქრობთ, ამიერიდან უფრო ეფექტური პრეზიდენტი იქნებით?

- რა თქმა უნდა. ყველა ფრონტზე უფრო მეტ წარმატებას მივაღწევ. სასამართლომ ჩემი რეპუტაცია აღადგინა. რაც იმას ნიშნავს, რომ ეჭვის თვალით ვეღარავინ შემომხედავს. ხალხს აზრი აღარ გაუჩნდება, ელექტრონული ფოსტით მიცემული საეჭვო ხმები რომ არა, შესაძლოა, კალდერონი პრეზიდენტი ვერც გამხდარიყოო. გესმით, რა საშინელებაა, როცა საზოგადოებაში გამოჩნდები და ირგვლივ უნდობელ თვალებს ხედავ?

- წარმომიდგენია, რასაც გრძნობდით. ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენს რეპუტაციასთან ერთად, თქვენი პროექტიც რეაბილიტირებულია?

- ცხადია! ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩვენი გუნდი უფრო სოლიდარული გახდება. შემუშავებული სტრატეგიისთვის ხორცის შესასხმელად თავისუფლად მუშაობის საშუალება გაგვიჩნდება. ყველას ვთხოვ, წარსული დაივიწყოს და მომავლის მშენებლობის ნება გამოიჩინოს. თანამდებობაზე მოსვლის პირველივე დღეს მიზნად დავისახე, რომ სეზონის ბოლოს სიბელესზე გავიდეთ. რამდენი ხანია მადრიდისტები იქ არ შევკრებილვართ. მოდით, ერთად შევძლოთ.

- სიბელესზე კაპელოსთან ერთად?

- ცხადია.

- შეუძლებელია, არ აღიაროთ, რომ კაპელოსგან საზოგადოება გაცილებით მეტს ელოდა. ხომ არ გგონიათ, რომ იტალიელმა მადრიდში ფიასკო განიცადა?

- მოდით, ნუ ავჩქარდებით და ფიასკოზე საუბარს სეზონის დასრულებამდე ოთხი თვით ადრე ნუ დავიწყებთ. მე იმას არ უარვყოფ, რომ რთული და კრიზისული დღეები გამოვიარეთ. იმედია, მომავალი უფრო წარმატებული იქნება. საყოველთაო მღელვარებას ფეხბურთელები და მწვრთნელები ვერ გაექცნენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტს ვერაფერს მოვუხერხებთ.

- ფაბიო კაპელომ ადრიანო გალიანისთან ერთად ისადილა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მას შემდეგ რაც "მილანის" მმართველმა კაკას შეძენის სურვილის გამო ბანდიტი გიწოდათ, კაპელოს მასთან ერთად მაგიდასთან დაჯდომის უფლება არ ჰქონდა?

- არა, კაპელოს ყველაფრის უფლება აქვს. ის თავისუფალი ადამიანია და ვერაფერს ავუკრძალავთ. ამასთან, გულწრფელად გეტყვით, რომ გალიანისთან გამართული სადილის ფაქტი არასწორად აღიქვით. სხვათა შორის, მილანელმა ძველი უხამსი განცხადებებისთვის ბოდიში პირადად მომიხადა. კოლეგას პირობა მივეცი, რომ ბოლმას გულში არ ჩავიდებ და ძველი ისტორიები სამომავლო მოლაპარაკებებისას ხელს არ შეგვიშლიან. უკვე ასაკოვანი ადამიანები ვართ და კინკლაობა არ გვეკადრება.

- და რა თემაზე ისაუბრეს კაპელომ და გალიანიმ?

- საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ კაკას შეძენის სურვილი არ დაგვიკარგავს. ეს ბიჭი "მილანში" თამაშობს, გალიანი მისი შეფია, კაპელო კი ჩვენი მწვრთნელი. ახლა დაფიქრდით და თავად დაასკვენით, თუ რა თემაზე ისაუბრეს მათ (იცინის).

- რისი თქმა გსურთ, "მილანთან" კაკას ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ხელახლა წამოიწყეთ?

- რონალდოს ტრანსფერის შემდეგ, გალიანი კაკასადმი ჩვენს დაინტერესებას გაგებით მოეკიდა. ადრე მას ამ თემაზე სიტყვის დაძვრაც კი არ უნდოდა, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა. სენიორ ადრიანომ პირობა მოგვცა, თუ მისი წასვლა დღის წესრიგში დადგება, ბრაზილიელი აუცილებლად "რეალში" გადმოვაო.

- ახლა, ამ წამს რაზე ფიქრობთ?

- ჩემმოდანი უნდა ჩავალაგო და მადრიდში გამოვფრინდე. სასამართლომ საკუთარი საქმე გაიკეთა, ახლა ჯერი ჩვენზეა. ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ.

- რევანშის ამღების ტკბილი განწობა ხომ არ დაგეუფლათ?

- არავითარ შემთხვევაში. რევანში და დაძაბულობა არ გვჭირდება. მთავარია, სიტუაცია სტაბილური გახდეს და ყველას ჩვენი საქმის კეთების შესაძლებლობა მოგვეცეს. სამეფო კლუბისთვის ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია.

- მიუხედავად ყველაფრისა, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ხომ არ დანიშნავთ?

- რატომ?

- აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, რომელიც იტყვის, რომ სამართლიანობისთვის არჩევნებია საჭირო...

- რა სისულელეა. "რეალს" არა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, არამედ პრობლემების დაძლევა, ერთიანობა და ტიტულები სჭირდება. მომავალში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ფუტურისტულ საკითხებზე დღეს არ უნდა ვისაუბროთ. დიდი ბოდიში, უნდა დაგემშვიდობოთ. თვითმფრინავამდე ცოტა დროა, მე კი ჯერაც არ მოვმზადებულვარ. დიდი მადლობა.

ილია ნიკოლაიშვილი

უეფა ახალი აღმასრულებლის მოლოდინში

უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა **ლარს კრისტერ ოლსონმა** თანამდებობა დატოვა. ის უეფას ყოფილი პრეზიდენტის **ლენარტ იუჰანსონის** მარჯვენა ხელი იყო. 26 იანვარს კი მვედმა ფუნქციონერმა პრეზიდენტის პოსტი **მიშელ პლატინის** გადაულოცა და მისი შტაბიც თანდათან იშლება. ახალმა პრეზიდენტმა ოლსონის დამსახურებას საგანგებო კომენტარი მიუძღვნა: *"ბოლო სამი წლის განმავლობაში ის მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა გაგრძელებულიყო დიალოგი უეფასა და ეროვნულ ასოციაციებს შორის. ნაყოფიერი დიალოგის შედეგად ევროპის საფეხბურთო ოჯახმა მოკლე დროში უზარმაზარ წარმატებას მიაღწია. დარწმუნებული ვარ, ამ ხნის განმავლობაში განხორციელებული პროექტები მტკიცე საფუძველი გახდება ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისა და საამაყო მემკვიდრეობის შექმნის პროცესში."*

სანამ პლატინი საკუთარ ადმინისტრაციას დააკომპლექტებდეს, უეფას აღმასკომმა დროებით დირექტორად იტალიელი **ჯანი ინფანტინო** დანიშნა. ის უეფაში 2000 წლიდან მოღვაწეობს და თავდაპირველად იურიდიულ საქმეთა და ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელი იყო. სხვათა შორის, უეფაში ოლსონიც 2000 წელს მივიდა და პროფესიული ფეხბურთისა და მარკეტინგის დეპარტამენტების თავმჯდომარეობა მოასწრო. მან აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა 2004 წლის იანვარში, გერმანელი **გერჰარდ აიგნერისაგან** გადაიბარა.

კამერუნმა პაანი დაითხოვა

არი ჰაანი კამერუნის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ამ თანამდებობაზე ექვს თვეზე ნაკლები იმუშავა. ჰაანსა და კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობა მას მერე გაცივდა, რაც ყველასათვის მოულოდნელად, მწვრთნელი იმ დელეგაციაში არ შეიყვანეს, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებს აფრიკის ოუნიორთა ჩემპიონატზე გაჰყვა. იანვრის დასაწყისში ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არი ჰაანი ტელეფონს არ პასუხობდა და მისმა დამქირავებლებმა მისი ასავალ-დასავლის შესახებ არაფერი იცოდნენ. მწვრთნელი წინაალმდეგი იყო 7 თებერვალს, ტოგოსთან ამხანაგური მატჩისა. ის უფრო ძლიერი მეტოქის არჩევას ითხოვდა და კოტ დივუართან შეხვედრას უჭერდა მხარს. ჰაანის შემცვლელის ვინაობა უცნობია.

ვარსკვლავი

რობის ბრუნდება ოუენი?

სამ დღეში ნიუკასლის ფორვარდი სირბილს დაიწყებს...

მაიკლ ოუენმა ამ სეზონში, შეიძლება, ვერ ითამაშოს. "ნიუკასლის" თავდამსხმელმა ეს ამბავი BBC-ის მიმომხილველს აუწყა. 27 წლის თავდამსხმელის დაბრუნებას აპრილში ელოდებოდნენ, მაგრამ ექიმებს დასკვნების გაკეთება ნაადრევად ეჩვენებათ. მაიკლმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მუხლის მყესები გაიწყვიტა და ორი ოპერაციის შემდეგ დღემდე ინტენსიურად მკურნალობს. აი, მისი კომენტარი: *"ჩემი ამოცანაა მინდორზე გასვლა, როგორც კი მუხლი ამის საშუალებას მომცემს. სიარული აღარ მიჭირს. ფეხი აღარ მტკივა და გართულებები არ მქონია. არ ვკარგავ იმედს, რომ მაისამდე ვითამაშებ, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ მინდორს მხოლოდ მომდევნო სეზონში დავუბრუნდე."*

მომავალ კვირაში ოუენი რეაბილიტაციის ახალ ეტაპს დაიწყებს. ექიმები მას სირბილის ნებას დართავენ: *"ჩემთვის რომ ეკითხათ, სირბილს ორი-სამი კვირის წინაც დავიწყებდი, მაგრამ მათ უკეთ იციან. ამ მინდა, მოვლენები დავაჩქარო."*

მაიკლი განსაკუთრებული მადლიერებით საუბრობს "ნიუკასლის" ხელმძღვანელებზე: *"ისინი ტრავმის მომენტიდან გვერდში მიდგანან. კოლორადოში, დოქტორ სტუდმანთან ორი ოპერაცია გავიკეთე. კლუბმა ჩემს მკურნალობაში უზარმაზარი თანხა გადაიხადა. დღეს კი ფიზმომზადების პერსონალური მწვრთნელი მავარჯიშებს... ტრავმის პერიოდი მძიმე იყო, მაგრამ განონასწორებული ადამიანი ვარ და იმედი არ დამიკარგავს."*

ოუენმა თანადგომა გამოუცხადა ჩელსელ **ეშლი კოულს**, რომელმაც "ბლექბერნთან" ოთხშაბათის მატჩში მისი მსგავსი ტრავმა მიიღო, თუმცა მასავით ხანგრძლივი შვებულება არ ემუქრება: *"მუხლთან ხუმრობა არ შეიძლება. მისი ტრავმა თითქმის არასოდეს არ არის ერთი ან ორკვირიანი. ეშლის სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. მე მას აუცილებლად დავუკავშირდები."*

აზოტი-თსუ. ქორქია-საკანდელიძის თასის ფინალში

საქართველოს ჩემპიონატი

მესამედ 13 დღეში

ორ კვირაში თსუ და "აზოტი" ერთმანეთს მესამედ დაუპირისპირდებიან. 21 იანვარს ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე უნივერსიტეტელთა ძლევით რუსთაველები თასს დაეუფლნენ. 26-ში "აზოტმა" სტუდენტები საქართველოს თასის ფინალს მიღმა დატოვა, დღეს კი ამ გუნდების პაექრობით ჩემპიონატის მესამე წრე გაიხსნება.

რეგულარული პირველობის წინა ორი მატჩიც რუსთაველებს აქვთ მოგებული. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დღეს გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ ძნელი გამოსაცნობია - როცა სტუდენტთა მწვრთნელი, **ნუგზარ ჭეიშვილი** ფავორიტად მეტოქეს ხმამაღლა ასახელებს, სწორედ მაშინაა უნივერსიტეტის აფეთქება მოსალოდნელი. წინ არაერთი მაგალითი გვაქვს. მოვუსმინოთ ბატონ ნუგზარს:

- იანვარში ჩატარებული ორი ტურნირის მიხედვით, თსუ-ს თამაშით კმაყოფილი ვარ. აშკარაა, რომ გუნდი უმატებს, მაგრამ შედეგით ვარ უკმაყოფილო. ორივე შეჯიბრებაში გვქონდა "აზოტის" ძლევის შანსი, რაც ვერ გამოვიყენეთ. თასის გათამაშებისას რუსთაველებთან შეტევაში თამაში არ წაგვივიდა, რაც გარკვეულწილად "აზოტის" დამსახურებაა. რუსთავური გუნდი ხვალინდელ მატჩშიც ფავორიტია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შიო ხეცურიანი, დავით იმნაძე და გიორგი მარხვაშვილი ვერ დაგვეხმარებიან, ფორტუნის იმედად ვრჩებით...

თსუ-ს მწვრთნელმა პრესკონფერენციის მონაწილე მიხეილ ბერიშვილი კარგად დაახასიათა და სიტყვა გადასცა. *- მატჩისთვის კარგად ვართ მომზადებულნი და ძალიან გვინდა ამჯერად მაინც მოვიგოთ. რა გამოგვივა, საფინალო სირენის შემდეგ გამოჩნდება.*

"აზოტიც" არაა სახარბიელო მდგომარეობაში - საქართველოს თასი ფინალში "ავიამშენთან" ბრძოლაში დათმო. მთავარმა მწვრთნელმა, დავით უსტიაშვილმა თასის ფინალი გაიხსენა. *- ბოლო ტურნირზე გუნდის გამოსვლით უკმაყოფილო ვარ - გადამწყვეტი მატჩი "ავიამშენთან" ცუდად ჩავატარეთ და თავი მეტოქეს დავანებეთ. მაგრამ მაქსიმალურად ვემზადებით და ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩემპიონობაა. ფლეი ოფებამდე თამაშს კიდევ გავაუმჯობესებთ.*

"აზოტის" ცენტრმა დავით უგრეხელიძემ ყურადღება დაცვაზე გაამარხვილა: *- "ავიამშენთან" დაცვაში ცუდად გამოვიყურებოდით. საბოლოოდ, ეს გახდა ჩვენი წაგების მიზეზი. ვეცდებით თსუ-სთან მატჩში ყველა შეცდომა გამოვასწოროთ და ჩემპიონატში წაუგებელი სერია განვაგრძოთ.*

პრესკონფერენცია ამით არ დასრულებულა. ბოლოს სიტყვა სუპერლიგის მენეჯერმა ნიკა ხომასურიძემ აიღო: *- გვინდა ევროპას ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდეთ. აქეთკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯი მოცეკვავე გოგონების მოედანზე გამოჩენა იქნება. ეს ხომ ყველა ქვეყანაში ჩვეულებრივი ამბავია. დავძენ, რომ სულ მალე დასრულდება სუპერლიგის ევრო-გვერდი, რომლის დახმარებითაც გულშემატკივარი საქართველოს ჩემპიონატის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს.*

ვაჟა სიმონიშვილი

სუპერლიგა

III წრე

I ტური

3 თებერვალი, შაბათი

12:00	მაკაბი-სტუ
14:00	დინამო-თბილავიამშენი
16:00	თსუ-აზოტი

II ტური

9 თებერვალი, პარასკევი

17:00	აზოტი-დინამო

10 თებერვალი, შაბათი

14:00	თბილავიამშენი-მაკაბი
16:00	თსუ-სტუ

III ტური

17 თებერვალი, შაბათი

12:00	სტუ-თბილავიამშენი
14:00	მაკაბი-აზოტი
16:00	დინამო-თსუ

IV ტური

24 თებერვალი, შაბათი

12:00	სტუ-დინამო
14:00	თსუ-მაკაბი
16:00	თბილავიამშენი-აზოტი

V ტური

2 მარტი, პარასკევი

17:00	აზოტი-სტუ

3 მარტი, შაბათი

14:00	დინამო-მაკაბი
16:00	თბილავიამშენი-თსუ

IV წრე

I ტური

9 მარტი, პარასკევი

17:00	აზოტი-თსუ

10 მარტი, შაბათი

14:00	სტუ-მაკაბი
16:00	თბილავიამშენი-დინამო

II ტური

17 მარტი, შაბათი

12:00	მაკაბი-თბილავიამშენი
14:00	დინამო-აზოტი
16:00	სტუ-თსუ

III ტური

23 მარტი, პარასკევი

17:00	აზოტი-მაკაბი

24 მარტი, შაბათი

14:00	თბილავიამშენი-სტუ
16:00	თსუ-დინამო

IV ტური

30 მარტი, პარასკევი

17:00	აზოტი-თბილავიამშენი

31 მარტი, შაბათი

14:00	დინამო-სტუ
16:00	მაკაბი-თსუ

VI ტური

14 აპრილი, შაბათი

12:00	სტუ-აზოტი
14:00	მაკაბი-დინამო
16:00	თსუ-თბილავიამშენი

V წრე

ტურნირული სისტემით, ყველა შეხვედრა თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება

I ტური

17 აპრილი, სამშაბათი

12:00	მაკაბი-სტუ
14:00	დინამო-თბილავიამშენი
16:00	თსუ-აზოტი

II ტური

18 აპრილი, ოთხშაბათი

12:00	თბილავიამშენი-მაკაბი
14:00	დინამო-თბილავიამშენი
16:00	თსუ-აზოტი

III ტური

19 აპრილი, ხუთშაბათი

12:00	სტუ-თბილავიამშენი
14:00	მაკაბი-აზოტი
16:00	დინამო-თსუ

IV ტური

21 აპრილი, შაბათი

12:00	სტუ-დინამო
14:00	თსუ-მაკაბი
16:00	თბილავიამშენი-აზოტი

V ტური

22 აპრილი, კვირა

12:00	დინამო-მაკაბი
14:00	თბილავიამშენი-თსუ
16:00	აზოტი-სტუ

ევროლიგა

ელისიც გამოეთხოვა

მანუჩარ მარკოიშვილის "ოლიმპიამ" ევროლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ადრევე დაკარგა, ბოლო ტურში კი მისი ბედი **ტაირონ ელისის** "ნაპოლიმაც" გაიზიარა".

მეთოთხმეტე ტურში "ნაპოლიმ" შინ "ბენეტონთან" უკანასკნელ წამებზე 62:64 წააგო. 39 წუთის განმავლობაში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. საფინალო სირენამდე 17.3 წამით ადრე შეხვედრის ბედი ბენეტონელმა მარკუს გორიმ სამქულიანით გადაწყვიტა - 64:60. დარჩენილ დროში ელისის ორი ქულა მხოლოდ საფინალო ანგარიშის დასაფიქსირებლად იყო საკმარისი - 62:64. ნაპოლელთაგან ყველაზე მეტი საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა იმუშავა: 26 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი დააგროვა.

"ნაპოლიმ" C ჯგუფში მეექვსე ადგილი დაიკავა, მეორე ეტაპზე კი სამი ჯგუფიდან გადის 5-5 გუნდი, პლუს საუკეთესო მეექვსეადგილოსანი. ნეაპოლელებმა კი აჯობეს A ჯგუფში მე-6 ადგილზე გასულ ბოლონიის "კლიმამიოს", მაგრამ B-ჯგუფელ "პარტიზანს" ბურთების სხვაობით ჩამორჩნენ.

მეორე ეტაპზე 16 გუნდი 4 ჯგუფად განაწილდება, ჯგუფების გამარჯვებულები კი ოთხთა ფინალში გავლენ.

C ჯგუფი. საბოლოო მდგომარეობა.1. ცსკა (რუსეთი) - 13 მოგება, 2. ბარსელონა (ესპანეთი)-9, 3. ბენეტონი (იტალია)-8, 4. პორტეზი (საფრანგეთი)-7, 5. არისი (საბერძნეთი)-6 / 6. ნაპოლი (იტალია)-6 (-61) / 7. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-5, 8. ჟალგირისი (ლიტვა)-2

"ოლიმპიამ" მიმდინარე ევროლიგა თავაწეულმა დატოვა. ბოლო მატჩში სლოვენიელებმა ესპანეთში "ხუვენტუდი" 86:82 დაამარცხეს. ღირსეულად დაბრუნდა სლოვენიაში **მანუჩარ მარკოიშვილიც**, რომელმაც თანაგუნდელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. თანაბარ თამაშში ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა, როცა სირენამდე 5 წუთით ადრე მანუმ ზუსტი სამქულიანით "ოლიმპია" 75:72 დააწინაურა. ამის შემდეგ **ტეემუ რანიკომ** ექვსივე საჯარიმო გამოიყენა და მასპინძელთათვის გადასწრების უფლება აღარ მიუცია - 86:82.

22 ქულით მატჩის სნაიპერი ფინელი რანიკო გახდა, ხოლო მარკოიშვილმა 37 წუთში 17 ქულა ჩააგდო. თამაშიდან ტყორცნებისას იგი აკურატულობით გამოირჩა - 5-დან 3 სამიანი და 6-დან 3 ორქულიანი გამოიყენა.

ქართველი ფორვარდი შეიძლება მწვრთნელს არც შეეცვალა, 5 ფოლი რომ არ მიეღო. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მარკოიშვილმა მეტოქეები 6-ჯერ აიძულა მის წინააღმდეგ წესები დაერღვიათ. 17 ქულისა და 5 ფოლის გარდა, ჩვენიანის მონაგარშში 2-2 მოხსნა-ჩაჭრა და 3 პასი ჩაიწერა. ამ მოგების მიუხედავად "ოლიმპიამ" ტურნირი მაინც B ჯგუფის ცხრილის ფსკერზე დაასრულა.

B ჯგუფი. 1. პანათინაიკოსი (საბერძნეთი) - 11 მოგება, 2. მაკაბი (ისრაელი) - 8, 3. ხუვენტუდი (ესპანეთი) - 7, 4. უნიკახა (ესპანეთი) - 7, 5. რომა (იტალია) - 6 / 6. პარტიზანი (სერბეთი) - 6 (+7) / 7. ციბონა (ხორვატია) - 6, 8. ოლიმპია (სლოვენია) - 5.

ვაჟა სიმონიშვილი

მანუჩარ მარკოიშვილი (შუაში) ხუვენტუდთან მატჩში

გალტიის თასი

როკი აღარც ლიტვას უფრთხის

ესტონეთის "ტარტუ როკი" ბალტიის თასის მეორე ჯგუფში წაუგებელ სვლას განაგრძობს - **გიორგი ცინცაძის** გუნდმა მეექვსე მატჩში "პანევეჟისი" (ლიტვაში) დაამარცხა - 81:74.

ქართველი გამთამაშებელი ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 32 წუთიც გაატარა, თუმცა სროლისთვის ვერ მოიცალა (სულ ოთხჯერ სტყორცნა) - თამაშის ორგანიზებით იყო დაკავებული. შედეგიც სახეზეა: გიორგიმ ქულაზე მეტი ზუსტი პასი დააგროვა: 3 ქულა, 1 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა. მატჩის სნაიპერი კი ტარტუელი გერტ კულმაე გახდა - 25 ქულა.

II ჯგუფი. 6 ტურის შემდეგ: 1. როკი - 6 მოგება, 2. ნეპტუნასი - 4 / 3. ნევეჟისი - 3, 4. კალევი - 3, 5. ლიეპაია - 2, 6. საკალაი - 1, 7. პანევეჟისი - 1, 8. ატლეტასი - 1.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიგურული ციგურაობა

ინტერვიუ ირაკლი ჯაფარიძესთან

ვარშავაში მაქსიმუმი აჩვენა!

შეგვიძლია, მშვიდად ვემზადოთ მსოფლიო ჩემპიონატისთვის

26 და 27 იანვარს, ვარშავაში, მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ელენე გედევანიშვილმაც ისრიალა და საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდა. შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით შედეგი სამი საფეხურით გაუარესდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ელენეს ოსტატობამ იკლო. ცნობილი მოვლენების გამო, ქართველ მოციგურავეს მოსკოვიდან წამოსვლა მოუხდა და, ფაქტობრივად, არ უვარჯიშია, ბოლო ოციოდ დღეს თუ არ ჩავთვლით.

მიუხედავად ამისა, პირველ დღეს, მოკლე პროგრამაში ელენემ მშვენივრად ისრიალა და მესამე ადგილზე გავიდა. ეს კი, ახალი წესებით, მცირე ბრინჯაოს მედალს ნიშნავს, რაც ქართული ციგურაობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. გვესაუბრება საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჯაფარიძე, რომელიც პოლონეთში გახლდათ და უშუალო მხილველი იყო იქაური ბატალიებისა.

- ბატონო ირაკლი, პირველ რიგში ეს მინდა გკითხოთ: რატომ გადაწყდა ელენეს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა - ის ხომ არ იყო სათანადო სპორტულ ფორმაში?

- ელენემ ახალი სეზონი ძალიან კარგად დაიწყო - ვენაში, კარლ შეფერის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. სხვათა შორის, ეს ტურნირი ქართველებს კარგად აქვთ დაბედებული: ვახტანგ მურვანიძესაც აქვს მოგებული და მეორეზეც გასულა. თუმცა აირია პოლიტიკური სიტუაცია საქართველოსა და რუსეთს შორის და ელენეს დედას მოსკოვში პრობლემები შეუქმნეს. ძალიან კი ვეცადეთ სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, - მთელი ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთი და თბილისში ჩამოსულიყო. იქ, თითქოს, ელენეს არ ეხებოდნენ - დედამისს აუხირდნენ - საბუთები არ გაქვს წესრიგშიო. ყველა საბუთი წესრიგში იყო, მაგრამ მაინც დაიწუნეს.

რუსებმა თქვეს ელენე დარჩენილიყო და შევიფარებდითო, მაგრამ 16 წლის გოგონას მარტო დარჩენა არაფრით მოხერხდებოდა. ზუსტად ამის შემდეგ წავიდა ელენე ავსტრიაში და გაიმარჯვა. ამით მან საკადრისად უპასუხა ყველას. თუმცა ფორმის შესანარჩუნებლად სათანადო პირობები იყო საჭირო, რაც საქართველოში არ არსებობს. ელენეს სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა და ჩემი ხელმძღვანელობით ჩვენს არასტანდარტულ ყინულზე ვარჯიშობდა. ცხადი გახდა, რომ რუსეთში ვერ დაბრუნდებოდა, ამიტომ ალტერნატიული ვარიანტის ძებნა დავიწყეთ. ამ მხრივ ამერიკა რუსეთის მერე ყველაზე კარგი გამოსავალია. დავუკავშირდით ბრწყინვალე უკრაინელ სპეციალისტს, მრავალი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების გამზრდელ გალინა ზმიევსკაიას, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკში მუშაობს და დახმარება ვთხოვეთ.

თავიდან შორს დაიჭირა, მაგრამ კარგად რომ ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა, დამთანხმდა. იქამდე, საქართველოს პრეზიდენტს შევხვდით, სადაც გედევანიშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. მიხეილ სააკაშვილი ელენეს ყოველმხრივ დახმარებას დაჰპირდა და ჩვენდა სასიხარულოდ, დანაპირები სწრაფადვე შეასრულა - ელენეს ამერიკაში ცხოვრების, ვარჯიშისა და ტურნირებზე გამგზავრების ხარჯებისთვის 162 ათასი დოლარი გამოიყო. ამ თანხაში აბსოლუტურად ყველა ხარჯია გათვალისწინებული - მწვრთნელის ხელფასის ჩათვლით.

დაისახა გეგმა - ჯერ ამერიკაში გასამგზავრებლად და შემდეგ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. ამერიკის ვიზის მიღებაში ძალიან დაგვეხმარნენ საქართველოს სპორტის სამინისტრო დეპარტამენტი. 25 დეკემბერს ელენე ამერიკაში გაემგზავრა.

წვრთნას 2 იანვარს შეუდგა. 10 იანვრამდე ვფიქრობდით, რომ გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე არ გაემგზავრებოდა, მაგრამ შემდეგ ქალბატონმა გალინამ ყველა დაგვარწმუნა, რომ ვარშავაში წასვლა აუცილებელი იყო. საქმე ის არის, რომ 20 მარტს ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. ცხადია, ელენე მსოფლიოზე იასპარეზებს, მაგრამ თუკი ევროპაზე არ გამოვიდოდა, მსოფლიო ჩემპიონატამდე პრაქტიკა საერთოდ არ ექნებოდა, რაც აუცილებლად დაეტყობოდა მის შედეგს.

ამ მიდგომით გამოჩნდა, რომ ზმიევსკაია მართლაც კარგი მწვრთნელია, სხვათა შორის, მისი პროფესიონალიზმი იმაშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიყვანა ქართველი მოციგურავე ევროპის ჩემპიონატამდე. ყველას კარგად მოეხსენებოდა, მათ შორის ელენესაც, რომ სათანადო ფორმაში არ იყო, მაგრამ მოკლე პროგრამა მაინც შესანიშნავად შეასრულა. თავისუფალში რომ გაუჭირდებოდა, ესეც ვიცოდი, მაგრამ, ცხადია, ხელები არ ჩამოგვიყრია. საერთოდ, წესია - ვარჯიშებზე მთლიან პროგრამას რამდენჯერმე გადიხარ, რათა კარგად გაგიჯდეს და ფიზიკურადაც გაუძლო. ელენეს რომ ვკითხე, რამდენჯერ ისრიალე თავისუფალი ვარჯიში-მეთქი, მხოლოდ ერთხელო, მიპასუხა. მეტის უფლება ზმიევსკაიამ არ მისცა და სწორედაც მოიქცა - არ გადატვირთა სპორტსმენი, ძირითადი აქცენტი მოკლე პროგრამაზე გააკეთა და შედეგიც მიიღო.

- მიუხედავად ყველაფრისა, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ელენეს თავისუფალში უკეთ ესრიალა? მგონი, დაცემის შემდეგ ის ფსიქოლოგიურად გატყდა და შეცდომებიც მხოლოდ ამიტომ დაუშვა.

- მიმაჩნია, რომ უკეთ სრიალს ვერ შეძლებდა. აქ დაცემაზე არ არის საქმე. ელენემ ილეთების დროს დაუშვა ისეთი



შეცდომები, რომლის დანახვა არაპროფესიონალისთვის ძნელია - მან სამმაგი ხტომების მაგივრად ორმაგი შეასრულა, 2.5-ის მაგიერ - ერთნახევარი; არ იყო სისუფთავე ხტომებში და სხვაც მრავალი. ელენეს ურთულესი პროგრამა აქვს და ეს მის კლასზე მეტყველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, გამძლეობა არ ეყო. ვერც ეყოფოდა და კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ ეს ვიცოდით.

- თავად რა განწყობაზე იყო? რას ამბობდა?

- გედევანიშვილს იმხელა პასუხისმგებლობა აქვს, რომ წინასწარ განიცდიდა, რომ ვერ შევასრულო კარგად, რა მოხდებაო. ჩვენ ვცდილობდით, მისთვის ეს ემოცია შეგვემსუბუქებინა - ვუთხარით, ნურაფერზე იფიქრებ, მთავარია, რაც შეგიძლია, ის აჩვენო და უკეთესი მომავლისთვის გადავდოთთქო. გედევანიშვილი საკმაოდ ჭკვიანი გოგოა და ზუსტად გრძნობს ყველაფერს. მან ვარშავაში ყველაფერი გაილო და რაც იმ დროისთვის შეეძლო, ის შედეგი აჩვენა.

არ მინდა დაკნინდეს მოკლე პროგრამაში მესამე ადგილი - ახალი წესებით ელენეს მცირე ბრინჯაო ერგო და ძალიანაც გავიხარეთ. სხვათა შორის, ეტყობა მეგობრობა სპორტში მაინც ბევრს ნიშნავს - მესამე ადგილს ძალიან ბევრი გვილოცავდა და მათ შორის რუსი კოლეგებიც - აშკარა იყო, რომ მათი ემოცია გულწრფელი იყო. კეთილი ხალხი მაინც მეტია ბოროტებზე და ამიტომ არ შეიძლება ხელის ჩაქნევა.

ძალიან მინდა არასპორტულ ერთ მხარესაც შევეხო და დიდი მადლობა გადავუხადო პოლონეთში საქართველოს ელჩს ბატონ კოტე ქავთარაძეს. ბატონი კოტე თან გადაგვყვა და ერთი წუთით არ მივუტოვებივართ: აეროპორტში დაგვხვდა, დაბინავებაში მოგვეხმარა, დარბაზშიც მოდიოდა და საქართველოს დროშით ხელში გვგულშემატკივრობდა. სხვათა შორის, იმ დროს ვარშავაში საქართველოს პარლამენტის ერთი ჯგუფიც იმყოფებოდა - ნინო კალანდაძე, პალიკო კუბლაშვილი, თამაზ ტყემალაძე და სხვანი. ისინიც გვამხნევებდნენ დარბაზიდან, იქამდე ელენეს შეხვდნენ და წარმატება უსურვეს. ცხადია, ასეთ ყურადღებას დიდი ძალა აქვს და დარწმუნებული ვარ, ელენემ ამიტომაც ისრიალა კარგად. არ დაგიმალავთ და ასეთი შედეგი ყველასთვის მოულოდნელი იყო.

ელენე ვარშავაში პრესისა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა, - ყველამ კარგად იცოდა მის თავს გადახდენილი ამბავი და კითხვებს აყრიდნენ. ბევრი თანაუგრძნობდა და ამხნევებდა.

- ევროპის ჩემპიონატი ჩავლილია, მსოფლიო მალე მოაწევს. იქ რას გეგმავთ?

- 20 მარტამდე არცთუ დიდი დროა, მაგრამ მწვრთნელ-შეგირდს უკვე მშვიდად შეუძლია იმუშაოს და ყველა პლუს-მინუსი გააანალიზოს. ცხადია, რომ ტოკიოში ელენეს ბევრად გაუჭირდება - ძალიან მაღალი დონის სამი იაპონელი მოციგურავე იასპარეზებს, ასევე ამერიკელები კანადელები, ჩინელები და სხვებიც დაემატებიან. ამათ კონკურენციის გაძლება ურთულესი საქმეა და ვთვლი, რომ თუკი ელენე ათეულში შევა, ძალიან კარგი შედეგი იქნება.

- მსოფლიო ჩემპიონატამდე თუ იასპარეზებს სადმე?

- იყო ვარიანტი, რომ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე გამოსულიყო, მაგრამ მწვრთნელმა უარი თქვა - ამ შემთხვევაში მოსამზადებელი ეტაპი ჩავარდებაო. სანაცვლოდ, იუნიორთა შორის ქართულ წყვილს ვიხილავთ - ოთარ ჯაფარიძესა და ეკატერინა ზაიკინას.

- ოთარი თქვენი ვაჟია და უკვე საკმაოდ წარმატებული სპორტსმენიც. სად ვარჯიშობს ამჟამად?

- მოსკოვთან ახლოს, 25 კმ-ის დაშორებით, ქალაქ ოდინცოვოში ვარჯიშობს. იქ უნიკალური საციგურაო ბაზაა და დიდებული მწვრთნელები არიან.

- როგორც ქართველს, პრობლემებს ხომ არ უქმნიან?

- ჯერ არა, მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობა. ვშიშობ, 1 ივნისის შემდეგ ვითარება გართულდება - ამ დრომდე გვაქვს ვიზა და მერე როგორ შევძლებთ გაგრძელებას, არ ვიცი. თუ ჩვენც იძულებულნი გაგვხადეს, დავტოვოთ რუსეთი, ძალიან ცუდი იქნება, - მოცეკვავე წყვილისთვის კვალიფიციური მწვრთნელების მოძებნა უფრო რთულია, ვიდრე სხვებისთვის. იმედი მაქვს, რომ აქამდე საქმე არ მივა.

- შარშან ქართულმა წყვილმა ევროპის ჩემპიონატზე 21-ე ადგილი დაიკავა. წლეულს რა შედეგს ელით?

- ობიექტური თუ ვიქნები, მე-15-16-ე ადგილებს ვუმიზნებთ. სპორტულ ცეკვებში ავტორიტეტის მოპოვება უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია. ეს სახეობა უფრო სუბიექტურია, ამიტომ საციგურაო სამყარომ კარგად უნდა გაგიცნოს, რასაც დრო უნდა. მათი შესაძლებლობების ნახვა უახლოეს დღეებში იქნება შესაძლებელი - ხვალ, პოლონეთში, გდანსკში დიდი საერთაშორისო ტურნირი "ბალტიის თასის" გათამაშება იწყება. ჯაფარიძე-ზაიკინას წყვილი იქ ისრიალებს და იმედია, კარგადაც.

- წარმატებებს გისურვებთ თქვენ და ქართველ მოციგურავეებს.

- დიდი მადლობა თქვენ, გამოჩენილი ყურადღებისთვის - თქვენი მხარდაჭერა ბევრად რგებს ჩვენს სპორტსმენებს.

ზვიად შათირიშვილი

თარიღი



3 თებერვალი, 1932 - დაიბადა **ნოდარ გვახარია**, წყალბურთი. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1948-1951, 1956-1961), მოსკოვის "დინამოსა" (1951-1956) და სსრკ ნაკრებში (1951-1960). იყო თბილისის "დინამოს" მოთამაშე-მწვრთნელი, მთავარი მწვრთნელი (1960-1967), სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1962-1964). 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1958), ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული თამაშების ჩემპიონი (1953) და ორგზის მეორე პრიზიორი (1955, 1957), მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების მეორე პრიზიორი (1954). სსრკ ჩემპიონი (1953), ორგზის მეორე (1956, 1960) და ორგზის მესამე (1958, 1959) პრიზიორი, სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის მესამე პრიზორი (1959). მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამო" სსრკ ჩემპიონატებში სამჯერ გახდა მეორე (1960, 1962, 1963) და ორჯერ მესამე პრიზიორი (1964, 1966). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. გარდაიცვალა 1996 წლის 14 ნოემბერს.

ჩოგბურთი

ფიშერი მეორედ

ზედიზედ მეორე კვირაა, **ლადო ჩიხლაძე** ავსტრიელ ჩოგბურთელ **მარტინ ფიშერთან** მარცხდება. ავსტრიის დაბა ბერგჰაიმში ლადომ მესამე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობა მეოთხედფინალურ ეტაპზე შეწყვიტა, ფიშერმა ქართველს სამ სეტში აჯობა - 4:6, 6:3, 3:6. ერთი კვირის წინათ, ფიშერი - ჩიხლაძის ბრძოლა მეოთხედფინალში შედგა. ბრძოლას ტურნირის მეორე ჩოგანი აგრძელებს, ლადო კი სამშობლოში გამოემგზავრა, რათა "დევისის თასის" მატჩისთვის მოემზადოს. შეგახსენებთ, რომ 9-11 თებერვალს საქართველო ევრო-აფრიკულ I ზონაში პორტუგალიას ეთამაშება. ჩიხლაძე მსოფლიო კლასიფიკაციაში 541-ე პოზიციაზე იმყოფება.

ჩაბები. ერთი თასი

მალხაზ ჭეიშვილი

ილია ზედგინიძე

ლალი, ღია და ლამაზი თამაში უნდა იყოს!

პირველი გვერდიდან

ამასობაში მორაგბეები გასახდელებიდან ავტობუსისკენ გაემართნენ და ნაკრების მწვრთნელს კაპიტნისთვის ყურმილის გადაცემა ვთხოვეთ. ილია ზედგინიძეს უწინარესად ვკითხეთ მისი გუნდის, "ოშის" მწვრთნელ ანრი ბრონკანზე, რომელიც უკვე ბორჯღალოსანთა კონსულტანტია.

- ანრი ბრონკანი მაღალი დონის პროფესიონალია. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ მუშაობს ის კლუბში. საქმისადმი მიდგომა, ორგანიზაცია, მორაგბეებთან დამოკიდებულება უმაღლეს რანგში აქვს აყვანილი. პროფესიით პედაგოგია და იცის, ადამიანებთან ურთიერთობა როგორ ააწყოს. ჩვენი გუნდი "ოში" მეგობრული, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივია და ეს ბრონკანის დამსახურებაა.

- ხომ არ იცით, როგორი სიტუაციაა ჩვენი მოწინააღმდეგის, რუმინეთის ნაკრების ბანაკში?

- რუმინელებმა საუკეთესო შემადგენლობას მოუყარეს თავი. მხოლოდ სამი წამყვანი მოთამაშე აკლიათ. პეტრე მიტუმ და ალექსანდრუ მანტამ სანაკრებო კარიერა დაასრულეს, ოვიდიუ ტონიცა ტრავმირებულია. სხვები, თუ არ ვცდები, ყველა მწყობრში არიან. მართალი გითხრათ, არც მიგვიქცევია ყურადღება, იმათ ბანაკში რა ხდება. ჩვენ მთლიანად ჩვენი თამაშის სრულყოფაზე ზრუნვით ვიყავით დაკავებული. ვნახოთ, რა გამოვა. მოუხედავად იმისა, რომ რომ ანთიმოზ ივერიელის თასიც თამაშდება და ერთა თასის ორი ძირითადი კონკურენტი თამაშობს, ორივე გუნდი ფსიქოლოგიური ზეწოლისგან თავისუფალი იქნება. თამაშიც ლაღი, გახსნილი და ლამაზი უნდა გამოვიდეს.

3 თებერვალი
პორტუგალია-ესპანეთი

10 თებერვალი
ესპანეთი-რუსეთი

10 მარტი
რუმინეთი-ესპანეთი

17 მარტი
ესპანეთი-საქართველო
ჩეხეთი-რუმინეთი

3 თებერვალი, შუაღამისტი

რუმინეთი-საქართველო

15:30 პირდაპირი რეპორტაჟი მზე ზე

რუმინეთი: 15. ფლორინ ვლაიკუ, 14. კატალინ ფერკუ, 13. გაბრიელ ბრეზოიანუ, 12. რომეო გონტინიაკი, 11. კრისტიან საუანი, 10. იონუც ტოფანი, 9. ლუჩან სირბუ; 1. პეტრუ ბალანი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პეტრიშორ ტოდერაშკი, 4. სორინ სოკოლი (კაპ), 5. ქრისტიან პეტრე, 6. ფლორინ კოროდიანუ, 7. მიჰაი მაკოვეი, 8. კოსტიცა მერსოიუ /16. ჩეზარ პოპესკუ, 17. რაზვან მავროდინი, 18. იონ პაულიცა, 19. ვალენტინ ურსაკე; 20. ვალენტინ კალაფატენუ, 21. ჩაბა გალი, 22. იულიან დუმიტრაში.

საქართველო: 15 პალიკო ჯიმშელაძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. რეზო გიგაური, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. გიორგი ჰკინინი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე (კაპ), 5. ლევან დათუნაშვილი, 6. ილია მაისურაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ბესო უდესიანი / 16. დავით გასვიანი, 17. ავთანდილ კოპალიანი, 18. ვიქტორ დიდებულიძე, 19. მამუკა მაგრაქველიძე; 20. ბიძინა სამხარაძე, 21. დავით კაჭარავა, 22. გიორგი ელიზბარაშვილი

მსაჯი: კოლინ სტენლი (ირლანდია)

ჟიდეობა

მინდორაშვილი ძალებს ზოგავს, ევროპას ჭოვებს



რევაზ მინდორაშვილი

კვირას მოჭიდავეთა ორივე ნაკრები გაემგზავრება ბაკურიანში, სადაც ორი კვირის განმავლობაში საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლის.

ამით გუნდები 17-22 აპრილს, სოფიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის იწყებენ მზადებას, თუმცა ანტიკოსებმა ერთი ეტაპი უკვე გაიარეს. შეგახსენებთ, რომ მათ წინა კვირაში ფრანგულ კრეტეილში საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს, სადაც **რამაზ ნოზაძე** (96) ჩემპიონი გახდა, **დავით ბედინაძე** (60) და **გენადი გოგიშვილი** (74) მეორე ადგილზე დაიკავეს, მძიმეწონოსანი **რევაზ ჭელიძე** კი მესამე იყო.

ბუნებრივია, ბაკურიანში შეკრებაზე ორივე გუნდი უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრება. ვისაც ევროპის პირველობაზე მოხვედრა სურს, ყველა ეტაპი უნდა გაიაროს. თუმცა აქედანვეა ცნობილი, რომ მსოფლიო ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** კონტინენტის პირველობას გამოტოვებს. ცოტა არ იყოს და, ასაკშეპარული ფალავანი ოლიმპიადისთვის ძალებს ზოგავს, ამიტომ საგანგებო რეჟიმით მომზადება გადაუწყვეტია და ევროპის პირველობასაც ამტომ ტოვებს. რეზო სანაკრებო კონკურენციაში ივლისში ჩაებმება, როცა **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს.

მსოფლიო პირველობისთვის შესარჩევი სწორედ ეს შეჯიბრება იქნება, თუმცა მინდორაშვილი საერთაშორისო ტურნირებში მანამდეც გამოვა. უბრალოდ, ევროპის პირველობას გამოტოვებს, რადგან მისთვის ხეირიანად მომზადება გაცილებიც მეტ ენერგიას მოითხოვს, საერთაშორისო ტურნირებს კი ძირითადად ტექნიკური სრულყოფისთვის გამოიყენებს. მინდორაშვილი ბაკურიანშიც გაემგზავრა და ამ შეკრებასაც, როგორც დანარჩენებს, სრულად გაივლის.

არაა გამორიცხული, ასე სხვებიც მოიქცნენ, თუმცა ამის შესახებ ჯერ არც ერთ ნაკრებში არავის განუცხადებია.

ბაკურიანული შეკრების შემდეგ საერთაშორისო ტურნირების ჯერი დადგება. „თავისუფლები" 24-25 თებერვალს კიევში საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ, მარტში კი ერთდროულად ორგან გამოვლენ - ნაწილი 1-4 მარტს ტაშკენტში „ოქროს დიდ პრიზზე" იჭიდავებს, ნაწილიც - 3-4 მარტს ანკარაში, იაშარ დოგუს ხსოვნის ტურნირზე.

ტაშკენტში, „ოქროს დიდ პრიზზე"ანტიკოსებიც გამოვლენ, თუმცა მანამ, 24-25 თებერვალს ანთალიაში მსოფლიო თასზეც იჭიდავებენ მასპინძლების, ამერიკელების, რუსების, ირანელებისა და უკრაინელების წინააღმდეგ.

ამით ევროპის პირველობებისთვის მზადების სატურნირო ეტაპს ორივე ნაკრები დაასრულებს და მერე შეკრებებზე გადავლენ - ბულგარეთში წასვლამდე ორ შეკრებას გაივლიან. თუმცა მათთვის სეზონის მთავარი შეჯიბრება მაინც 17-23 სექტემბერს ბაქოში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც ათენის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა.

ამასთან, 17-20 თებერვალს თბილისში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჩატარდება. წლეულს მათ ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ - ივნისის ბოლოს ბელგრადში ევროპის პირველობაა, სულ რაღაც ერთ თვეში კი პეკინში, ოლიმპიურ დარბაზში - მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველოს პირველობა პირველი შესარჩევი ეტაპია, თუმცა არაა გამორიცხული, რომელიმე ახალგაზრდამ ეროვნულ ნაკრებშიც მოიპოვოს ადგილი. ამის შანსს ერთბაშად რამდენიმე მოჭიდავე ინარჩუნებს.

ირაკლი თავაძე

ჭიდჩაჭი

ცუდი ფინიში და დაკარგული შანსი

დასრულდა გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალი. უმთავრეს ტურნირში, სადაც საკმაოდ ძლიერმა დიდოსტატებმა მოიყარეს თავი, პირველობა არავის დაანება სომეხმა **ვლადიმერ აკოფიანმა**. მან ბოლო ტურში თანაბარქულოვანი უკრაინელი **იური კუზუბოვი** თეთრებით დაამარცხა და პირველობა გაიმაღლა.

ლიდერთა ტანდემს ნახევარი ქულით 12 მოჭადრაკე ჩამორჩებოდა, და ამათ 2-3 ადგილებისთვის უნდა ებძოლათ. გამარჯვებული უკრაინელი **ალექსანდრ არეშჩენკო** და ამერიკელი **ჰიკარუ ნაკამურა** გამოვიდნენ - ორივემ 7 ქულა დააგროვა, მაგრამ კოეფიციენტი უკრაინელს აღმოაჩნდა უკეთესი. ამავე მიზეზით გავიდა მეოთხე ადგილზე ებრაელი **ემილ სუტოვსკი** - მანაც 7 ქულით დაასრულა ტურნირი.

6.5 ქულით 13 მონაწილეა, მეხუთე-მეჩვიდმეტე ადგილებზე. კიდევ თერთმეტს 6 ქულა დაუგროვდა - მათ შორის ორი ქალბატონია, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი - ქართველი. არადა თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო - **ნანა ძაგნიძემ** ბოლო პარტიაში თეთრებით ვერაფერი მოუხერხა ინგლისელ **იოვანკა ჰოუსკას** და დამარცხდა. რომ მოეგო, 6 ქულა გაუხდებოდა და ეს კი, არც მეტი - არც ნაკლები, ქალთა შორის გამარჯვებას ნიშნავდა. ახლა კი სწორედ ჰოუსკა გახდა ქალებში უძლიერესი.

სამწუხაროდ, წააგო **ქეთევან არახამიამაც** - ის შავებით დამარცხდა ასევე ინგლისელ, ოლონდ მამაკაცთან - **ენდრიუ გრიტთან** (2425) გახდა. არახამიამ 4.5 ქულით დაასრულა ტურნირი რაც საერთო ცხრილში 75-ე ადგილის ტოლია, ქალთა შორის კი - მეთორმეტეს უდრის. ძაგნიძის მაჩვენებლები ასეთია: 5 ქულა, საერთო ცხრილში 54-ე, ქალთა შორის კი - მერვე ადგილი.

ჰოუსკამ ქალებს კი აჯობა, მაგრამ წინ 22 მამაკაცი გაუშვა. ქალებში მეორე იყო ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვა** - მასაც 6 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: **პია კრამლინგი** - 5,5; **ჰარიკა დრონავალი** - 5,5; **ირინა კრუში** - 5,5; **კატერინა ლაჰნო** - 5,5; **ჭუ ჩენი** - 5,5; **ნანა ძაგნიძე** - 5; **მაშა კლინოვა** - 5; **ტანია საჩდევი** - 5; **ქეთევან არახამია** - 4,5; **იოანა დვორაკოვსკა** - 4,5; **ელიზაბეტ პეჰცი** - 4,5.

ზვიად შათირიშვილი

ხელბურთი

ირაკლი ჩიქოვანი

ორი ოპერაცია და უცვლელი მიზანი

ერთი თვეც და საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. ჩემპიონატში მონაწილე ხუთივე გუნდი მონდომებით ემზადება. რა თქმა უნდა, ყველას თავისი ამბიცია აქვს. ქვეყნის უცვლელი, 16-გზის ჩემპიონი სტუ-"შევარდენმაც" უკვე მოილია ზამთრის არდადეგები და სამზადისს შეუდგა. "ტექნიკოსები", რაღა თქმა უნდა, ამჯერადაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობას გეგმავენ. გვესაუბრება ირაკლი კეკელიძე, სტუ-"შევარდენის" მთავარი მწვრთნელი:

- ზამთრის არდადეგები დავამთავრეთ და ტრადიციულად, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ვემზადებით. სამწუხაროდ, შემადგენლობაში გვაქვს პრობლემები. დღეს გავუკეთეთ ოპერაციები ორ წამყვან მოთამაშეს - რატი მსხვილიძესა და ირაკლი ჩიქოვანს, რომლებიც მხოლოდ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ დაუბრუნდებიან მოედანს. მუხლი ანუხებს საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტან გიორგი ქობულაშვილსაც, მაგრამ მისი ტრავმა არც ისე საგანგაშოა და ალბათ მოახერხებს თამაშს.

- ალექსანდრე ბოყოჩაძე თუ ითამაშებს?

- მოგეხსენებათ, ასაკის გამო ბოყოჩაძე ეროვნულ ნაკრებს გამოეთხოვა. ჯერჯერობით, არ ვიცით, საკლუბო კარიერას გააგრძელებს თუ არა. ვიმედოვნებ, იგი სტუ-"შევარდენს" დაეხმარება.

- ახალი ხელბურთელები ხომ არ დაგიმატებიათ?

- არა, არც არავინ დაგვიმატებია და არც გაგვიშვია. რა შემადგენლობითაც დავიწყეთ სეზონი, იმავეთი ჩავამთავრებთ.

- პირველ წრეში დოკუმენტებისა და ფინანსური პრობლემები გქონდათ...

- ნელ-ნელა, ყველაფერი გვარდება და ვიმედოვნებ, ჩემპიონატის განახლებისას პრობლემები აღარ გვექნება.

- სეზონის დასრულების შემდეგ, ევროთასებზე თამაშს აპირებთ?

- ჯერჯერობით, ეს არ გადაწყვეტილა. ამ საკითხზე გუნდის ხელმძღვანელობას შევხვდებით და მოვილაპარაკებთ.

- წლეულს შემადგენლობა საკმაოდ გადაახალისეთ. აქედან გამომდინარე, ამბიციები ხომ არ შეგიმცირდათ?

- არა, სტუ-"შევარდენი" ქვეყნის 16-გზის ჩემპიონია და ეს გუნდი მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძვის. რასაკვირველია, წლეულსაც პირველ ადგილს ვუმიზნებთ.

კობა ხატისაშვილი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ბარბოზას ნოკაუტი

ფინიქსი–ს. ანტონიო 103:87

16:22, 34:31, 22:17, 31:17

ფინიქსი: ბარბოსა (25 ქ. 3 ჩ), ამარე სტაუდმაიერი (24 ქ. 23 მ), დიაო (16 ქ. 6 მ. 4 პ), ნეში (13 ქ. 11 პ. 5 მ), მერიონი (12 ქ. 12 მ. 3 ჩ. 2 დ).

სან ანტონიო: ჯინობილი (32 ქ), დანკანი (20 ქ. 18 მ. 5 დ. 4 პ), ტ. პარკერი (20 ქ. 5 მ. 2 ჩ), ბ. ბერი (10 ქ. 3 ჩ).

დასავლეთისა და მთლიანად ლიგის ორი გრანდის პრინციპული დაპირისპირება "ფინიქსის" დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. პირველ მეოთხედში, "სპურსის" დაცვით სქემებში გახლართულმა "სანზმა", დიდი შესვენების შემდეგ ისეთი ტემპი აკრიფა, **გრეგ პოპოვიჩის** ბიჭები აზრზეც ვერ მოვიდნენ და "სან ანტონიო" მიმდინარე რეგულარულში მესამედ დამარცხდა 10 და მეტი ქულით.

უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ "სანზის" წარმატებული თამაში მთლიანად სუპერგამთამაშებელ **სტივ ნეშზეა** დამოკიდებული, მაგრამ აღნიშნულ მატჩს სხვა გმირები ჰყავდა.

რეგულარულის ბოლოს, ლეანდრო ბარბოზას საუკეთესო სათადარიგოს პრიზი რომ არ გადასცენ, უდიდესი უსამართლობა იქნება. ბრაზილიელი, რომელიც საშუალოდ მატჩში 16.5 ქულას აგროვებს, კარიერაში აშკარად ყველაზე პროდუქტიულ სეზონს ატარებს. ცხადია, რომ ლეანდროს ზუსტი ტყორცნების დიდი ნაწილი, ნეშის ფილიგრანულ პასებსა და მეტოქის მხრიდან **ამარე სტაუდმაიერისადმი** ზედმეტ ყურადღებას უკავშირდება, მაგრამ იმ სროლებს გამოყენება ხომ უნდა?! ჰოდა, ლეანდრომ თავისი სარგებლიანობა აღნიშნულ მატჩშიც დაამტკიცა – მან თამაშიდან 15-დან 9 სროლა შეასრულა ზუსტად, ძირითადის დასრულებას კი 3 წუთი რომ უკლდა, სწორედ მან გატეხა საბოლოოდ "სპურსი".

ბარბოსა პერიმეტრზე **ბრენტ ბერის** ებრძოდა, როდესაც ეს უკანასკნელი სამწამიანისკენ დაძრულ **შონ მერიონზე** გადაერთო. ლეანდრო უმეთვალყურეოდ დარჩა და სამიანი გააქანა - ზუსტი ტყორცნა, ხოლო სროლისას მასზე **მანუ ჯინობილი** დაჯარიმდა და ლეანდრომ ერთქულიანის გამოყენებით თავისიანები 94:86 გაიყვანა წინ.

მეორე გმირი კი ამარე სტაუდმაიერია. ამ უნიჭიერეს ახალგაზრდას, "სპურსთან" მატჩებში თითქმის ყოველთვის შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს ხოლმე და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა ყოფილა. ამარემ წალეკა ორივე ფარი, შეტევაში 8 (!) მოხსნა დააგროვა და საერთო ჯამში, ამ სეზონში თავისთვის სარეკორდო, 23 მოხსნაც მოიმკო.

აი ასე, "სპურსმა" კიდევ ერთი პრინციპული შეხვედრა დათმო (ზედიზედ მეორე). 22 თებერვლის სატრანსფერო დედლაინამდე, გუნდი მინიმუმ ერთი დიდი ტრანსფერის გაჩარხვას გეგმავს. ამბობენ, პოპოვიჩმა თვალი "მაიამის" მძიმე ფორვარდ **ადონის ჰასლემს** დააშორა", - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **შაკილ ო'ნილი**, რომელმაც 6 პერსონალურის გამო, შეხვედრა ბოლომდე ვერ დაასრულა.

მორიგი მატჩი ჩააგდო "კავალიერსის" ლიდერმა, **ლებრონ ჯეიმსმა**. მისმა სტატისტიკამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ - ჯეიმსმა 8 საჯარიმოდან მხოლოდ 5 გამოიყენა, ბოლო 3 წუთში კი, სამი უმნიშვნელოვანესი ერთქულიანი სროლა გააფუჭა, მათ შორის ერთი ძირითადის დასრულებამდე 44.6 წამით ადრე, რაც მის გუნდს ყაიმს მოუტანდა.

სხვათა შორის, ლებრონს "მაიამისთან" 7 გასვლით მატჩში ერთი გამარჯვებაც არ აქვს მოპოვებული, თუმცა, მისი აზრით, ყველაფერი ეს მეორეხარისხოვანია და მთავარი მაინც ფლეი ოფია.

"მაიამიმ" მოიგო ბრძოლა, მაგრამ დიდი ომის მოგების უკეთესი შანსები მაინც "კლივლენდს" აქვს", - მიაჩნია ლებრონს, რომელმაც 18-დან 12 სროლა ვერ გამოიყენა. ფლორიდელებს კვლავ არ ჰყოლიათ ტრავმირებული გამთამაშებელი **ჯეისონ უილიამსი**, რომელმაც, შესაძლოა, კიდევ 3 შეხვედრა გამოტოვოს.

ზურაბ თალაკვაძე

აღმოსავლეთი

ატლანტიკის ოკეანე

	თ	მ	წ	%
ტორონტო*	46	23	23	50.0
ნიუ ჯერსი*	46	22	24	47.8
ნიუ იორკი	48	20	28	41.7
ფილადელფია	47	15	32	31.9
ბოსტონი	45	12	33	26.7

ცენტრალური

	თ	მ	წ	%
დეტროიტი*	44	26	18	59.1
ჩიკაგო*	46	26	20	56.5
კლივლენდი*	46	26	20	56.5
ინდიანა*	45	24	21	53.3
მილუოკი	46	18	28	39.1

სამხრეთ–აღმოსავლეთი

	თ	მ	წ	%
ვაშინგტონი*	45	27	18	60.0
ორლანდო*	46	24	22	52.2
მაიამი	46	21	25	45.7
ატლანტა	44	17	27	38.6
შარლოტი	45	17	28	37.8

დასავლეთი

სამხრეთ–დასავლეთი

	თ	მ	წ	%
დალასი*	47	38	9	80.9
სან ანტონიო*	48	32	16	66.7
ჰიუსტონი*	45	29	16	64.4
ნიუ ორლეანი	45	19	26	42.2
მემფისი	45	12	35	25.5

ჩრდილო–დასავლეთი

	თ	მ	წ	%
იუტა*	47	30	17	63.8
დენვერი*	43	22	21	51.2
მინესოტა	45	22	23	48.9
პორტლენდი	47	20	27	42.6
სიეტლი	46	17	29	37.0

წყნარი ოკეანე

	თ	მ	წ	%
ფინიქსი*	46	37	9	80.4
ლოს-ანჯელესი*	46	28	18	60.9
კლიპერსი*	45	23	22	51.1
გ. სტეიტი	46	21	25	45.7
საკრამენტო	44	18	26	40.9

შენიშვნა: * - ფლეი ოფის ზონა



ლეანდრო ბარბოზა



კარმელო ენტონი

გუშინ, აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების ნაკრებთა მწვრთნელებმა "ოლ სტარის" სარეზერვო კალათბურთელები დაასახელეს. ყველაზე დიდი მოულოდნელობა გახდა ის, რომ "ფინიქს სანზის" მთავარმა მწვრთნელმა, **მაიკ დენტონიმ** დასავლეთის შემადგენლობაში არ შეიყვანა წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი, "დენვერ ნაგეტსის" ლიდერი **კარმელო ენტონი**.

მწვრთნელს თავის გადაწყვეტილებაზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ ენტონი "მედისონ სკვერ გარდენში" ამტყდარი იმ გრანდიოზული ჩხუბის გამო დაისაჯა, რომლის შემდეგაც კალათბურთელმა 15-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ასე რომ, ერთმა "ცუდმა ღამემ" კარმელოს კარიერაში პატარა შავი ლაქა დატოვა.

სამაგიეროდ, დენტონიმ დასავლეთის ნაკრების კარი გაუღო ენტონის თანაგუნდელ **ალენ აივერსონს**, რომელიც ზედიზედ მერვედ ითამაშებს "ყველა ვარსკვლავის მატჩში". წინა 7 შემთხვევაში (შვიდივეჯერ სასტარტოში), "ფილადელფიას" ან უკვე ყოფილი წევრი აღმოსავლეთის ღირსებას იცავდა, მაგრამ ამ სეზონში განხორციელებული ტრეიდის წყალობით, ამჯერად მას დასავლეთის ვარსკვლავების მხარდამხარ მოუწევს თამაში.

საერთო ჯამში, ორივე გუნდში ერთად სამი დებიუტანტი დაგროვდა - აღმოსავლეთიდან "ოლ სტარში" პირველად ითამაშებენ ორლანდოელი **დუაიტ ჰოვარდი** და ვაშინგტონელი **კერონ ბატლერი**, დასავლეთში კი, ერთადერთი დებიუტანტი - "იუტას" ფორვარდი **კარლოს ბუზერია**.

"ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობის მხრივ რეკორდსმენი კი, "მაიამის" ცენტრი **შაკილ ო'ნილია** - ის მეთოთხმეტედ ითამაშებს ამ შოუში.

ALL STAR 2007

კარმელო ენტონის გარეშე

აღმოსავლეთი

სასტარტო ხუთეული

უკანა ხაზი: გილბერტ არენასი (ვაშინგტონი, 29.6 ქულა, 4.6 მოხსნა, 6.3 პასი), დუეინ უეიდი (მაიამი, 28.4 ქ. 4.9 მ. 7.8 პ).

ფორვარდები: ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი, 27.2 ქ. 6.8 მ. 6.0 პ), კრის ბოში (ტორონტო, 22.6 ქ. 10.9 მ. 2.2 პ).

ცენტრი: შაკილ ო'ნილი (მაიამი, 12.0 ქ. 6.5 მ. 1.0 პ).

სათადარიგოები: კეირონ ბატლერი (ვაშინგტონი, ფორვარდი – 20.6 ქ. 8.0 მ. 3.9 პ), ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი, უკანა ხაზი – 18.1 ქ. 3.5 მ. 7.6 პ), ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი, უკანა ხაზი – 14.9 ქ. 8.2 მ. 8.8 პ), ჯერმეინ ონილი (ინდიანა, ფორვარდი – 19.5 ქ. 10.4 მ. 2.8 პ), რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი, უკანა ხაზი – 22.7 ქ. 4.0 მ. 3.6 პ), ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი, ფორვარდი – 25.0 ქ. 5.6 მ. 4.4 პ), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო, ცენტრი – 16.8 ქ. 12.1 მ. 1.7 პ).

მთავარი მწვრთნელი: ედი ჯორდანი (ვაშინგტონი)

დასავლეთი

სასტარტო ხუთეული

უკანა ხაზი: კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 28.7 ქულა, 5.4 მოხსნა, 5.5 პასი), ტრეისი მაკგრედი (ჰიუსტონი, 23.7 ქ. 5.4 მ. 6.3 პ).

ფორვარდები: ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 20.4 ქ. 10. 6 მ. 3.5 პ), კევინ გარნეტი (მინესოტა, 22.7 ქ. 12.4 მ. 4.3 პ).

ცენტრი: იოა მინი (ჰიუსტონი, 25.9 ქ. 9.4 მ. 2.1 პ).

სათადარიგოები: კარლოს ბუზერი (იუტა, ფორვარდი - 22.1 ქ. 11.8 მ. 3.0 პ), შონ მერიონი (ფინიქსი, ფორვარდი – 18.9 ქ, 10.1 მ. 1.6 პ), ალენ აივერსონი (დენვერი, უკანა ხაზი, 28.9 ქ. 2.7 მ. 7.5 პ), სტივ ნეში (ფინიქსი, უკანა ხაზი, 19.6 ქ. 3.3 მ. 12.0 პ), დირკ ნოვიცკი (დალასი, ფორვარდი, 25.1 ქ. 9.5 მ. 3.2 პ), ტონი პარკერი (სან ანტონიო, უკანა ხაზი, 19.0 ქ. 3.2 მ. 5.6 პ), ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი, ფორვარდი, 18.6 ქ. 8.9 მ. 0.9 პ).

მთავარი მწვრთნელი: მაიკ დენტონი (ფინიქსი)

თვის მოთამაშეები

ნეში და ბოში

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ იანვრის თვის საუკეთესო კალათბურთელები გამოავლინა. აღმოსავლეთ კონფერენციაში ყველას აჯობა "ტორონტოს" ფორვარდმა **კრის ბოშმა**, ხოლო დასავლეთში ლაურეატად "ფინიქსის" გამთამაშებელი **სტივ ნეში** დასახელდა.

იანვარში, კრის ბოში საშუალოდ მატჩში 25.4 ქულასა და 9.1 მოხსნას აგროვებდა. 24 იანვარს, მან "ნიუ ორლეანთან" შეხვედრაში 35 ქულა ჩააგდო და კარიერის რეკორდი დაამყარა.

სტივ ნეშის გასული თვის მონაგარი 18.0 ქულასა და 13.0 შედეგიან გადაცემას უტოლდება. NBA-ის ორგზის საუკეთესო კალათბურთელმა 11 იანვარს სეზონის რეკორდი დაამყარა - "კლივლენდთან" მატჩში 21 შედეგიანი პასი გააკეთა. სულ კი, იანვარში "ფინიქსის" ლიდერმა 208 გადაცემა შეასრულა, რითაც "იუტას" ლეგენდარული კალათბურთელის, **ჯონ სტოქტონის** მიერ 1995 წელს დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

ევროლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტური

A ჯგუფი

ეფესი–დინამო (ბ) 72:76

23:18, 12:13, 22:29, 15:16

ეფესი: ჯენკინსი (25 ქ. 3 მ), კიუგო (16 ქ. 6 მ. 3 პ), ნიკოლასი (13 ქ), გონლუმი (6 ქ. 10 მ).

დინამო: ფოცისი (18 ქ. 5 მ), ჰანსენი (16 ქ. 5 მ), პაპადოპულოსი (14 ქ. 6 მ. 5 პ).

ოლიმპიაკოსი–კიროლი 77:73

20:17, 27:20, 12:16, 18:20

ოლიმპიაკოსი: ჟიჟიჩი (25 ქ. 5 მ. 3 პ), ბურუსისი (12 ქ. 11 მ. 4 პ. 4 დ. 3 ჩ), პაპაკარიოსი (11 ქ. 4 პ), ჯ. პენი (11 ქ).

რაინერგია: მალეტი (23 ქ. 3 პ), დ. გრინი (18 ქ. 5 მ. 4 პ. 4 ჩ), მაკელროი (15 ქ. 10 მ. 4 პ).

ტაუ–ლე მანი 86:54

28:13, 20:9, 20:14, 18:18

ტაუ: სკოლა (18 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), რაკოჩევიჩი (15 ქ. 3 პ), ტელეტოვიჩი (14 ქ. 8 მ. 3 ჩ), ერდოგანი (11 ქ).

ლე მანი: ე. კემპბელი (11 ქ), ამაგუ (10 ქ).

პროკომი–კლიმამიო 78:84

16:24, 26:13, 10:20, 26:27

პროკომი: დალმაუ (18 ქ. 7 პ. 3 ჩ), სლანინა (15 ქ), მ. ანდერსენი (10 ქ. 5 მ).

კლიმამიო: ევტიმოვი (21 ქ. 15 მ. 3 პ. 3 ჩ), ბლუტენტალი (17 ქ), ედენი (17 ქ. 5 პ), მანჩინელი (16 ქ. 4 ჩ).

	მ/წ	სხვ.
1. ტაუ	12-2	+140
2. დინამო (ბ	10-4	+68
3. ოლიმპიაკოსი	10-4	+53
4. ეფეს პილზენი	8-6	+50
5. პროკომი	5-9	-42
6. კლიმამიო	5-9	-61
7. ლე მანი	4-10	-152
8. რაინერგია	2-12	-152

B ჯგუფი

რომა–იბონა 81:58

23:17, 24:16, 19:10, 15:15

რომა: ჩეტმენი (19 ქ. 6 ჩ. 5 მ. 5 პ), დ. ჰოკინსი (17 ქ), ბოდიროგა (11 ქ. 4 მ. 3 პ), მავროკეფალიდისი (11 ქ).

იბონა: ბ. რაიტი (14 ქ. 12 მ. 3 პ. 3 ჩ), უორენი (11 ქ), კუსი (10 ქ).

ხუვენტუდი–ოლიმპია 82:86

24:17, 20:26, 22:19, 16:24

ხუვენტუდი: რ. ფერნანდესი (18 ქ. 3 მ. 3 პ), გეინსი (14 ქ. 7 მ), ბარტონი (12 ქ. 11 მ. 3 ჩ).

ოლიმპია: რანიკო (22 ქ. 3 პ), ლორბეკი (19 ქ), **მანუჩარ მარკოშვილი (36 წთ. 17 ქ. 3 პ. 2 მ. 2 ჩ).**

მაკაბი–პანათინაიკოსი 76:73

12:24, 21:13, 19:22, 24:14

მაკაბი: შარპი (18 ქ. 3 პ), ჰალპერინი (10 ქ. 3 პ), ვუიჩიჩი (9 ქ. 9 მ. 4 პ).

პანათინაიკოსი: დიამანტიდისი (17 ქ. 3 მ. 3 პ), შიშკაუსკასი (12 ქ), ბეჩიროვიჩი (12 ქ), ცარცარისი (9 ქ. 11 მ).

პარტიზანი–უნიკახა 90:94 (ო)

12:22, 24:19, 12:16, 35:26, 7:11

პარტიზანი: პ. დრობნიაკი (23 ქ. 8 მ. 5 ჩ. 3 დ), ვ. კამინგსი (16 ქ. 5 პ), ტრიპკოვიჩი (13 ქ), პეკოვიჩი (12 ქ).

უნიკახა: პ. სანჩესი (20 ქ. 5 პ), ველში (18 ქ. 4 მ), სანტიაგო (13 ქ. 6 მ), ტუშეკი (12 ქ), კაბეზასი (11 ქ. 3 ჩ).

	მ/წ	სხვ.
1. პანათინაიკოსი	11-3	+92
2. მაკაბი	8-6	+53
3. ხუვენტუდი	7-7	+63
4. უნიკახა	7-7	-84
5. რომა	6-8	-17
6. პარტიზანი	6-8	+7
7. იბონა	6-8	-28
8. ოლიმპია	5-9	-86

C ჯგუფი

ნაპოლი–ბენეტონი 62:64

19:15, 16:13, 15:14, 12:22

ნაპოლი: ტაირონ ელისი (26 წთ. 16 ქ. 4 მ. 1 პ), მორანდაისი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ), სესეი (11 ქ. 7 მ).

ბენეტონი: გორე (13 ქ. 4 მ. 4 ჩ), ლიდეი (10 ქ), ნელსონი (9 ქ. 6 მ).

პო ორტეზი–ჟალგირისი 68:56

14:16, 16:15, 19:13, 19:12

პო-ორტეზი: მ. რაიტი (24 ქ. 4 მ. 2 დ), მაილსი (14 ქ. 6 პ. 4 მ), კ. ჰარისონი (13 ქ. 4 მ. 4 ჩ).

ჟალგირისი: ტ. ბერდი (17 ქ. 12 მ), მაციულისი (9 ქ. 8 მ. 3 ჩ).

არისი–ბარსელონა 75:82 (ო)

19:24, 15:19, 20:16, 18:13, 3:10

არისი: მასეი (22 ქ. 10 მ. 4 პ. 4 ჩ), ილიადისი (17 ქ), მ. უილკინსონი (10 ქ. 7 მ).

ბარსელონა: ნავარო (20 ქ. 3 პ), ბაზილე (17 ქ. 4 პ), ლაკოვიჩი (13 ქ. 4 პ. 2 ჩ), ტრიასი (12 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ).

ცსკა–ფენერბახჩე 85:66

21:10, 16:19, 20:17, 28:20

ცსკა: ლენგდონი (20 ქ), დ. ანდერსენი (18 ქ. 9 მ), პაპალუკასი (6 ქ. 12 პ).

ფენერბახჩე: სოლომონი (17 ქ. 4 პ. 3 ჩ), სავაში (14 ქ), მრშიჩი (14 ქ), თურქჯანი (6 ქ. 12 მ. 2 ჩ).

	მ/წ	სხვ.
1. ცსკა	13-1	+167
2. ბარსელონა	9-5	+61
3. ბენეტონი	8-6	+32
4. პო-ორტეზი	7-7	-11
5. არისი	6-8	-42
6. ნაპოლი	6-8	-61
7. ფენერბახჩე	5-9	-44
8. ჟალგირისი	2-12	-102

TOP 16-ში გავიდნენ: ცსკა, ბარსელონა, ბენეტონი, პო-ორტეზი, არისი, პანათინაიკოსი, მაკაბი, ხუვენტუდი, უნიკახა, რომა, პარტიზანი, ტაუ, დინამო, ოლიმპიაკოსი, ეფეს პილზენი, პროკომი.

II ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა 5 თებერვალს, ბარსელონაში გაიმართება.

ტურნირები

ჰინგისს რევანში სწყურია



მარტინა ჰინგისი

ტოკიოში მიმდინარე "პან პასიფიკის" ღია პირველობის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, რუსმა **მარია შარაპოვამ** და მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა**.

რუს ლამაზმანს ეს ტურნირი 2005 წელს აქვს მოგებული, ჰინგისი კი ამავე ტურნირის ჩემპიონი ოთხჯერ იყო. მათ დიდი შანსი აქვთ, ფინალში სწორედ ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშონ.

მეოთხედფინალში ორივე ჩოგბურთელმა საკმაოდ იოლი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ თუ მომდევნო წრეში გასასვლელად, შარაპოვას სამი სეტი დასჭირდა, ჰინგისმა ეს ორ სეტში შეძლო და თანაც ისე, რომ თავის ოზ მეტოქე **სამანტა სტოშურს** ოდენ ერთი გეიმი დაუთმო.

შარაპოვას მეტოქე კი იაპონელი **აი სუგიამა** იყო. რუსმა თამაში კარგად დაიწყო და 3:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ რატომღაც ყურადღება მოადუნა და სეტის ბოლომდე ერთადერთი გეიმის მოგებაღა შეძლო. სეტებს შორის, შარაპოვამ კონსულტაცია გაიარა თავის მწვრთნელ **მაიკლ ჯოისთან**, რის შემდეგაც თავისი მეტოქე უშანსოდ დატოვა - ჰინგისისა არ იყოს, მანაც მომდევნო ორი სეტი ისე მოიგო, რომ სუგიამას მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა.

უნდა ითქვას, რომ შარაპოვა თამაშისას ჩოგბურთელის მწვრთნელთან კონსულტანციების წინაღმდეგია, მაგრამ ტოკიოში მან ეს უფლება ორჯერ გამოიყენა. პირველად ეს პირველივე წრეში, იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონესთან** შეხვედრისას მოხდა.

"პირველ სეტში ცოტა წავიზარმაცე - შეტევაზე იშვიათად გადავდიოდი, მაგრამ შემდეგ მაიკლმა მირჩია, რომ უფრო აგრესიულად თუ ვითამაშებდი, შედეგიც შესაბამისი მექნებოდა. რა თქმა უნდა, დავუჯერე და ამით მოგებული დავრჩი", - განაცხადა შარაპოვამ, ვინც შეხვედრის განმავლობაში სულ 14 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

რუსის მომდევნო მეტოქე სერბი **ანა ივანოვიჩია**, ვინც სამსეტიან დაძაბულ პაექრობაში თანამემამულე **ელენა იანკოვიჩს** აჯობა. რუსი შიშობს, რომ თუ მოწოდების ხარისხს არ გააუმჯობესებს, ივანოვიჩისგან მეტი პრობლემა შეექმნება. *"ასეთი მოწოდებით შორს ვერ წავალ. ამიტომ, თუ ტურნირის მოგება მინდა, აუცილებლად უნდა მივხედო ამას"*, - ამბობს შარაპოვა, ვინც სკიავონესთან შეხვედრისას კიდევ უფრო მეტი, 17 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ჰინგისმა მოსაგებად სულ 42 წუთი იმყოფინა. ნახევარფინალში მისი მეტოქე იქნება რუსი **ელენა დემენტიევა**, ვისთანაც ამავე ტურნირის შარშანდელ ფინალში წააგო. დემენტიევა ორ სეტში გაუსწორდა იტალიელ **რობერტა ვინჩის**.

"თუ ისევე კარგად ვითამაშე, როგორც სეზონის დაწყებიდან ვთამაშობ, მაშინ არავის შიში არ უნდა მქონდეს. ელენასთან შეხვედრაში კი ჩემთვის მოტივაციის დამატებითი წყარო რევანშის დიდი სურვილი იქნება", - განაცხადა შვეიცარიელმა, ვინც შარშანდელ ფინალში მხოლოდ ორი გეიმის მოგება შეძლო.

მერაბ ლორთქიფანიძე

WTA

ტორაი პან პასიფიკ ოუფენი

ტოკიო (იაპონია). ქერქვეშა ხალიჩა

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

1/4 ფინალი

მარია შარაპოვა (1) - აი სუგიამა 4:6, 6:0, 6:1; **მარტინა ჰინგისი (2)** - სამანტა სტოშური 6:0, 6:1; **ელენა დემენტიევა (3)** - რობერტა ვინჩი 6:1, 6:2; **ანა ივანოვიჩი (5)** - ელენა იანკოვიჩი (4) 3:6, 6:4, 6:2

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ბოსტონი-ბაფალო 1:3

1:0, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 შტურმი-13 (გ. მიურეი-17, სავარი-46), 1:1 დრური-28 (კოტალიკი-20, ლიდმანი-14), 1:2 დრური-29 (პაეტში-11, ბრიერი-43), 1:3 პომინვილი-23 (ჰეხტი-16, ბრიერი-44).

ვანკუვერი-ედმონტონი 5:3

1:0, 1:1, 3:2

გოლები: 1:0 ოლუნდი-10 (ბ. მორისონი-17, ნესლუნდი-25), 2:0 ჰ. სედინი-6 (დ. სედინი-29, ფიტცპატრიკი-3), 2:1 რისონერი-5, 3:1 შუინარი-2, 3:2 პეტერსენი-3 (შმიდი-6, ჰესკი-31), 4:2 ნესლუნდი-16, 4:3 ლუპული-14 (რისონერი-13, ჰემსკი-32), 5:3 ბულისი-10 (ბ. მორისონი-18).

ფინიქსი-ნეშვილი 3:2

1:1, 0:0, 2:1

გოლები: 0:1 სალივანი-19 (ჰარტნელი-12), 1:1 რიონიკი-7, 1:2 არნოტი-19 (ერატი-35, სალივანი-35), 2:2 დოენი-17 (ზიგომანისი-4, სიოსტრიომი-7), 3:2 პერო-18 (ბოინტონი-5, რიონიკი-10).

კოლორადო-მინესოტა 3:5

1:1, 2:2, 0:2

გოლები: 0:1 მ. კოივუ-12 (ბუშარი-28, ნუმელინი-14), 1:1 ბრუნეტი-19 (ვოლსკი-20), 1:2 ბუშარი-14 (როლსტონი-21), 2:2 ბ. კლარკი-4 (ჰეიდუკი-16, ბუდაი-1), 2:3 გაბორიკი-12 (ვალცი-9, შულტცი-7), 3:3 სვატოსი-11 (ჰეიდუკი-17, ლეოპოლდი-2), 3:4 გაბორიკი-13 (კ. იონსონი-12, დემიტრა-21), 3:5 მ. კოივუ-13 (დემიტრა-22, გაბორიკი-7).

კაროლინა-ტამპა ბეი 0:4

0:0, 0:2, 0:2

გოლები: 0:1 კრეიგი-12 (სენტ ლუისი-38), 0:2 იანიკი-2 (პერენი-12, პროსპალი-26), 0:3 ლეკავალიე-32 (ფედოტენკო-13, პროსპალი-27), 0:4 სენტ ლუისი-32 (ლეკავალიე-36, რიჩარდსი-25).

ატლანტა-აილენდერსი 2:5

1:1, 0:1, 1:3

გოლები: 1:0 სიმი-13 (მელანბი-15, სლეიტერი-11), 1:1 ვიქ. კოზლოვი-17 (შატანი-22, ტამბელინი-1), 1:2 შატანი-15 (ტამბელინი-2, შ. ჰილი-17), 2:2 სლეიტერი-4 (ჰაველიდი-12, მელანბი-16), 2:3 ჯ. ბლეიკი-27 (რ. რობიტაილი-15, მარტინეკი-14), 2:4 ჰანტერი-12 (შ. ჰილი-18, ვიქ. კოზლოვი-17), 2:5 ვიქ. კოზლოვი-18 (შატანი-23, ტამბელინი-3).

ფილადელფია-ნიუ ჯერსი 5:6 (ო)

1:1, 2:2, 2:2, 0:1

გოლები: 1:0 იგერი-3 (პიკარი-7, მ. რიჩარდსი-10), 1:1 ზაიაცი-9 (პარიზე-20, ლუკოვიჩი-6), 2:1 ნუბლი-18 (პიკარი-8, ფორსბერგი-22), 2:2 ზაიაცი-10 (გომესი-31, ელიაში-30), 2:3 ელიაში-18 (გომესი-32, ჯონტა-18), 3:3 აფანასენკოვი-4 (ფედორუკი-9, პიკარი-9), 4:3 ნუბლი-19 (პიკარი-10, ფორსბერგი-23), 4:4 ლანგენბრუნერი-17 (მარტინი-17), 5:4 ფორსბერგი-10 (ნუბლი-15, პიკარი-11), 5:5 პარიზე-19 (ლანგენბრუნერი-20), 5:6 ლუკოვიჩი-3 (რაფალსკი-32, ელიაში-31).

პიტსბურგი-მონრეალი 5:4 (ბ)

1:0, 2:2, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 მალკინი-25 (გონჩარი-32, კროსბი-55), 2:0 გონჩარი-8 (მალკინი-30, კროსბი-56), 2:1 ბონკი-7, 3:1 გონჩარი-9 (კროსბი-57, რაიან უიტნი-28), 3:2 ბონკი-8 (სამსონოვი-14, მ. ჯონსონი-13), 4:2 კრისტენსენი-10 (ტელბოტი-5, კ. არმსტრონგი-13), 4:3 მ. ჯონსონი-9 (რივე-10), 4:4 დანდენო-2 (შტრაიტი-16, სამსონოვი-15).

ბულიტები გაიტანეს: კრისტენსენი (პიტსბურგი), კოვალიოვი (მონრეალი), მალკინი (პიტსბურგი).

ფლორიდა-ვაშინგტონი 6:3

2:1, 3:0, 1:2

გოლები: 1:0 შტუმპელი-14 (ოლეში-13, ბოუმისტერი-19), 2:0 გელინასი-7 (უეისი-16, კვიატკოვსკი-5), 2:1 კ. კლარკი-22 (ზუბრუსი-28, სიომინი-23), 3:1 პელტონენი-9 (კოლნიკი-8, ბოუმისტერი-20), 4:1 შტუმპელი-15 (სალეი-22, ო. იოკინენი-31), 5:1 კოლნიკი-6 (შტუმპელი-26, მონტადორი-5), 5:2 ოვეჩკინი-33 (ზუბრუსი-29, კლიმერი-10), 5:3 ზუბრუსი-18 (კ. კლარკი-18, სიომინი-24), 6:3 გელინასი-8 (უეისი-17, სალეი-23).

სან ხოსე-დალასი 2:4

1:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ლუნდკვისტი-2 (ჰალპერნი-12), 1:1 ბელი-7 (ჯ. ტორნტონი-50, ქლოუ-10), 1:2 ბარნსი-8 (ჰალპერნი-13, ლუნდკვისტი-1), 1:3 ი. ლეჰტინენი-16 (ზუბოვი-24, მოდანო-11), 2:3 მარლო-26 (ჯ. ტორნტონი-51, ერჰოფი-15), 2:4 ბერჩი-1 (რიბეირო-27, ლინდროსი-21).

ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 2:3 (ო)

1:1, 0:1, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ფროლოვი-26 (კამალერი-27), 1:1 ჰავლატი-16 (კალიმორი-5, სმოლინსკი-19), 1:2 ჰამილტონი-13 (ბარკერი-2, ჰავლატი-19), 2:2 ლუნდმარკი-1 (ვიშნოვსკი-27, სოპელი-14), 2:3 კუკონენი-5 (არხიპოვი-9, ტ. რუუტუ-14).

TV სპორტი

3 თებერვალი. შაბათი

I არხი

15:45 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-ავიამშენი (LIVE).

მზე

15:30 რაგბი. ერთა თასი. რუმინეთი-საქართველო (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩარლტონი-ჩელსი (LIVE).
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-არსენალი (LIVE).

SPORT 1

08:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰანოვერი.
10:20 სპორტინფორმი.
10:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ავსტრალია.
12:16 სპორტინფორმი.
12:26 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:51 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
15:54 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:20 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-კოლამბუსი.
18:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი (LIVE).
19:20 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
20:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
22:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-სარაგოსა (LIVE).
23:50 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ატლეტიკო (LIVE).
02:55 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
03:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო.
04:51 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
06:23 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი.
08:08 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

EUROSPORT

10:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
12:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სპრინტი. ანტოლცი. იტალია (LIVE).
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სუპერგიგანტი. არე. შვედეთი (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სპრინტი. ანტოლცი. იტალია (LIVE).
17:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
19:30 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. II ცდა. იგლზი. ავსტრია (LIVE).
20:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:30 სნუკერი. მალტის თასი. 1/2 ფინალი. პორტომასო. მალტა (LIVE).
03:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სპრინტი. ანტოლცი. იტალია.

EUROSPORT 2

07:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
10:30 ახალი ამბები.
11:15 კალათბურთი. ევროლიგა.
11:45 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
12:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
13:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 10 კმ. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
15:45 სნოუბორდი.
16:30 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. I ცდა. იგლზი. ავსტრია (LIVE).
17:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. შვეიცარია (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი (LIVE).
23:00 სუპერკროსი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. შვეიცარია.
02:15 ახალი ამბები.

4 თებერვალი. კვირა

მზე

20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

SPORT 1

08:35 ფეხბურთი. ინგლისის თასი. მიმოხილვა.
09:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
10:45 ფეხბურთი.
11:05 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ავსტრალია.
13:40 ფიტნესი.
14:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
15:40 მძლეოსნობა.
16:10 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-მარილა.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ასკოლი-მილანი (LIVE).
18:50 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე (LIVE).
20:50 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
21:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.
03:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ნასიონალი.
04:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია.
11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. ნოიშტადტი. გერმანია.
12:99 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
13:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია (LIVE).
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 7.5 კმ. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სუპერგიგანტი. არე. შვედეთი (LIVE).
15:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია (LIVE).
17:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი. პორტომასო. მალტა (LIVE).
19:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 4x10 კმ. დავოსი. შვეიცარია.
19:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 4x10 კმ. დავოსი. შვეიცარია.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. ნოიშტადტი. გერმანია.
21:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
21:30 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი. პორტომასო. მალტა (LIVE).
00:00 კრივი. მ. მურერი (აშშ)-კ. კუზერი (აშშ). ჰოლივუდი. აშშ.
01:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია.
02:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია.
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. ნოიშტადტი. გერმანია.
03:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

EUROSPORT 2

07:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
09:45 ახალი ამბები.
12:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 4x10 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
14:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ორადგილიანი. II ცდა. იგლზი. ავსტრია (LIVE).
14:45 ახალი ამბები.
15:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. I ცდა. იგლზი. ავსტრია (LIVE).
15:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. შვეიცარია.
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 4x10 კმ. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
17:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II ცდა. იგლზი. ავსტრია (LIVE).
17:45 დართსი. ჰოლანდიის ღია პირველობა (LIVE).
20:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. შვეიცარია (LIVE).
21:00 მულტისპორტი
21:30 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი.
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. შვეიცარია.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი	
ჩემპიონატი	
კარდიფი-ბარნსლი	2:0
იტალია	
კატანია-პალერმო	1:2
სერია B	
ჩეზენა-სპეცია	1:0
სერია C1/B	
ლანჩანო-რავენა	0:1
გერმანია	
ნიურნბერგი-ბაიერნი	3:0
II ბუნდესლიგა	
აუე-დუისბურგი	0:1
კარლსრუე-ოფენბახი	2:1
კობლენცი-ბრაუნშვაიგი	1:0
საფრანგეთი	
II დივიზიონი	
ამიენი-გენიონი	2:0
ბასტია-კაენი	2:0
შატორუ-აიაჩო	2:1
კრეტეი-ჰავრი	0:1
დიჟონი-ლიბურნი	0:1
მონპელიე-რეიმსი	2:0
ნიორი-ისტრი	0:0
ტური-გრენობლი	1:1
მეცი-ბრესტი	0:0
ჰოლანდია	
გრონინგენი-ჰერენვეენი	1:1
II დივიზიონი	
გრააფსხაპი-ეინდჰოვენი A	1:1
ემენი-კამბური	0:1
ფოლენდამი-ფორტუნა	2:0
იგლზი-დენ ბოში	1:1
ჰაარლემი-აპელდოორნი	1:1
ჰელმონდი-დორდრეხტი	2:4
მაასტრიხტი-ტელსტარი	1:0
როსენდალი-ომნივორლდი	2:0
ტოპ ოსი-ვეენდამი	0:3
ვენლო-ცვოლე	2:2
ბელგია	
ბევერენი-ბრიუგე	0:2
პორტუგალია	
ბენფიკა-ბოავიშტა	0:0
თურქეთი	
ფენერბაჩე-გენჩლერი	2:1

კალათბურთი

საფრანგეთი	
კლერმონი-ნანსი	70:79

ჰოკეი

რუსეთი	
ამური-ლოკომოტივი	3:3
მეტალურგი (ნ)-ლადა	0:0
ავანგარდი-ნეფტეხიმიკი	3:2
ტრაქტორი-სკა	2:2
მეტალურგი (მ)-ცსკა	4:1
აკ ბარსი-მვდ	8:2
ვიტიაზი-დინამო	2:4
კრილია-სევერსტალი	2:2
ხიმიკი-ს. იულაევი	0:4
გერმანია	
აისბარენი-ჰამბურგი	3:3
ჰანოვერი-კიოლნი	1:3
დიუსელდორფი-დუისბურგი	3:1
ისერლონი-მანჰაიმი	3:3
კრეფელდი-აუგსბურგი	7:3
ფრანკფურტი-შტრაუბინგი	2:4
სლოვაკეთი	
მარტინი-ზვოლენი	8:3
ჟილინა-პოპრადი	1:2
კოშიცე-სლოვანი	4:1
ნიტრა-ტრენჩინი	3:3
ფინეთი	
ჰიფკ-ესეტი	3:2
ჩეხეთი	
ჟლინი-კარლოვი ვარი	3:3
კლადნო-ტრშინეცი	2:2
ლიტვინოვი ვსეტინი	2:0
პლზენი-სპარტა	2:4
სლავია-ზნოიმო	6:2
შვეიცარია	
ჟენევა-ბაზელი	6:1
ფრიბურგი-რაპერსვილი	5:2
ცუგი-ბერნი	4:3

ჩოგბურთი

ATP. ზაგრები	
ლოდრა-პეია	3:6, 3:6
იუჟნი-ჟიკელი	7:5, 6:2
ლუბიჩიჩი-ტ. იოჰანსონი	7:6, 6:7, 7:6
ბაღდატისი-კლემანი	6:2, 6:7, 7:6
ATP. ვინია დელ მარი	
ჰორნა-ანდრეევი	6:3, 6:3
მასუ-როიტმანი	0:6, 7:6, 6:0
ვასალო-ბერლოკი	3:6, 6:3, 7:5
ATP. დელრეი ბიჩი	
მალისე-გარსია ლოპესი	6:1, 6:1
ჰაასი-სპეიდი	3:6, 6:2, 4:6
WTA. ტოკიო	
შარაპოვა-სუგიამა	4:6, 6:0, 6:1
იანკოვიჩი-ივანოვიჩი	6:3, 4:6, 2:6
ჰინგისი-სტოსური	6:0, 6:1
დემენტიევა-ვინჩი	6:1, 6:2

მაჭრიცა

მამუკა ჩიხლაძე

თავიდანვე ფოტო, კარგი განწყობა რომ შეიქმნათ. მერე უარესი ამბები წამოვა. რა მანძილია ზინედინ-გურულის ორთაბრძოლიდან, რომელიც ოდესღაც ჩრდილოეთ საფრანგეთის ნავსადგურ ჰავრში გაიმართა (შესაძლოა, ბორდოშიც) მოსკოვის ოლქის რამენსკოემდე ან დასავლეთ ციმბირში მდებარე ქალაქ ტომსკამდე? ედინბურგი, უკაცრავად, არ გამოვიდა. კარგად კი ჟღერდა - Heart of Midlothian!

ყველაფერში დამნაშავე ყოფილა ფიფა-კოკა კოლას რეიტინგი, სადაც საქართველოს ნაკრები 95-ე ადგილზეა. ამიტომაც, გოგიტა გოგუას ბრიტანეთში ფეხბურთელად მუშაობის უფლება არა აქვს! ვიზა რომ უპრობლემოდ მიეღო, 70-ე ადგილზე უნდა ვყოფილიყავით.

ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია - ყველაზე ეჭვიანებმა ეგრევე გეში აიღეს, რომ ეგ 95-ე ქართული ფეხბურთის ადგილი კი არ არის კოკას რეიტინგში, არამედ მთელი ქვეყნის ადგილი მსოფლიოში - ამიტომაც, როგორც ჩამორჩენილ ხალხს, ბრიტანეთში არ გვიშვებენ! კიდევ კარგი, რომ საბოლოოდ დადგინდა - 95-ე ნამდვილად და მხოლოდ ჩვენი ფეხბურთის პოზიციაა კოლას კლასიფიკაციაში.

ჩვენ გამოვიკვლიეთ, რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული ფიფა კოკა-კოლას რეიტინგი და შევადგინეთ შესაბამისი მატრიცა - მე და მიხეილ ჯაშმა. ერთი საღამო და მეორე დილა დაგვჭირდა, მაგრამ მგონი ღირდა. ეხლავე გაგარკვევთ.

ყოველი წლის შესაბამისი თვის გრაფაში დიდი შრიფტით მოცემული რიცხვი აღნიშნავს საქართველოს ნაკრების მაშინდელ ადგილს რეიტინგში, პატარა - დაგროვილ ქულებს. ქულების რაოდენობა არსებითი არაა (თუნდაც იმიტომ, რომ დათვლის წესი ორჯერ შეიცვალა), მთავარია ადგილი.

ქულების დათვლის წესზე მოკლედ გეტყვით. გათვალისწინებულია ყველაფერი. ოფიციალური მატჩს მეტი წონა აქვს, ვიდრე ამხანაგურს; უფრო ძლიერი მეტოქის დამარცხებაც მეტი ღირს და გათვალისწინებულია ძალთა ბალანსიც სხვადასხვა კონფედერაციების გუნდებს შორის; ადრე ითვალისწინებდნენ ბოლო 8 წლის მატჩებს, ახლა - მხოლოდ ბოლო 4 წლისას, ისიც ასეთი



LE HAVRE. — A l'image de Gourouli, contré ici par Zidane, Le Havre n'a jamais fait la loi hier contre Bordeaux. (Photo REUTER)

სკალით - წლევანდელი 100 პროცენტი ღირს, შარშანდელი 50, შარშანწინდელი - 30 და იმის წინანდელი - 20 (ადრე ბოლო 8 წლის ყველა მატჩს ერთი ფასი ჰქონდა). შინ მოიგებ თუ სტუმრად - მნიშვნელობა აღარა აქვს.

და ასე შემდეგ... ბოლომდე რომ გაგვერჩია, შეიძლება, ერთი კარგი დისერტაციაც დაგვეცვა ძველ დროში და ხელი ასე მოგვეწერა: რიცხვითმჩხრეკელ მეცნიერებათა კანდიდატი ჯაში და... ერთი უფასო საგზურიც გვერგებოდა ბაიკალის ტბაზე. ეშმაკსაც წაუღია. რუსეთი არა, დისერტაცია.

ყოველთვიურ გრაფიკს ქვემოთა სტრიქონში ახლავს კომენტარები. აი, ესაა მთავარი: ვინ როდის ჩაიბარა ნაკრები; რომელ ადგილზე; რომელი ადგილი გადააბარა მემკვიდრეს; როდის გვქონდა ჩავარდნა და აღმასვლა; რომელმა საეტაპო მატჩმა რამდენით დაგვხია უკან ან რამდენით წაგვწია წინ.

რეიტინგი პირველად გამოქვეყნდა 1993 წლის აგვისტოში, ხოლო საქართველოს ნაკრები იქ პირველად 1995 წლის დასაწყისში მოხვდა, 92-ე ადგილზე.

მატრიცის ანალიზისას რამდენიმე უპასუხო შეკითხვა ჩვენც გაგვიჩნდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ დიაგრამა მაინც, ასე თუ ისე, ზუსტად ასახავს დროთა მსვლელობას.

მაგალითად, ავიღოთ, პირველი მწვრთნელის, **ალ. ჩივაძის** მოღვაწეობის პერიოდი. 1995 წლის პირველ ნახევარში აღბანეთთან და უელსთან მოგებული ორი თამაშის შემდეგ ნაკრები 17 ადგილით დაწინაურდა. მერე, მართალია, გერმანიასთან 1:4 წაგებამ 14 პოზიცია დაგვაკარგვინა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორ ბულგარეთთან გამარჯვებამ მყისვე გადაგვწია 23 ადგილით წინ, 77-ეზე!

ამის შემდეგ მწვრთნელმა შეინარჩუნა პოზიცია, თვით რუმინეთთან 0:5 განადგურებამაც ვერაფერი დაგვაკლო - ამხანაგური მატჩი ხომ ნაკლები ღირს (აქვე განვმარტავთ, რომ ცხრილში ამხანაგური მატჩები მოყვანილია ღია შრიფტით, ოფიციალურები - **მუქით**).

მაგრამ დახეთ უბედურებას: 1996 წლის ზაფხულში, სამი თვე, ნაკრებს ერთხელაც არ უთამაშია, ამან კი მყისვე თითქმის მთლიანად დაგვაკარგვინა ბულგარეთთან მოგებით მიღებული წინსვლა! აქედან დასკვნა: **უთამაშებლობას თამაში და წაგება სჯობს!** ამიტომაც, საჭიროდ ვცანით, ცხრილის მარხენა ძგიდეზე, შეუღლად, მოგვეყვანა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთა ნუსხა და მათი მოღვაწეობის პერიოდი. ამხანაგური მატჩების დაგეგმვა ხომ სწორედ ფედერაციის საქმეა.

პირველი კითხვა ჩნდება 1997 წლის ბოლოში: რატომ გადადგა თანამდებობიდან **დავით ყიფიანი,** რომელმაც გუნდი ჩაიბარა 96-ე ადგილზე და ერთი წლის განმავლობაში 27 პოზიციით დააწინაურა? არადა, 69-ე ადგილი სწორედ ის პოზიციაა, რომელიც ბრიტანეთის "საშინაო ოფისის" მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მართალია, ეს წესი ახლახან შემოუღიათ, მაგრამ, თეორიულად, 1997 წლის ბოლოს ფეხბურთელი გოგიტა გოგუა უპრობლემოდ მოხვდებოდა "ჰართსში"! ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური ვერსია ასეთია და რა კავშირშია ჩაშლილ ტრანსფერთან გოგუას კონტრაქტის მეპატრონე ჩერვიჩენკო, ვინ გვეტყვის? და ეს არცაა სამეცნიერო კვლევის საგანი...

მგონი, აწი თქვენ თვითონვე მიყვებით მატრიცას. გაიარეთ გზა **ვლადიმერ გუცაევის** 42-ე ადგილიდან **ალენ ჟირესის** პერიოდის 112-ე მდე! წესით, იქ ვარდნის მიზეზებიც უნდა ამოიკითხოთ. ზოგი რამ ჩვენ მივაწერეთ, ზოგიც თქვენ გაიხსენეთ. ყველაფერი არ ჩაგვეტია...

რაღა დაგვრჩა? რახან მიმოხილვა ჰქვია, რაგბიც მიმოვიხილოთ. ზერელედ. წესით, კარგი თამაში უნდა გამოვიდეს დღეს. მწვრთნელი და კაპიტანიც ამას ამბობენ - მსოფლიო თასზე გასულები ვართ და ფსიქოლოგიური წნეხი აღარ შეგვაწუხებსო. დანაკლისი? შეგახსენებთ 2004 წელს, როცა კიდევ უფრო მეტი მოთამაშე გვაკლდა, რაღაც ექსპერიმენტული გუნდით ჩავედით ბუქარესტში და... მთელი 75 წუთი ვუგებდით. მოგებული გვქონდა, ფაქტობრივად.

და ელენე. მერვე ადგილით ბევრი რამ ტომლაც უკმაყოფილო დარჩა და ამაზე ირაკლი ჯაფარიძე საუბრობს მე-12 გვერდზე. მე უფრო ერთი რამ დამრჩა ხინჯად - ორივე დღეს დარბაზში მხოლოდ თითო ქართული დროშა ფრიალებდა და ისიც თურმე თვით ელჩს ეკუთვნოდა, როგორც მერე დადგინდა. არადა, ვიცოდი, რომ პოლონეთში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს და მეგონა, ყველა იქ იქნებოდა, გასამხნევებლად.

ამ საკითხზე მერე მიმოწერა მქონდა იქაური სათვისტომოს წარმომადგენელთან. ისიც უკმაყოფილო იყო - ჩვენ ძალიან გვიან, ისიც შემთხვევით გავიგეთ ეგ ამბავი, არავის არაფერი შეუტყობინებია და როცა ყური მოვკარით, ბილეთები უკვე აუქციონზე იყიდებოდაო. ცოტა ვიკამათეთ კიდეც, იმის შესახებ, ვის უნდა შეეტყობინებინა ელენეს იქ ყოფნის ამბავი და მერე შევთავაზეთ, რომ... სპორტული გაზეთი ვართ და ჩვენზე უკეთ ვინ შეგატყობინებთ-თქო!

ძალიან გაუხარდათ - ოღონდ საქმაგო იყოს და აქა ვართო. საბედნიეროდ, მეორე დღესვე გაირკვა, რომ 3-4 მარტს ვარშავაში მიდის ჩვენი ძიუდოს ნაკრები. მივწერეთ და ვარშავაში კი არა, **სპალაში** ყოფილა, 100 კილომეტრში. რა პრობლემაა - შაბათს ჩავალთ, ვუქომაგებთ, ღამეს სასტუმროში გავათევთ და კვირასაც იქა ვართო. ძიუდოისტებმა რომ იცოდნენ: პოლონეთის ქართველობა საქმაგოდ ემზადება!

© მ.ჯაში	იანვარი	თებერვ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტ.	ოქტომბ.	ნოემბ.	დეკემბ.
1995	92 17	98 17	98 18	100 18	93 20	83 23	85 23	86 23	100 13	77 28	77 28	79 26
	მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე. გერმანია 0:2 ალბანეთი 2:0 უელსი 1:0							გერმანიასთან 1:4		გულ 2:1		
1996	79 26	79 26	79 27	71 29	75 29	75 28	85 27	90 27	92 27	94 27	95 27	95 27
			კვიპროსთან 2:0		რუმ 0:5	არ უთამაშიათ!			ნორ 0:1	იტა 0:1	ინგ 0:2	
1997	96 27	96 27	96 28	100 27	102 27	97 31	99 30	99 30	94 32	74 37	72 38	69 39
	ჩივაძე გადადგა. 30 მარტამდე არ უთამაშიათ. დ. ყიფიანის დებიუტი. სომხეთი 7:0								იტა 0:0 მოლ 1:0 პოლ 3:0. ყიფიანი გადადგა			
1998	69 39	55 44	56 44	57 43	52 45	52 45	44 45	46 45	42 45	59 42	55 42	52 44
	ვ. გუცაევი. სადებიუტო სამი მოგება მალტაში				ტუნ 1:1 რუს 1:1			უკრ 0:4 ალბ 1:0		ლატ 0:1 საბ 0:3 ესტ 3:1		
1999	54 512	54 510	54 510	56 505	56 505	59 498	63 492	65 487	62 493	62 488	65 483	66 475
	დათვლის წესი შეიცვალა		სლნ 1:1 ნორ 1:4. გუცაევი გადადგა. იოჰან ბოსკამპი 5 თამაშში 1 უარეს გამორჩა და წავიდა									
2000	66 475	60 502	65 499	64 500	64 502	64 503	65 498	68 495	68 492	62 515	65 510	66 508
	ყიფიანი, ძოძუაშვილი. 8 ამხანაგური მატჩი შესარჩევ ტურნირამდე! მხოლოდ 2 მოგება								ლიტ 4:0 იტა 0:2			
2001	66 508	66 506	67 503	68 499	73 499	79 498	79 495	72 510	59 546	59 552	59 552	58 552
			რუმ 0:2			უნგ 1:4. გადადგნენ		დაბრუნდა ჩივაძე. ლუქს 3:0 უნგ 3:1 ლიტ 2:0 რუმ 1:1				
2002	58 552	60 550	60 549	55 561	59 545	55 545	55 541	53 536	71 499	77 485	81 474	90 456
	27 მარტამდე არ უთამაშიათ. სამხ. აფრიკა 4:1				17 აპრ-21 აგვ. არ უთამაშიათ!		თურ 0:3	შვეიც 1:4	რუსეთთან შუძი ჩაძრა			
2003	92 456	92 445	93 450	93 448	84 469	86 468	88 462	91 455	81 485	87 479	92 475	93 465
		ირლ 1:2 შვეი 0:0. ჩივაძე გადადგა. შუშაკი დროებით. რუს 1:0 ირლ 0:2						შუშაკი დინამომ გაიხმო. ნაკრები ჟორდანიამ ჩაიბარა.				
2004	93 469	98 467	98 463	98 459	99 453	102 445	105 437	109 428	112 418	105 448	107 442	104 455
	უმწვრთნელობის 6 თვე!		დანიშნეს ჟირესი. სულ ორი თამაში შესარჩევამდე. ისრ 0:1 მოლ 0:1						თურ 1:1 ალბ 2:0 უკრ 0:2 დან 2:2			
2005	106 455	102 464	100 474	102 470	102 470	102 467	103 463	103 460	104 461	100 462	100 462	104 459
			საბ 1:3 თურ 2:5		ალბ 2:3	ჟირესი მოხსნეს. დარსაძე: ყაზ 2:1			უკრ 1:1 დან 1:6 ყაზ 0:0 საბ 0:1 გულ 2:6 ირლ 3:2 გადადგა			
2006	105 458	105 457	104 459	101 461	101 461	წესი შეიცვალა	87 359	84 359	93 327	98 302	95 327	94 327
	ტოპმიოლერი მალტაში მოლ 1:5 მალ 2:0			ზელ 1:3 პარ 0:1				შარ 6:0	საფ 0:3 უკრ 2:3 გერ 0:2 იტა 1:3 შრუ 2:0			

ერთიანი სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოკა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლევან გიგილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10³, 0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა